დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის N 1 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ელენე კალანდაძე

წევრები

გოგი თოდუა - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი ;

თეა მათითაიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ნანა კასრაძე- საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ნათია ქათამაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;

თამარ ძველაია - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

ანა ობოლაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;

მარიამ ღუბელაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

შაქრი ჟღენტი-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

ალექსანდრე ჩახნაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი; ნინო მახარაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი;

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონისN1 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	244556967

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ხობის მუნიციპალიტეტი
იურიდიული მისამართი	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ქვალონი

ფაქტობრივი მისამართი	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ქვალონი
საფოსტო ინდექსი	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	kvemokvaloni1@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577122744

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება (28/07/2023 წ.) MES 1 23 0000939235
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	07-08 სექტემბერი 2023 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების

				ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ხობი,სოფელიქვემო ქვალონი
2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ხობი,სოფელი ქვემო ქვალონი
3.	ზოგადი განათლების საშუალო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ხობი,სოფელი ქვემო ქვალონი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2023 წლის 07-08 სექტემბერს სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის N1 საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო

ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა. ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება დირექციის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის **I, III** და **IV** სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: **300**	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტების ჯგუფმა **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა** შეაფასა სრული შესაბამისობით, ხოლო **ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა** შეაფასა მეტწილი შესაბამისობით.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	*ხარვეზი*
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)***1**

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას.	*სკოლამ უზრუნველყოს :* *1. დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ .*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი -**საბაზო საფეხური** (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

კომპონენტი 2.2	*კურიკულუმის განხორციელება*	*სკოლამ მოაწყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გაკვეთილების ჩატარები უზრუნელსაყოფად,შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებ (28.02.2024 მდე)*
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
კომპონენტი 2.2	*კურიკულუმის განხორციელება*	*სკოლამ მოაწყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გაკვეთილების ჩატარები უზრუნელსაყოფად,შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებ (28.02.2024 მდე)*

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.4.1.1.	*1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის*	*მიზანშეწონილია, სკოლამ აიყვანოს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.*

	საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	
ინდიკატორი 3.6.1.1.	*ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;*	*სკოლამ შეიმუშაოს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს მომხმარებლის უფლებებს.*
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)*	*რჩევა*
ინდიკატორი 2.2.2.1	*სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;*	*სკოლას მიეცეს რჩევა, რომ დაწყებითი საფეხურის გუნებისმეტყველების ყველა კლასის (I–IV, V – VI კლასები) კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში გათვალისწინებული იყოს გრძელვადიან მიზნებთან მიმართება, კერძოდ, ყველა სავალდებულო თემა გაწერილი იყოს იმგვარად, რომ თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, შესასწავლი სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები გაწერილი იყოს სტანდარტის შესაბამისად, ქვეცნება კორელაციაში იყოს შესაბამის სამიზნე ცნებასთან, ყველა ძირითად საკითხთან განსაზღვრული იყოს სასწავლო რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო ავტორისა და გვერდების მითითებით),*

		კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმში მითითებული სამიზნე ცნებები და კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში მითითებული სამიზნე ცნებები (ერთი და იგივე კონტექსტ - მაგალითის შემთხვევაში) იდენტური იყოს;

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)*	*რჩევა*
ინდიკატორი 2.2.2.1	*სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;*	*სკოლას მიეცეს რჩევა, რომ საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) ყველა კლასის (VII, VIII, IX) კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში გათვალისწინებული იყოს გრძელვადიან მიზნებთან მიმართება, კერძოდ, ყველა სავალდებულო თემა გაწერილი იყოს იმგვარად, რომ თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, სამიზნე ცნებები გაწერილი იყოს სტანდარტის შესაბამისად, ყველა ძირითად საკითხთან მითითებულ ელექტრონულ რესურსს - შესაბამისი ელექტრონული მისამართი, ძირითად კონტექსტ - მაგალითთან მითითებულ ვიდეორგოლს - შესაბამისი ელექტრონული მისამართი.*
ინდიკატორი 2.2.2.1	*სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი*	*სკოლას მიეცეს რჩევა სახელმწიფო ენის საბაზო საფეხურზე სწავლებისას მართებულად*

	წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;	*განსაზღვროს კონკრეტული კომპლექსური დავალებით, რომელი ცნებები მუშავდება. ცნების მკვიდრი წარმოდგენების ფორმულირება უცვლელია, არ ნაწევრდება. კომპლექსური დავალებით მუშავდება ცნების ყველა მკვიდრი წარმოდგენა და არა რომელიმე ერთი. ამ ფაქტორების გათვალისწინებით უნდა გასწორდეს კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. სკოლამ გამოიყენოს სტანდარტი ან საგნობრივი გზამკვლევი.*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმის დასახელება)*	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვიც და განვითარების გზას;*	*ესთეტიკური აღზრდის კათედრამ (ხელოვნება, მუსიკა), 2023 წლის სექტემბრამდე შეიმუშაოს კურიკულუმ ჩარჩო-დოკუმენტის სრული ვერსია, გაწერილი კომპლექსური დავალებები და კონტექსტ მაგალითები.*
ინდიკატორი 2.2.2.1	*სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;*	*სკოლას მიეცეს რჩევა, რომ საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების (ფიზიკა, ბიოლოგია) ყველა კლასის (X და XI კლასები) კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში გათვალისწინებული იყოს გრძელვადიან მიზნებთან მიმართება, კერძოდ, ყველა სავალდებულო თემა გაწერილი იყოს იმგვარად, რომ თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, სამიზნე ცნებები გაწერილი იყოს სტანდარტის შესაბამისად, სამიზნე ცნებების მიმართ განსაზღვრული იყოს შესაბამისი*

		ქვეცნება/ქვეცნებები, ყველა ძირითად საკითხთან მითითებული იყოს შესაბამისი სასწავლო რესურსი, *ყველა ძირითადი საკითხის მიმართ განსაზღვრული სამიზნე ცნება/ქვეცნება, კომპლექსური დავალების იდეა და კონტექსტ - მაგალითი კორელაციაში იყოს ერთმანეთთან, კომპლექსური დავალების იდეა ჩამოყალიბებული იყოს მკაფიოდ.*
ინდიკატორი 2.2.2.1	*სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;*	*სკოლას მიეცეს რჩევა სახელმწიფო ენის საშუალო საფეხურზე სწავლებისას მართებულად განსაზღვრონ კონკრეტული კომპლექსური დავალებით რომელი ცნებები მუშავდება. ცნების მკვიდრი წარმოდგენების ფორმულირება უცვლელია, არ ნაწევრდება. კომპლექსური დავალებით მუშავდება ცნების ყველა მკვიდრი წარმოდგენა და არა რომელიმე ერთი, ამ ფაქტორების გათვალისწინებით უნდა გასწორდეს კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ:

რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - ,,არ შეესაბამება" მესამე სტანდარტის 3.4.1.1 ინდიკატორთან მიმართებაში, მეორე სტანდარტთან 2.2. კომპონენტთან მიმართებაში; საბაზო და საშუალო საფეხურზე ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი", ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით; ხოლო პირველი სტანდარტის 1.2.1.4. ინდიკატორთან მიმართებაში და მესამე სტანდარტის 3.1.2.3. ინდიკატორთან მიმართებაში შესაბამისობის გეგმის და სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, უკვე შესრულებული იყო - და ექსპერტების მხრიდან შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი".

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოადგინა მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელშიც დეტაალურადაა გაწერილი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი და მოიცავს

შემდეგს: მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება/გაზიარების პროცესს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/გაზიარება/დამტკიცების პროცესს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესს; მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცლილების შეტანის პროცესს; სტრატეგიული გეგმის ანგარიშის და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადების პროცესს.

დაწესებულებამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს მისიას, ხედვას და ღირებულებებს. სკოლის მისია თავისი შინაარსით შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ვინაიდან მასში დეკლარირებულია ისეთი დებულებები როგორიცაა: მოსწავლეთათვის 21-ე საუკუნისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარება, როგორიცაა კოლაბორაცია და კომუნიკაცია, პრობლემის გადაჭრა, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება, მედიაწიგნიერება, ლიდერობა და კრეატიულობა. ასევე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით სკოლა თითოეულ მოსწავლეს მოამზადებს წარმატებული მომავლისათვის. სკოლის წარმომადგენლობასთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ **1.1.1 (1) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

2. სკოლის მისიიდან გამომდინარე, სკოლა განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს, ვინაიდან მისიაში სკოლა მიზნად ისახავს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეუქმნას უსაფრთხო და ეფექტური სასწავლო გარემო, სადაც სწავლება და სწავლა მიმართული იქნება სიღრმისეულ შემეცნებასა და ცოდნის ტრანსფერზე. ასევე, მისიით სკოლა მიზნად ისახავს დაამყაროს ორმხრივი, რეგულარული და ეფექტური კომუნიკაცია, როგორც სკოლასა და ოჯახს, ასევე სკოლასა და საზოგადოებას შორის. აღნიშნული მიუთითებს, რომ სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი როლი პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცედ არსებობაში. **1.1.1 (2) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**
3. სკოლამ წარმოადგინა მისია, ხედვა და ღირებულებები და განმარტა, რომ აღნიშნული დოკუმენტის რევიზია მოხდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. კერძოდ, ავტორიზაციის ახალი სტანდარტებიდან გამომდინარე, სკოლის დირექციამ საჭიროდ ჩათვალა გადაეხედა მოქმედი მისიისთვის და შემუშავებინა შესაბამისი ხედვა, აღნიშნულის მიზნით სკოლაში შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრებზეც გადანაწილდა შესასრულებელი ფუნქციები, სკოლის ადმინისტრაციამ ჩამოაყალიბა იდეები, თუ რა უნდა ყოფილიყო სკოლის პრიორიტეტი და ეს იდეები სასკოლო საზოგადოებისთვის გასაცნობად გადასცა სკოლის მისიასა და ხედვაზე მომუშავე ჯგუფს, ამის შემდგომ პროექტი განსახილველად გაეგზავნა, როგორც მოსწავლეთა თვითმმართველობას აგრეთვე მშობლებს. მიღებული უკუკავშირის შედეგად სკოლამ შეიმუშავა საბოლოო დოკუმენტი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და უკუკავშირების გათვალისწინებით, დასტურდება, რომ ახალი მისიის,ხედვის და ღირებულებების შემუშავება მოხდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, შესაბამისად **1.1.1 (3) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

4. სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარება სკოლის მიერ განხორციელდა კლასის დამრიგებლების მეშვეობით, რაც გულისხმობს მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისთვის სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში მონაწილეობას. სკოლამ წარმოადგინა შეხვედრის დამადასტურებელი მასალები, უკუკავშირები, სადაც ასახულია ინფორმაცია მოსწავლეთა თვითმმართველობისა და სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და გაზიარების შესახებ. **1.1.1 (4) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**
5. სკოლაში ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლის მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები, გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე, თვალსაჩინო ადგილზე, რომელთან წვდომაც აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, ასევე დაწესებულებამ მოახდინა ზემოთ აღნიშნული დოკუმენტის განთავსება სკოლის ვებგვერდზეც, რაც უზრუნველყოფს მის საჯაროდ ხელმისაწვდომობას. შესაბამისად, **1.1.1 (5) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, კერძოდ, საჯარო რეესტრის ამონაწერიდან დგინდება, რომ სკოლის სახელწოდებაა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის N1 საჯარო სკოლა, რაც გამომდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებიდან ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ''. ვინაიდან სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **1.1.1 (6) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
2. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც ასახულია სკოლის მოქმედი მისია,ხედვა და ღირებულებები;

3. საჯარო რეესტრის ამონაწერი.
4. წარმოდგენილი უკუკავშირები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავების დამტკიცებული მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომლის მიზანია აღწეროს სკოლის სტარტეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მიდგომები, მოთხოვნების და სამუშაო პროცესები. აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის დასრულების შედეგად შემუშავებული უნდა იყოს 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ემყარება გუნდური მუშაობის, თანამონაწილეობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებს. ასევე, განსაზღვრულია სტრატეგიულ დაგეგმვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები და პირები, კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ადმინისტრირებას ახდენს სკოლის დირექტორის მოადგილე, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციას სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, მათ წვდომას ყველა საჭირო ინფორმაციაზე, ჯგუფის შეხვედრების ადმინისტრირებასა და სხვა საქმიანობის მხარდაჭერას. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმართვის მიზნით, დირექტორი ქმნის სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფს, რომელიც პასუხისმგებელია სტრატეგიული განვითარებისა და სამქომედო გეგმების პროექტების შემუშავებაზე, ამ პროცესში სკოლის ფართო საზოგადოების ჩართვასა და ინფორმაციის გაზიარებაზე. ჯგუფს ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორი.

   სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება, რომლითაც შეიქმნა სამუშაო ჯგუფი მისიისა და სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით. აღნიშნული ბრძანებითვე ჯგუფის წევრებზე გადანაწილებულია შესასრულებელი ფუნქციები. აგრეთვე სკოლას წარმოდგენილი აქვს ოქმები, სადაც ასახულია ინფორმაცია, თუ როგორ, რა ფორმით არის სასკოლო საზოგადოება ჩართული სკოლის სტრატეგიული განვითარებისსა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში. კერძოდ, სასკოლო საზოგადოება ეცნობა გეგმების სამუშაო ვერსიებს (პროექტს), შემდეგ განიხილება საჯაროდ, მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებას, რომელიც აისახება ოქმებში და შემდეგ სტრატეგიულ გეგმაში.

   შესაბამისად, დადგინდა, რომ სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს და 1.2.1 (1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. ექსპერტთა ვიზიტის დროს, სკოლამ წარმოადგინა საბოლოო სახით ჩამოყალიბებული, სკოლის ფილოსოფიაზე დაყრდნობით შემუშავებული და დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს 2023-2030 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებით: 1) ხარისხიანი განათლება-მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების საფუძველზე მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესება; 2)უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; 3) სასკოლო საზოგადოების

ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება; 4) სკოლის ორგანიზაციული განვითარება. სტრატეგიულ გეგმაში ასახულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და ვადები. **შესაბამისად 1.2.1 (2) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

3.დაწესებულებამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის დამტკიცებული ერთ წლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც შემუშავებულია შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით.მასში ასახულია სტრატეგიული გეგმის შესაბამისი მიზნები და ამოცანები და გაწერილია სასწავლო წლის განმავლობაში შესასრულებელი აქტივობები. **1.2.1 (3) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

4.სკოლის მიერ დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს სტრატეგიულ მიზნების და ამოცანების შესაბამის აქტივობებს. გეგმაში ასევე მოცემულია კალენდარულ თვეებზე გაწერილი შესრულების ვადები და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, თუმცა გეგმაში არ არის მოცემული შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები (ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსი), რომელიც უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას. **სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს 1.2.1.4 ინდიკატორთან მიმართებით, წარმოადგინა სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „ შეესაბამება“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული გეგმა 2023-2030;
2. ერთ წლიანი სამოქმედო გეგმა;
3. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც შემდეგ ძირითად პრინციპებზეა აგებული: 1. თანამონაწილეობა; 2. სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება; 3. გამჭვირვალობა; 4. ანგარიშვალდებულება, რომელიც მოიცავს გეგმის შესრულების ანგარიშს, ხოლო ყოველ 2 წელიწადში - სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშს და უზრუნველყოფს მის საჯაროობას სკოლის ვებგვერდზე გამოქვეყნებით. გარდა ამისა, მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას, კერძოდ სკოლა განახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ორჯერ - იანვარსა და ივნისში. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციეილების შუაში და ბოლოს. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. **აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს და 1.2.2 (1) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული**
2. **ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას 1.2.2(2) ინდიკატორი ვერ იქნება შეფასებული;**
3. **ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას 1.2.2(3) ინდიკატორი ვერ იქნება შეფასებული;**
4. **ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას 1.2.2(4) ინდიკატორი ვერ იქნება შეფასებული;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სტრატეგიული დაგეგმარების მექანიზმების დოკუმენტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია შემდეგი თანამდებობრივი პოზიციები: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, ექთანი, მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი, დარაჯი, დამლაგებელი, აღნიშნული პირების ფუნქციები გაწერილია სტრუქტურული ერთეულების/ პირების თანამდებობრივ ინსტრუქციებში და ინდივიდუალურად გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებული იყო გასულ წლებში და არ ითვალისწინებდა სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციებით შესრულების ვალდებულებას, ასევე ხელშეკრულებაში მითითებული იყო ის სამართლებრივი აქტები, რომელიც დღეის მდგომარეობით ძალადაკარგულია. აქედან გამომდინარე, სკოლას მიეცა რეკომენდაცია ხელშეკრულებები შესაბამისობაში მოეყვანა მოქმედ კანონმდებლობასთან. სკოლამ გაითვალისწინა ზემოთ აღნიშნული და ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოადგინა კორექტირებული ხელშეკრულებები. სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა გრაფიკული სტრუქტურა, რომლის მიხედვითაც სკოლაში სტრუქტურული ერთეულების

სახით მოქმედებს: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, 7 საგნობრივი ჯგუფის კათედრა, მოსწავლეთა თვითმმართველობა და მათ მიერ შექმნილი კლუბები.

სკოლის წარმომადგენლის ახსნა-განმარტებებით დადგინდა, რომ სტრუქტურული ერთეულები საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობენ ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში და საქართველოს განათლებისა და მეცნირების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სკოლის წესდებით''.

სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ასევე დადგინდა, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობა ხელმძღვანელობს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულებითა და თვითმმართველობის ქცევის კოდექსით. როგორც სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, კოლეგიური სტრუქტურული ერთეულები წლის დასაწყისში ადგენენ სამუშაო გეგმას, რომლის შესაბამისადაც ახორციელებენ საქმიანობას წლის განმავლობაში, იკრიბებიან და განიხილავენ დაგეგმილ და რიგგარეშე საკითხებს. **შედეგად დგინდება, რომ სკოლას მკაფიოდ აქვს განსაზღვრული მოქმედი სტრუქტურული ერთეულების და პირების ფუნქციები 3.1.1(1) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

2. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით, სტრუქტურული ერთეულების ოქმებით და თანამდებობრივი ინსტრუქციებით დგინდება, რომ ისინი საქმიანობას ახორციელებენ წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად. წარმოდგენილი ფუნქციების განაწილების დოკუმენტი მკაფიოდ განსაზღვრავს პასუხისმგებლობის განაწილებას, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის განხორციელებას

   სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით და ახსნა-განმარტებებით დგინდება, რომ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. შესაბამისად, 3.1.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები;
2. სტრუქტურა;
3. შრომითი ხელშეკრულებები;
4. სტრუქტურული ერთეულების ოქმები და სამოქმედო გეგმები;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მიზანია უზრუნველყოს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვა ეფექტიანად და კანონთან, დაწესებულების მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან შესაბამისობით, ასევე, შექმნას გარემო, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენასა და რეალიზებას.

სკოლის განმარტებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსის, სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სკოლაში თანამშრომლის მიღების წესის, მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დებულების, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად.

სკოლის მიერ ჩატარებული კონკურსების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლის მიღება ხორციელდება კონკურსის გზით teacherjobs.ge-ზე გამოცხადებით. კონკურსის მასალებით, დგინდება, რომ კონკურსის გამოცხადება და საკონკურსო კომისიის დაკომპლექტება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დადგინდა, რომ ვინაიდან სკოლას აქვს შემუშავებული, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი პერსონალის მართვის მექანიზმები, 3.1.2(1) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

2. სკოლის წარმომდგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში მასწავლებლის/ინკლუზიურ განათლებაში

ჩართული სპეციალისტის ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში, კვალიფიციური კადრის შესარჩევად ცხადდება კონკურსი. სკოლა კონკურსის ჩატარების დროს ხელმძღვანელობს მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით. დასაქმების ვებ-გვერდზე teacherjobs.ge განთავსდება საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

სკოლის დირექტორთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა დასაქმებულზე. მაგალითად, მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში საათების გადანაწილება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებელზე. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო; შრომითი ურთიერთობის წარმოშობა; შრომითი ურთიერთობის პირობები; შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, საბოლოო ანგარიშსწორება; დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა; შრომის პირობებთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები; განცხადების/საჩივრის განხილვის წესი. **ვინაიდან, სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა, 3.1.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით დადგენილია მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლის დირექტორთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მოთხოვნათა შესაბამისად. სკოლის საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობით დადგინდა, რომ მასწავლებლის ვაკანტურ საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსი ტარდება გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კერძოდ, სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება კონკრეტული ვაკანტური პოზიციისადმი წაყენებული საკონკურსო პირობები,ვადები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ, teacherjobs.ge-ზე. დირექტორის ბრძანებით შეიქმნა საკონკურსო კომისია, რომელიც შედგებოდა კანონმდებლობის შესაბამისად, რაც შეეხება სკოლის სხვა პერსონალს, მათი შერჩევა შესაძლებელია როგორც კონკურსის წესით, ასევე დირექტორის მიერ კანდიდატთან გასაუბრების გზით. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტისას გაეცნო სკოლის პერსონალის პირად საქმეებს დაკავებული პოზიციების მიხედვით. ექსპერტების მიერ გადამოწმდა სკოლის ბაზაში არსებული თანამშრომლების მონაცემები და 2020 წლის ივნისში შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის წარდგენილი მონაცემები სკოლაში დასაქმებული პირების შესახებ. შედეგად დადგინდა, რომ 2020 წლის ივნისის შემდეგ სკოლაში დასაქმებული 1 თანამშრომლის (ექთნის) პირად საქმეში არ არის განთავსებული უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა, მოქმედ რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სკოლამ დასაქმებულების პირად საქმეში უნდა განათავსოს შესაბამისი ცნობა. **სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს 3.1.2.3**

ინდიკატორთან მიმართებით, წარმოადგინა ექთნის სახელზე გაცემული უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „ შეესაბამება“.

4.სკოლაში სულ დასაქმებულია 30 თანამშრომელი, აქედან 21 მასწავლებელია, ყველას აქვს შესაბამისი სტატუსი. პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სკოლის სამედიცინო მომსახურების კაბინეტს ემსახურება ექთნის კვალიფიკაციის მქონე პირი. სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ კონკურსი გამოცხადებული ჰქონდა ექიმის პოზიციაზე, თუმცა შესაბამისი კვალიფიკაციის კადრი, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესი'' ვერ მოიძებნა. სკოლამ იხელმძღვანელა კანონის შესაბამისად და აღნიშნულ პოზიციაზე მიიღო ექთნის კვალიფიკაციის მქონე პირი. **3.1.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სრუქტურული ერთეულები მუშაობენ გუნდურობის პრინციპით, იკრიბებიან სხდომებზე და ოქმის სახით იღებენ გადაწყვეტილებებს. საგნობრივი კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. კათედრის წევრებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს. კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და გეგმავენ ერთობლივ პროექტებს. სკოლის პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებს, საგნობრივ კათედრებს, აქვთ სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული სამუშაო გეგმა, რომლის შესაბამისადაც იკრიბებიან და განიხილავენ საკითხებს. გადაწყვეტილებების მიღება ხდება კენჭისყრის საფუძველზე.

სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართულები არიან სკოლის პედაგოგები და დირექციის წარმომადგენლები.

შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობები იკრიბებიან და გუნდურად იღებენ გადაწყვეტილებებს თავმჯდომარის არჩევაზე, აქტივობების დაგეგმვაზე, შეიმუშავებენ თვითმმართელობის ქცევის წესს, ირჩევენ წარმომადგენელს დისციპლინურ კომიტეტში. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრები მასწავლებლებს ესწრებიან გაკვეთილებზე და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას და რეკომენდაციებს. სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ თავიანთი კოპეტენციის ფარგლებში სკოლის თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართული თვითშეფასების პროცესში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური

მუშაობის პრინციპებს, შესაბამისად, 3.1.2(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6.სკოლის მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში ხორციელდება წარმატებული გამოცდილების აღიარება და გაზიარება. სკოლამ წარმოადგინა კათედრის დებულება წინასწარ შემუშავებული გრაფიკი, რომელშიც გაწერილია პედაგოგთა შორის ურთიერთთანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარების გზები, კერძოდ, პედაგოგები გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით უკავშირდებიან და თანამშრომლობენ სხვადასხვა სკოლის პედაგოგებთან. პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში შექმნილია თიმსის ჯგუფი ,,პროგრესი" სადაც კოლეგები ერთმანეთს უზიარებენ ტრენინგზე მიღებულ ცოდნას.

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია წახალისების ფორმები, კერძოდ: დღესასწაულთან დაკავშირებით, მოტივაციის ამაღლების მიზნით, მუშაობაში მოპოვებული წარმატებისთვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე, დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის და/ან საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) სიგელით დაჯილდოება;

გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარების და გაზიარების მექანიზმი და 3.1.2(6) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მასწავლებლის ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმი
2. სკოლის შინაგანაწესი;
3. ღია კონკურსის ჩატარების მასალები;

4. სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების დამტკიცების ბრძანება
5. შრომითი ხელშეკრულებები;
6. სტრუქტურული ერთეულების ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი, სადაც გაწერილია სკოლაში დასაქმებული პერსონალის საქმიანობის შეფასების გამჭვირვალე მექანიზმები. განსაზღვრულია შეფასების მნიშვნელობა, შეფასების გავლენა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, შეფასებაში ჩართული პირები, მონაცემთა შეგროვების მეთოდები და სამოქმედო/სტრატეგიულ გეგმებში ასახვის ფორმები.მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით, სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლისთვის

სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის უზრუნველყოფის დებულებით''. დებულებაში გაწერილია დებულების მიზანი, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის საქმიანობა, ჯგუფის წევრების მიერ გაკვეთილზე დაკვირვება/შფასების წესი, მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები. აღნიშნული დებულება ადგენს, რომ მასწავლებლის შეფასება ხდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების მიხედვით. შესაძლებელია გამოყენებულ იქნას აღწერითი ან ფოკუსირებული დაკვირვეის სქემა. ამავე მუხლით განსაზღვრულია მასწავლებლის სტატუსების მიხედვით გაკვეთილზე დასწრების ინტენსივობა. გაკვეთილზე დასწრებას ახორციელებს ჯგუფის მინიმუმ 2 წევრი. გაკვეთილზე დაკვირვების შედეგად მასწავლებელს ეძლევა წერილობითი განმავითარებელი შეფასება.

გარდა გაკვეთილზე დაკვირვებისა, მასწავლებლის საქმიანობის შეფასება ხორციელდება 4 მიმართულებით: ა) მასწავლებლის მიერ შედგენილი საგნობრივი კურიკულუმის შეფასება; ბ) საგნობრივი სასწავლო გეგმის თითოეული თემის ფარგლებში განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასება და მასწავლებლის რეფლექსიის (თვითშეფასების) შეფასება; გ) პროფესიული განვითარების მიზნით მასწავლებლის აქტივობების/სტრატეგიების შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა; დ) ხელშეკრულებით, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით და პროფესიული განვითარების სქემის მე-4 მუხლით განსაზღვრული პროფესიული აქტივობების შეფასება. სკოლის დირქტორთა გასაუბრებით დადგინდა, რომ პერსონალის შეფასება ძირითადად ხორციელდება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებით და უკუკავშირის მიცემით. პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრები ავსებენ დაკვირვების ფორას, მასწავლებლები კი ავსებენ თვითშეფასების ფორმას. დაკვირვების ფორმისა და თვითშეფასების ანალიზის საფუძველზე დგინდება მასწავლებლის პროფესიული განვითარების საჭიროება. **ვინაიდან სკოლას აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები, 3.2.1 (1) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული;**

2. **ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას 3.2.1 (2) ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

3. პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტის თანახმად პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აისახება შესაბამისი აქტივობები და საჭირო ბიუჯეტი. სკოლა აყალიბებს პერსონალის განვითარების ხედვასა და პოლიტიკას შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით: მოქნილობა, სწავლის მხარდაჭერა, შეფასება, როგორც სწავლის საშუალება, პროგრესის მონიტორინგი და მხარდაჭერა, უწყვეტი განათლების სერვისების შეთავაზება, კარიერული წინსვლა ნებაყოფლობითია, თანაბრად ხელმისაწვდომია და დამოკიდებულია კონკრეტული მასწავლებლის სურვილზე.

პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან.
აღნიშნულიდან გამომდინარე, 3.2.1(3) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

4. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია, თუ როგორ ზრუნავს სკოლა ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე. ახალი თანამშრომლის ადაპტაციის ეტაპებია: 1. მოლოდინები - მუშაობის დაწყებამდე ჩამოყალიბებული მოლოდინი და შთაბეჭდილება სკოლის შესახებ; 2. შეხვედრა - სკოლაში მუშაობის პირველი სამი თვე, ფორმალური და არაფორმალური სოციალიზაციის პერიოდი; 3. „ოჯახის წევრობა“ - სკოლის/გუნდის სრულუფლებიან წევრად ჩამოყალიბების განცდა. იმისათვის, რომ სწრაფად მოხდეს ახალი თანამშრომლის ადაპტაცია, სკოლა ეხმარება მათ გაეცნონ დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს. დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლის წარდგენა ხდება შესაბამის კათედრაზე, სხვა პერსონალის წარდგენა კი შესაბამის სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთან, რა დროსაც ახალ თანამშრომელს გააცნობენ სკოლაში მუშაობის სპეციფიკას, დაკავებული პოზიციის სპეციფიკას და სკოლაში დამკვიდრებულ მიდგომებსა და წესებს. საქმისწარმოებლის და კათედრის თავმჯდომარის მიერ ხდება ახალი თანამშრომლის გაწევრიანება სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფში. ახალ თანამშომელს გასაცნობად გადაეცემა სკოლის შინაგანაწესი. **წარმოდგენილი დოკუმენტით და სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს ახალი თანამშრომლის გარემოსთან ინტეგრაციის პრაქტიკა, შესაბამისად, 3.2.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლის მიერ წარმოდგენილ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტებში არის აღწერილი, თუ როგორ ახორციელებს სკოლა პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისებას, თანამშრომელთა მოტივირება გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, რომელიც მიმართულია კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისაკენ. მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა **შესაბამისად, 3.2.1(5) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი

2. „პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლისთვის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის უზრუნველყოფის დებულება''
3. ადამიანური რესურსის მართვისა და განვითარების მექანიზმების დამტკიცების ბრძანება
4. პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებები.ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით საქმიანობის მთავარი ღირებულებებია: გამჭვირვალობა, საჯაროობა, ობიექტურობა, სანდოობა, უწყვეტობა და ვალიდურობა. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე" ციკლის (PDCA) პრინციპით. **ვინადაინ სკოლას აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი, შესაბამისად, 3.3.1(1) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

2. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები სკოლას აქვს გაწერილი შემუშავებულ დოკუმენტაციაში, როგორიცაა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, თანამდებობრივი ინსტრუქციები, სკოლის ფილოსოფიის რევიზიის მეთოდოლოგია, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, საქმისწარმოების წესი, თანამშრომლის მიღების წესი, მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი, სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა შესაბამისად, **3.3.1(2) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

3. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი , რომლის თანახმადაც მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული კლასის დამრიგებელი ახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ეს შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალიზაციით, სახელოვნებო/შემოქმედებითი მიდგომების გამოყენებით. დაუშვებელია მოსწავლისათვის უფლებებისა და წესების გაცნობა დოკუმენტზე ხელმოწერით, მოსწავლეში შიშის გრძნობის გაღვიძება, დასჯის შიშის შექმნა და სხვა. ინფორმაცია მოსწავლისა და მისი მეურვის უფლებების შესახებ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ადმინისტრაციის ან კლასის დამრიგებლის მიერ ელექტრონულად ეგზავნება ყველა მოსწავლეს. თითოეული მოსწავლის მეურვესთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები. აღნიშნული დოკუმენტი აგრეთვე ითვალისწინებს სკოლაში მოსწავლის ან მოსწავლის მეურვის, პერსონალის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურას. **ვინაიდან სკოლას დეტალურად აქვს განსაზღვრული თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა, აღნიშნულიდან გამომდინარე, 3.3.1(3) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

4. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თავიანთი უფლებითა და თავისუფლებით თანაბრად.

თანამშრომელთა და სკოლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. მოსწავლის და მშობლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. **აღნიშნულიდან გამომდინარე, 3.3.1.(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი;
2. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდების თაობაზე;
3. თანამშომელთა ხელშეკრულებები;
4. მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში, იმართება მშობელთა კრებებები, რომლებზეც დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმას, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას, ასევე, აწვდიან ინფორმაციას დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებების შესახებ და წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების შესახებ. გარდა ამისა, იმართება დამრიგებლისა და საგნის პედაგოგების შეხვედრები მშობლებთან სხვადასხვა საკითხზე. სკოლა ატარებს

ანონიმურ გამოკითხვებს, რომელიც სასკოლო საზოგადოების წევრებს საშუალებას აძლევს მიაწოდონ თავიანთი მოსაზრებები, სკოლას კი საშუალება ეძლევა მიიღოს უკუკავშირი და დაგეგმოს გასაუმჯობესებელი ნაბიჯები.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მშობელთა კრების ოქმით დგინდება, რომ სკოლა მშობლებსა და მოსწავლეებს დამრიგებლების მეშვეობით აცნობს ინფორმაციას სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ. სკოლის ფეისბუქ გვერდის გადამოწმებით დადგინდა, რომ აქტიურად იყენებს ინფორმაციის განსათავსებლად, აღნიშნულიდან გამომდინარე, **3.3.2(1) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

2. სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წევრებით. კერძოდ:

სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან თითოეული საფეხურის მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული ერთი წარმომადგენელი. ისინი მონაწილეობენ ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორიცაა სკოლის დირექტორის არჩევა, სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება, საჩივრების განხილვა, პედაგოგიური საბჭოს მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის, სასწავლო მასალის, მათ შორის, გრიფმინიჭებული, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხის შეთანხმება და სხვა.

პედაგოგიურ საბჭოში შედიან საგნის მასწავლებლები და სპეციალური მასწავლებლები. პედაგოგიური საბჭო იღებს ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა, თავისი წარმომადგენლის არჩევა დისციპლინურ კომიტეტსა და სამეურვეო საბჭოში და სხვა.

საგნობრივ კათედრებში გაერთიანებულები არიან მასწავლებლები საგნების მიხედვით. კათედრები ირჩევენ სახელმძღვანელოებს, კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, განიხილავენ შემჯამაებელი დავალებების ანალიზს.

დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში, თანაბარი რაოდენობით შედიან მასწავლებელი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე. დისციპლინური კომიტეტი უფლებამოსილია განიხილოს დისციპლინური გადაცდომები.

მოსწავლეთა თვითმმართველობა იცავს მოსწავლეთა ინტერესებსა და უფლებებს, ხელს უწყობს სკოლაში არსებული კლუბების ფუნქციონირებას, გეგმავს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, პროექტებს, გამოფენებს და სხვა.

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან დირექციის, სტრუქტურული ერთეულებისა და შესაბამისი რესურსცენტრის წარმომადგენლები.

სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სკოლაში იქმნება **სამუშაო ჯგუფი (ისგ),** რომლის შემადგენლობაში შედიან საგნის მასწავლებლები, დამრიგებელი და მშობელი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა, შესაბამისად, 3.3.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრუქტურული ერთეულების ოქმები;
2. მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში გასატარებელი ცვლილების შესახებ ბრძანება N2/3 (18.02.2022)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა ხორციელდება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების შესაბამისად. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირია სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მანდატური.

სკოლამ წარმოადგინა ხობის მუნიპალიტეტის მერის 2021 წლის 20 ოქტომბრის ბრძანება ,,ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში სხელმწიფო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განხორციელებული მშენებლობის შედეგის - ქვემო ქვალონის N1 საჯარო სკოლის შენობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ“, რომლითაც დგინდება, რომ ექსპლუატაციაში იქნა მიღებული სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის N 1 საჯარო სკოლის შენობა.

(დანართი 5 ფურცლად).

სკოლაში სამედიცინო კაბინეტი სრულად არის აღჭურვილი. სკოლის ექთანი აწარმოებს - სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალს და დახარჯული მედიკამენტების და სამედიცინო მასალების ფორმას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ ბრძანების დანართით დამტკიცებული ფორმის მიხედვით, სკოლაში უზრუნველყოფილია პირველადი დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობა.

სკოლას არ აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე და არც შესაბამისი უწყების მიწერილობა, თუმცა სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის 25 აგვისტოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახელზე გაგზავნილი წერილი აღნიშნული დასკვნის შედგენის მოთხოვნის თაობაზე.

ასევე სკოლას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

აგრეთვე სკოლას მიეცა რჩევა, რომ მიზანშეწონილია აიყვანოს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოადგინა უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ასევე შესაბამისობის გეგმის თანახმად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.08.2023-30.12.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ მოიპოვის დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ.

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ №06/ნ ბრძანების საფუძველზე. სკოლაში დასაქმებულია მანდატური და ორი დარაჯი, სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უფლებამოსილი პირი. სკოლას შედგენილი აქვს პედაგოგების მორიგეობის სიაც. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალსწინებით სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, შესაბამისად **3.4.1.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლა თავისი შესაძლებლობების ფარგლებში ქმნის გარემოს რომელიც უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სივრცის შექმნას. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა მართავს საინფორმაციო შეხვედრებს, რომლის მიზანია ძალადობის საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ ცნობიერების ამაღლება. სკოლაში განხორციელდა სხვადასხვა აქტივობა, მოსწავლეებმა სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე შექმნეს ბუკლეტები და პოსტერები, **რის შემდეგაც** ბუკლეტები გაავრცელეს სკოლის საზოგადოებაში.

მოსწავლეთა თვითმმართველობამ ჩაატარა სკოლის მოსწავლეებთან გამოკითხვა, რამდენად იცნობდნენ სკოლის შინაგანაწესს. აწარმოა მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო შეხვედრა ,, არა ძალადობას!“

ასევე სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭოც. შესაბამისად **3.4.1.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლაში დასაქებულია სულ 5 დამლაგებელი, მათ შორის სოციალური პროგრამის ფარგლებში 3 დამლაგებელი, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების ფარგლებში და უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი სათანადოდ მარკირებული ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე ოთახი. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსოში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი. შესაბამისად **3.4.1.4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. მშობელსა და სკოლას შორის გასაფორმებელი ხელშეკრულება მოიცავს რეგულაციებს მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ. სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი აწესრიგებს სკოლის მიერ მონაცემთა დამუშავების საკითხებს, ის ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ და სკოლის სახელით მოქმედ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. **3.4.1.5. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. სკოლაში დაცულია ინფორმაცია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების შესახებ. სკოლას აქვს შემუშავებული და დამტკიცებული ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები და დაწესებულება უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული. სკოლას ჰყავს საქმისწარმოებელი რომელიც პასუხისმგებელია კომპიუტერული ლაბორატორიის უსაფრთხო და ეფექტური მუშაობაზე. **3.4.1.6. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

7.ვინაიდან დაწესებულება გადის პირველად ავტორიზაციას აღნიშნული **3.4.1.7. ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. წერილი შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსს, შენობის ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების პირობების შემოწმების მიზნით.
2. დირექტორის ბრძანება პერსონალურ მონაცემების დაცვის მექანიზმების დამტკიცების შესახებ
3. დამლაგებლის შრომითი ხელშეკრულება.
4. სკოლის შინაგანაწესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის N1 საჯარო სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს ორ სართულიან შენობაში. საჯარო რეესტრის(2023 წლის) ამონაწერის მიხედვით, სკოლის შენობა განთავსებულია 14 602 .კვ.მ ფართობის არასასოფლო სამეურნეო ნაკვეთზე. უძრავი ქონების საკადასტრო კოდია №45.14.24.320. მესაკუთრე - სახელმწიფო. ამონაწერის თანახმად, საკუთრების განყოფილებაში მითითებულია ნაგებობა N1 და ნაგებობა N2. სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 28 ოქტომბრის N ბ50.502130015 ბრძანება ,,ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განხორციელებული მშენებლობის შედეგის-ქვემო ქვალონის N1 საჯარო სკოლის შენობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ“, რომლის თანახმადაც შენობის საერთო ფართი - 2328,85 კვ. მ -ია.

სკოლაში სულ 12 საკლასო ოთახია, რომელთაგანაც ყველას აქვს ბუნებრივი განათება. საკლასო ოთახებში ერთადგილიანი მერხები და სკამები, მასწავლებლებისათვის განკუთვნილი მაგიდა და სკამი, დაფები და სხვა სასწავლო ინვენტარია განთავსებული. სკოლის შენობაში არის ლაბორატორიები (საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული), ექთნის კაბინეტი, ბიბლიოთეკა,

ადმინისტრაციის კაბინეტი და სამასწავლებლოს, რესურსოთახი, სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედანი და სხვა დამხმარე სივრცეები. სკოლის ორივე სართულებზე განთავსებულია სველი წერტილები. მათ შორის არის ადაპტირებული სველი წერტილიც. **3.5.1.1.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის შენობაში არის საერთო სარგებლობის სივრცეები: კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო კაბინეტი, სსსმ მოსწავლეთათვის სპეციალური ოთახი და სამასწავლებლო. სკოლის ფოიე, დერეფნები და ეზო იძლევა საშუალებას სხვადასხვა აქტივობების ჩასატარებლად და სრულფასოვანი დასვენებისთვის. **3.5.1.2.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ადაპტირებული სსსმ მოსწავლეებისათვის. კერძოდ, სკოლის შენობის შესასვლელში არის პანდუსი, ხოლო შენობაში არის ლიფტი. ორივე სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი, ეტლით მოსარგებლე სსსმ მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომია სკოლის ყველა კაბინეტი, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა და სპორტული დარბაზი, ყოველივე ამის გათვალისწინებით სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, შესაბამისად **3.5.1.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა არაფორმალური განათლების მიმართულებით სხვადასხვა კლუბებს და აქტივობას სთავაზობს მოსწავლეებს და ამისთვის იყენებს სკოლის ფოიეს და დერეფნებს, სკოლის ეზოს, საკლასო ოთახებს და კაბინეტებს. მათი ნაწილი ინიცირებულია უშუალოდ მოსწავლეთა ჩართულობით. ამ გზით, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი კომუნიკაციის უნარების განვითარებას. **3.5.1.4.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსები.

ისტ-ის მიმართულებით: მოწყობილია კომპიუტერული კლასი, სადაც განთავსებულია პროექტორი და ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერები (29 ლეპტოპი).

სპორტის გაკვეთილებისთვის- სკოლას აქვს თანამედროვე სტანდარტის შესაბამისი სპორტული დარბაზი თავისი გასახდელებით და საშხაპეებით, აგრეთვე სკოლის ეზოში მოწყობილია სპორტული მოედანი, ხელოვნური საფარით.

საბუნებისმეტყველო მიმართულებით:

სკოლას არა აქვს შესაბამისი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ლაბორატორიის მოწყობა იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს კურიკულუმით გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოს ჩატარება.

3.5.1.5.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შენობის ვიზუალური დათვალიერება;
- სასკოლო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მერხები, დაფები, სახელმძღვანელოები);
- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სამედიცინო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებს ტექნოლოგიებს და შესაბამისი ინფრასტრუქტურაც ხელმისაწვდომია, როგორც მოსწავლეთათვის, ისე სკოლაში დასაქმებული თანამშრომლებისთვის.
საზიარო სამუშაო სივრცეს წარმოადგენს კომპიუტერული ლაბორატორია. მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის განკუთვნილ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირია საქმისწარმოებელი.
სკოლის კომპიუტერული ინფრასტრუქტურის აღწერიდან ჩანს, რომ ამ ეტაპზე სკოლას აქვს საკმარისი კომპიუტერების რაოდენობა, კერძოდ 29 ლეპტოპი, ყველა საგაკვეთილო პროცესი ტექნიკის დახმარებით განხორციელდეს, სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში ტექნიკა გამართულ მდგომარეობაშია. თუმცა **სკოლას არა აქვს შემუშავებული** გარკვეული წესები ინტერნეტის სარგებლობასთან დაკავშირებით, რათა არ მოხდეს მისი არამიზნობრივად გამოყენება. ასევე კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს მომხმარებლის უფლებებს (შეიყვანოს და დაარედაქტიროს ტექსტი, მოიძიოს და გადმოწეროს საჭირო მასალები; ისარგებლოს ელექტრონული რესურსით და მათი გამოყენებით იმუშაოს ლიტერატურაზე) და შეზღუდვებს (დაუშვებელია კომპიუტერებში რაიმე ფაილის წაშლა, ასევე მისი გამოყენება თამაშებისა და სხვა გართობისათვის) სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს ზემოთ აღნიშნული წესი.

3.6.1.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლაში არის საზიარო სამუშაო სივრცე, კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ ნებისმიერ მოსწავლეს ან/და მასწავლებელს შეუძლია სკოლის კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება, როგორც საშინაო დავალებების შესასრულებლად, ისე პრეზენტაციების, ონლაინ ჟურნალში სამუშაოდ და ასევე ტრენინგების ჩასატარებლად. კომპიუტერულ ტექნიკის გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელია სკოლის საქმისწარმოებელი,

3.6.1.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ვიზუალური დათვალიერება;

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას და ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. მისი ფუნქციები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებული ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. ბრძანებები ინომრება წლიდან წლამდე, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით. სკოლაში დოკუმენტების ელექტრონულ რეგისტრაციასთან ერთად მოქმედებს მატერიალური რეგისტრაციის ჟურნალებიც, რომლებიც დანომრილი, აკინძული, ბეჭედდასმული და ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ. **3.6.2.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow). სკოლაში eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა, სადაც ხდება ზოგიერთი ინფორმაციის და დოკუმენტის მიიღება. **3.6.2.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტები გაეცნენ სკოლის პროფილს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც გაირკვა, სკოლას სრულად აქვს ასახული მონაცემები სკოლის ბარათზე. სრულყოფილია ინფორმაცია მასწავლებლების შესახებაც და ატვირთულია შესაბამისი მტკიცებულებები. სკოლის მიერ შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა, ასევე ხელმისაწვდომია სკოლის პროფილზე. შესაბამისად **3.6.2.3.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას. დაწესებულება ხობის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის შუამდგომლობის საფუძველზე, მიმართავს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს, ასევე, სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სხვადასხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს.**3.6.2.4.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის ბრძანება „საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცების შესახებ “;
- სკოლის სარეგისტრაციო ჟურნალების ნიმუშები;
- Eschool -ის და Eflow - ვიზუალური დათვალიერება.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული

აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სახელზე შექმნილია ოფიციალური პროფილი შემდეგ მისამართზე: https://skolebi.emis.ge/, სკოლას ვებგვერდზე განთავსებული აქვს ინფორმაცია სკოლის შესახებ, აღნიშნულის გათვალისწინებით ვებგვერდი იძლევა საკომუნიკაციო საშუალების ფუნქციას. გარდა ამისა სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს, სადაც გახსნილი აქვს თავისი გვერდი და იძლევა წერილის მიწერის შესაძლებლობას, ასევე სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც მუდმივად ხდება სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე სიახლეების გამოქვეყნება. **3.6.3.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის, მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას და ამისთვის, ამ ეტაპზე იყენებს როგორც ვებგვერდს ასევე სოციალურ ქსელს. სკოლის ფეისბუქ გვერდის დათვალიერებით, ჩანს რომ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებები, არის სანდო, რამდენადაც ყველა ინფორმაცია გავრცელებულია ოფიციალური გვერდიდან. **3.6.3.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას ინდიკატორი **3.6.3.3. ვერ იქნება შეფასებული;**

4. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას აქვს ვებგვერდი, სადაც განთავსებულია სრული ინფორმაცია სკოლის შესახებ. ვინაიდან სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე, შესაბამისად ინფორმაცია განთავსებულია მხოლოდ ქართულ ენაზე. **3.6.3.4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლას ვებგვერდზე განთავსებული აქვს ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა და ღირებულებები, გრაფიკული სახით წარმოდგენილია სკოლის სტრუქტურა. ასევე პროგრამები და მათზე ჩარიცხვის პროცედურები, მოსწავლეთა უფლებები და გასაჩივრების მექანიზმები, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ გვერდი სრულად შეიცავს ინფორმაციას სკოლის შესახებ **3.6.3.5. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სოციალური გვერდის ვიზუალური დათვალიერება;
- სკოლის ვებგვერდის ვიზუალური დათვალიერება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლას ურიცხავს სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილ ფულად სახსრებს, მასწავლებელთა დანამატს. თანხის განკარგვა მიზნობრივია და სრულად ხმარდება სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარებას, სწავლა-სწავლების პროცესს და სკოლის განვითარებისაკენ მიმართულ სხვა აქტივობებს/ღონისძიებებს.ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას ,რომ სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება **3.7.1.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემა. კერძოდ, სკოლის შესყიდვები ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. შესყიდვების საფუძველს წარმოადგენს სკოლის მატერიალურ ტექნიკური კოორდინატორის მიმართვა, რომელსაც კათედრები აწვდიან ინფორმაციას მათთვის საჭირო ინვენტარის თაობაზე. სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. წლის ბოლოს დგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, სადაც დეტალურად არის აღწერილი წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსური სახსრები. **3.7.1.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე;
- სკოლის დირექტორის ბრძანება - სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის N1 საჯარო სკოლის 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ“;
- სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი ფინანსური საქმიანობის ანგარიში;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც შეთანხმებულია სასკოლო საზოგადოებასთან და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ, მის დაცვის და აღსრულების უზრუნველსაყოფად იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. შინაგანაწესი აგრეთვე გამოკრულია სკოლის ფოიეში. სკოლას ჰყავს დარაჯი, მორიგე მასწავლებლები. სკოლაში შემუშავებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. ბავშვთა ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები, არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, სკოლის ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, ასევე განსაზღვრავს საქართველოში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) კოორდინირებული და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებაში სკოლის მონაწილეობის წესს. დირექტორის ბრძანებით განსაზღრულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი. **4.1.1.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. დამრიგებლის დებულების თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სამეურვეო საბჭო ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს, რომელიც გამოკრულია დერეფანში და სასკოლო საზოგადოების ჩართულობით მასში ხორციელდება ცვლილებები. მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება ითავლისწინებს შინაგანაწესის გაცნობას, რაც დასტურდება ხელმოწერით.

ამდენად, სკოლის მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციები შემუშავებულია კანონმდებლობის სრული დაცვით და მარტივად აღსაქმელია, ხოლო გაწერილი წესები და პროცედურები გამჭირვალე და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი. **4.1.1.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, სკოლის საქმიანობის, მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების, მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა გამოყენების წესის, სასწავლო, დასვენების, უქმე დღეების, ხელშეკრულების მოქმედების ვადისა და შეწყვეტის წესის და სხვა დამატებითი პირობების შესახებ. **4.1.1.3 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი
2. მშობელთა კრების ოქმი
3. სასკოლო სასწავლო გეგმა
4. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება
5. სკოლის დირექტორის ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და მობილობა რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის შესაბამისად. სკოლამ ვიზიტის დროს დამატებით წარმოადგინა ბრძანებით გაწერილი მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. **4.1.2.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლაში დაცულია მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის წესები, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესები. მოწესრიგებული აქვთ მოსწავლეთა პირადი საქმეები.**4.1.2.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3.სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას. სოცილურ ქსელის საშუალებით, ხელმისაწვდომია სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალები. მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს ორივე მხარის უფლება-მოვალეობებს. საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო კალენდარი, დღის რეჟიმი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და ტელეფონის ნორმები, რაც უკავშირდება უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

წარმოდგენილ ინფორმაცია ადასტურებს, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი **4.1.2.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა ინფორმაციას ავრცელებს სოციალური ქსელის საშუალებით, რომლის სანდოობაზეც პასუხისმგებელია საქმისწარმოებელი. აღნიშნულ გვერდზე ინფორმაცია არის ყოველდღიურად განახლებადი და ასახავს სკოლის საქმიანობას, აქტივობებს და ემსახურება ინფორმირებულობას. ასევე სკოლა აქვს საინფორმაციო დაფა, მასწავლებლებს შექმნილი აქვთ

დახურული ჯგუფები, სადაც ხდება დაინტერესებულ პირთა ინფორმირება. მომავალ წლებში სკოლა გეგმავს კითხვარების შემუშავებას სასურველი თემების განხილვის მიზნით. 4.1.2.4. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი;

დამრიგებლის დებულება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული არ აქვს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესი, თუმცა, სკოლის მიერ მოწოდებული დამრიგებელთა ანგარიშებით და სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციისათვის ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს, სკოლა ქმნის უსაფრთხო და კეთილგანწყობილ გარემოს და ახდენს ფიზიკური გარემოს ადაპტირებას მოსწავლის საჭიროებებზე, დამრიგებელი ახალ მოსწავლეს და მის მშობელს/ კანონიერ წარმომადგენელს ათვალიერებინებს სასკოლო და საკლასო გარემოს, აცნობს სასკოლო სასწავლო გეგმას, მოსწავლისა და მშობლის უფლება-მოვალეობებს, სკოლის შინაგანაწესს, აწოდებს ინფორმაციას პირების/უწყებების ნომრების, ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ; კლასის დამრიგებლები ეცნობიან მოსწავლეების პირად საქმეებს, მოსწავლეების მშობლებისაგან გამოითხოვენ შვილების ფსიქო-სოციალურ-ემოციურ დახასიათებებს, ინფორმაციას მათი ჯანმრთელობის შესახებ, რათა ხელი შეეწყოს მოსწავლეთა ადაპტაციას ახალ სასწავლო გარემოსთან. სსსმ მოსწავლის სასკოლო გარემოში ადაპტაციის მექანიზმები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის ინკლუზიური განათლების ნაწილში. სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშაოს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება, როგორც პირველკლასელთა სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები, აგრეთვე სხვა სკოლიდან გადმოსული და უცხო ქვეყნიდან ჩამოსული მოსწავლეების შემთხვევებში ადაპტაციის წესი. **4.2.1.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ცდილობს და ხელს უწყობს მოსწავლის სკოლის სასწავლო გარემოსთან ადაპტირებას. დამრიგებელი მუდმივად ზრუნავს ახალ მოსწავლეებზე. პირველკლასელებს აქვთ

საშუალება, დაწვრილებით გაეცნონ სასკოლო გარემოს. სხვადასხვა ღონისძიებების, შეხვედრებისა და აქტივობების საშუალებით სკოლა ცდილობს პირველკლასელთა სასწავლო გარემოსთან შეგუებას. სკოლაში სსსმ მოსწავლის გადმოსვლის ან ჩარიცხვის შემთხვევაში იქმნება ისგ ჯგუფები, რომელთა მიერ ხდება მოსწავლეზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. ამასთანავე მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, ცხადდება კონკურსი ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის დასაქმება. **4.2.1.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის დირექციასთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ სემესტრის მიმდინარეობის დროს და დასასრულს, კლასის დამრიგებლები ინდივიდუალურად აცნობენ ინფორმაციას მშობლებს შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით ტარდება სემესტრული გამოცდები. აღნიშნულთან დაკავშირებით ხდება მშობლების ინფორმირება დამრიგებლის მიერ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით. **4.2.1.3 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სასკოლო სასწავლო გეგმით წინასწარ განსაზღვრულია სკოლაში წლიური, სემესტრული, ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესები და პირობები, ასევე მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დაძლევის წესები. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი. სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს, ეხმარება ღონისძიებების ჩატარებაში.**4.2.1.4 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული სასკოლო დაგეგმვასა და განხორციელებაში.სკოლა ახორციელებს სხვადასხვა საკლუბო აქტივობებს: ფუნქციონირებს კლუბი „ეკოქვანი“, რომელიც შექმნილია პროექტ „ ნიკო კეცხოველის“ ფარგლებში და სკოლა გადავიდა ნახევარფინალში ათეულში და დაიკავა მე-8 ადგილი რეგიონის მასშტაბით.გრძელდება პროექტის სიცოცხლისუნარიანობა და ამ ეტაპზე მიმდინარეობს გეგმით გათვალისწინებული აქტივობები.

სკოლაში უკვე რამოდენიმე წელია ფუნქციონირებს კლუბი ,,საქართველოს მომავალი ფერმერები“ (FFG). კლუბს აქვს თავისი ემბლემა, საინფორმაციო დაფა, წესდება, კედლის გაზეთი და ჰყავს თავისი პრეზიდენტი. პარტნიორი ორგანიზაციებია GIPA და ორგანიზაცია WORD LINKI, ასევე სკოლის პარტნიორია ჩრდილო ოკონის მხარის უმაღლესი სკოლის ამერიკის მომავალი ფერმერების (FFA) ორგანიზაცია. ამ პროექტით სკოლა წარდგა ექსპოჯორჯიაში მოწყობილ რესპუბლიკურ გამოფენაზე და სკოლათშორის კონფერენციაზე ,,მდგრადი განვითარების მიზნები“ (ორგანიზატორი მაია ლაპაშვილი). პროექტმა,, თანამედროვე სოფელი და ბიოინტენსიური მეურნეობა“. პროექტმა საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზრის (მარკეტინგის განვითარება) მიიღო პირველი ადგილი და WORDLINK-ის პრეზიდენტის დაფინანსებით გადაეცა ფულადი ჯილდო. სკოლა ჩართული იყო აშშ-ის საშუალო სკოლების ტექნიკური და პროფესიული განათლების TVET გაცვლით პროგრამაში, რომელიც განხორციელდა ათასწლეულის გამოწვევების მხარდაჭერითა და აშშ-ში დაფუძნებული გაცვლითი ორგანიზაცია WORDLINK-ის მეშვეობით. პროგრამამ მოიცვა 3 შტატი: ნიუ-ორკი, აიოვა და ინდიანა. ინდიანაპოლისში ოფიციალური სტუმრის სტატუსით სკოლის დირექტორი დაესწრო ამერიკის მომავალ ფერმერთა ეროვნულ კონვენციას. ვიზიტის დროს მიღებული გამოცდილებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და პარლამენტის განათლების კომიტეტის მხარდაჭერით სკოლას დაგეგმილი აქვს საპილოტე კლასის ჩამოყალიბება, რათა კიდევ უფრო გაიზარდოს მოსწავლეთა პროფესიული სფეროებით დაინტერესებისა და ჩართვის მაჩვენებელი. **4.2.1.5 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას 4.2.1.6 ინდიკატორი ვერ შეფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დამრიგებლის სამუშაო დებულება;
2. სადამრიგებლო პროგრამები;
3. მოსწავლის გარემოსთან ადაპტაცია - დამრიგებლის ანგარიში;

4. კლუბის დებულებები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში პროფესიული უნარების გამომუშავებას, სკოლის შემდგომი განათლების საფეხურზე მოსწავლეების ეფექტურად გადასვლასა და პროფესიული განათლების პოპულარიზაციას. ამ მიზნით სკოლა მეათე კლასის მოსწავლეებს სთავაზობს არჩევით საგანს- მეწარმეობის საფუძვლები.

არაფორმალური განათლებისა და სხვადასხვა პროექტის განხორციელებით ხდება ასევე პროფესიული უნარების განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული კურსის მიზანია მოზარდებს განუვითარდეთ სამეწარმეო და კარიერული დაგეგმვის უნარ-ჩვევები, რათა მათ მომავალში შეძლონ დასაქმება (მათ შორის თავითდასაქმება) საკუთარი ინტერესების შესაბამისად.

სამომავლოდ სკოლა გეგმავს ფოთის კოლეჯ ,,ფაზისთან“ მემორანდუმის გაფორმებას და სკოლაში საპილოტედ ორი მიმართულების დანერგვას. მოსწავლეთა შეთანხმებით არჩეულია აგრარული მეცნიერებების და ეკოლოგიურად სუფთა საკვების წარმოება, თმის ვარცხნილობა და ვიზაჟი.

პროფესიული ორიენტაციის აქტივობები აქტიურადაა ჩაშლილი სადამრიგებლო პროგრამებში. ყოველწლიურად სკოლას სტუმრობენ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები, აკეთებენ პრეზენტაციებს და აძლევენ მოსწავლეებს რჩევებს.

4.2.2.1.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. დაწესებულების დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა ორგანიზებას უწევს უნივერსიტეტების წარმომადგენლებისა და სხვადასხვა პროფესიის პირებთან შეხვედრებს საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან, რათა მათ შეძლონ სწორი არჩევანის გაკეთება მომავალი პროფესიის შერჩევისას. აგრეთვე სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებს კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით და სთავაზობს სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობას.

4.2.2.2.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას 4.2.2.3. ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა;
2. სადამრიგებლო პროგრამა;
3. ადმინისტრაციასთან გასაუბრება;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება ი.ს.გ ჯგუფი. ი.ს.გ. ჯგუფის შეხვედრები ხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ოთხჯერ და საჭიროების შემთხვევაში მეტჯერაც. ი.ს.გ ჯგუფის შეხვედრაზე სსსმ მოსწავლის მშობელი აქტიურადაა ჩართული შვილის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრასა და ი.ს.გ გეგმის შედგენაში. თითოეული

მოსწავლისათვის შედგენილი ინდ. გეგმა ითვალისწინებს მათ ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და მაქსიმალურად არის მორგებული სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე. სკოლაში ბრძანების საფუძველზე შექმნილია სკოლის შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც განიხილავს მონიტორინგის შედეგებს და წლის ბლოს დებს დასკვნას. სასწავლო წლის დაწყებამდე სსსმ მოსწავლე და მისი მშობელი ხვდება კლასის დამრიგებელს, სპეც. მასწავლებელსა და დირექტორს. შეხვედრის მიზანია მოხდეს მოსწავლის ადაპტირება სასკოლო გარემოსთან. ასევე, წინასწარ ეწყობა შეხვედრა იმ კლასის მშობლებთან, რომელშიც მოსწავლეს მოუწევს სწავლა. სპეციალურმა მასწავლებელმა წარმოადგინა მიმდინარე წლის ინკლუზიური განათლების განხორციელების საქმოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია წლის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობები.

ინდიკატორი 4.2.3.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმაში სპეც. მასწავლებელს ყურადღება გამახვილებული აქვს მშობლის, დამრიგებლისა და საგნის მასწავლებლის ჩართულობაზე. ექსპერტებმა დაათვალიერეს სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილი რესურსები, გაესაუბრნენ სპეც. პედაგოგს და დეტალურად გაეცნენ მის საქმიანობას. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში მუდმივად ხორციელდება სსსმ მოსწავლეების განვითარებისთვის საჭირო აქტივობები. სპეც. მასწავლებელთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სსსმ მოსწავლეები აქტიურად იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა შემოქმედებით ღონისძიებებსა თუ კონფერენციებში. **ინდიკატორი 4.2.3.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსსმ გეგმა
2. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა
3. ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ამ ეტაპზე სკოლა მოსწავლეებს დამატებითი მომსახურებას არ სთავაზობს, **შესაბამისად ინდიკატორი 4.2.4.1. ვერ შეფასდება;**
2. ამ ეტაპზე სკოლა მოსწავლეებს დამატებითი მომსახურებას არ სთავაზობს, **შესაბამისად ინდიკატორი 4.2.4.2. ვერ შეფასდება;**
3. ამ ეტაპზე სკოლა მოსწავლეებს დამატებითი მომსახურებას არ სთავაზობს, **შესაბამისად ინდიკატორი 4.2.4.2. ვერ შეფასდება;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი- დაწყებითი საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, თანდართულ დოკუმენტებში და დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლაში განსაზღვრულია საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგიის საკითხები. ინტერვიუს მსვლელობისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლის და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ და კათედრაზე კოლეგიალურად შეიმუშავებენ კურიკულუმებს. ხდება მშობლების ინფორმირება და მათი უკუკავშირის გათვალისწინება კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის ჩარჩო დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია თუ როგორ ხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულების, და პრიორიტეტების გათვალისწინება კურიკულუმის შემუშავების პროცესში.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში, შერჩეული სასწავლო თემები და რესურსები გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან და გათვალისწინებულია მოსწავლეების ინტერესები. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ფორმის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმს, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილს ითანხმებს სამეურვეო საბჭო, რომელშიც წარმომადგენელი ჰყავს როგორც მშობლებს, ასევე მოსწავლეთა თვითმმართველობას, რომლებსაც ეძლევათ საშუალება აზრი გამოთქვან და გამოკვეთონ როგორც მოსწავლეების ასევე მშობლების ინტერესები. დოკუმენტს ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში იკვეთება მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების ინტერესების გათვალისწინების მაგალითები და ჩართულობის ელემენტები. ინტერვიუს მსვლელობისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა და ერთობლივად გეგმავს სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებს, კომპლექსურ დავალებებს და აქტივობებს. სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც აღწერილია თუ რა ფორმით მონაწილეობენ საზოგადოების წევრები კურიკულუმის შემუშავების პროცესში.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლაში კურიკულუმის გაზიარება ხდება კათედრაზე, მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრებზე, სასკოლო საზოგადოებაში. სკოლის მიერ განხორციელებელი აქტივობები განთავსებულია სკოლის ფეისბუქ გვერდზე. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ფლობენ კურიკულუმსა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილ მასალას. რადგანაც სკოლას არ აქვს კომპლექსური დავალებების განხორციელების დიდი გამოცდილება, ამ მიმართულებით არსებული პრაქტიკის გასაუმჯობესებლად, ახალი სასწავლო წლიდან გამოხატავს მზაობას და გეგმავს კომპლექსური დავალებების ბარათების შემუშავებას მშობლებისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურუკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- პედსაბჭოს ოქმი;
- ინტერვიუ პედაგოგებთან.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილები, რომლებიც წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვისა და განვითარების გზას. არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში ძირითადად სწორად არის განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები. წარმოდგენილი კონტექსტ - მაგალითები იძლევა მოსწავლის მხრიდან დაფიქრებისა და წინარე ცოდნის გააქტიურების საშუალებას. კომპლექსურ დავალებებში გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების გრძელვადიან მიზნებზე. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას გაითვალისწინეს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი გრძელვადიანი მიზნები. სკოლამ ასევე წარმოადგინა მათ მიერ შემუშავებული შეფასების დოკუმენტები (განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები), რომლებიც კორელაციაშია კურიკულუმში მოწოდებულ საკითხებთან და გაწერილია სამიზნე ცნებებთან მიმართებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში სწორად არის განსაზღვრული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დაწყებითი საფეხურის საგნების სტანარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები. წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ კომპლექსური დავალებისა და კომპლექსური ბუნების დავალებების მიმართება კონკრეტულ სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების მიმართ, რაც უზრუნველყოფს გრძელვადიან მიზნების განხორციელებას. ასევე აღსანიშნავია პედაგოგების მიერ კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში დაგეგმილი აქტივობები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეებისთვის ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა) განვითარებაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. სასწავლო გარემო და დაგეგმილი კურიკულუმები მოსწავლეთა საჭიროებებზე არის ორიენტირებული. პედაგოგები სასწავლო

პროცესში იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები და შესაძლებლობები, მრავალფეროვანია და მოსწავლეზე მორგებულია რესურსები და სასწავლო მასალა. შერჩეულია ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოები, რაც მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს. დავალებები აძლევს მოსწავლეს შესაძლებლობას, გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. სსსმ მოსწავლეებისათვის შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური გეგმები, რომლებიც ეფუძნება თითოეული მოსწავლის აქტუალურ დონეს და მათში გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებები, ინტერესები და ინდივიდუალური შესაძლებლობები. ამჟამად სსსმ მოსწავლეებისათვის სკოლაში შექმნილია შესაბამისი პირობები, კერძოდ, გამოყოფილია ოთახი, რომელიც აღჭურვილია მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სკოლაში შეფასება იწარმოება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით. V-VI კლასებში მოსწავლეთა შედეგები ფასდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით, ხოლო I-VI კლასებში - განმავითარებელ რუბრიკებზე დაყრდნობით. გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ ამჟამად ახორციელებენ ზეპირ განმავითარებელ შეფასებას, თუმცა პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული კომპლექსური დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკის აგების პრინციპი. სკოლის მიერ წარმოდგენელია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იმ კომპლექსური დავალებებისთვის (თუმცა ყველა კონტექსტ - მაგალითისთვის არ იყო წარმოდგენილი), რომლებიც გაწერილია კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში და დაგეგემილია 2023 - 2024 სასწავლო წლისთვის. სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს და მომდევნო სასწავლო წლისთვის შერჩეულია განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. იგეგმება განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა (I - IV და V - VI კლასები) ყოველი კონტექსტ - მაგალითის მიმართ და ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შექმნა (V და VI კლასები) დაწყებითი საფეხურის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად შესასწავლი თემებისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. დაწყებით საფეხურზე, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კათედრაები ახდენენ წინა წლის გამოცდილების ანალიზს, კერძოდ, კოლეგები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარი პრაქტიკას და მათი გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს. თითოეული მასწავლებელი ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. არჩევს მისი საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების აქტივობებს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ მასწავლებლები კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეების, კოლეგების, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგებს, წინარე გამოცდილებას, რის საფუძველზეც გეგმავენ ახალ კომპლექსურ დავალებებს და აგრძელებენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმზე მუშაობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

- სკოლის სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო ცხრილები;
- შეფასების რუბრიკები;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- ინტერვიუ პედაგოგებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებულია დაწყებითი საფეხურის მოსწავლის ინტერესები და საჭიროებები, შესაბამისად იძლევა მოსწავლის შინაგანი მოტივაციის აღძვრის შესაძლებლობას, I- IV კლასის კურიკულუმების ჩარჩოში

წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები თავისი ფორმითა და შინაარსით ორიენტირებულია მოსწავლეზე და მოითხოვს აქტიურ შემოქმედებით ჩართულობას. საშუალებას აძლევს მოსწავლემ გაიფართოვოს თვალსაწიერი, იმსჯელოს, დაფიქრდეს პრობლემის გადაჭრის გზაზე, შეძლოს პრობლემის სხვადასხვა პერპექტივიდან დანახვა და შეფასება, დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეებს დასჭირდებათ ორიგინალური და ახალი იდეის მოფიქრება, იდეების განვითარება. ამას ადასტურებს მასწავლებელთან საუბარი და მათ მიერ აღწერილი პოცესები, აქტივოებები რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეების მიერ სხვადასხვა სახის პროდუქტის შექმნას - პოსტერების, მოდელები, ბუკლეტების დამზადებას. გასაუბრებისას გაირკვა, რომ სკოლაში გეგმავენ სპორტული ღონისძიებების ჩატარებას, სადაც გაითვალისწინებენ მოსწავლეების სურვილებს. საკლასო და კლასგარეშე სპორტული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებში ინტერესების აღძვრას, მოტივაციის გაზრდას და უბიძგებს, რომ აქტიურად ჩაერთონ შემოქმედებით პროცესში. ასევე სკოლში ხორციელდება არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას ჩაერთონ სხვადასხვა სახის პროექტებში, ღონისძიებებში, სასკოლო წრეებში, საკლუბო აქტივობებში. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასკოლო კულტურა, გაკვეთილზე ძირიტადი აქცენტი კეთდება კრეატიულ, სახალისო აქტივობებზე, კეთებით სწავლაზე, როლურ თამაშზე. ეს პროცესები ხელს უწყობს მათი შინაგანი მოტიცაციის გაღვივებას და მაღალი თვითეფექტიანობის ჩამოყალიბებას. **ესთეტიკური აღზრდის** თვითშეფასების კითხვარში გვხვდება ჩანაწერი, რომ სკოლაში განხორციელებული სასწავლო ფორმალური და არაფორმალური აქტივობები მოსწავლეებს აძლევს თვითგამოხატვის შესაძლებლობას. სკოლის მიზანია, მოსწავლე ჩამოაყალიბოს თავისუფალ, მოაზროვნე, შემოქმედებით ინდივიდად, შესძინოს ცხოვრებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. ინტერვიურების პროცესში, ესთეტიკური კათედრის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ გარდა კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტების და შეფასების რუბრიკების შექმნისა, აქტიურად თანამშრომლობენ და გეგმავენ საგნობრივ საჭიროებებზე მორგებულ პროექტებს, არაფორმალურ აქტივობებს, რაც მოსწავლეებს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას მისცემს. სკოლაში ვიზიტზე მყოფ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ადგილზევე ენახათ ესთეტიკური კათედრის მიერ შესრულებული პროექტები, რომელიც მოცემული იყო გამოფენის სახით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო აგებულია თემატიკის გათვალისწინებით, რაც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის და დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში, ნაცნობი კონტექსტები იკვეთება ასევე წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობებშიც, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლემ მოახდინოს ცოდნის კონსტრუირება. მაგ., მოსწავლეს უწევს იმსჯელოს მისთვის აქტუალურ თემაზე, ერთი პერსონაჟის ხედვის კუთხედან მისწეროს წერილი მეორე პერსონაჟს (წერილის ფორმა მისთვის უკვე ნაცნობი კონტექსტია). სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს პრონციპებით ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. კომპლექსური ტიპის დავალებები ითვალისწინებენ, რომ მათზე მუშაობისას პროცესში ხორციელდება წინარე ცოდნაზე

დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება. ასევე, მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მოსწავლეებში რეფლექსიის უნარის განვითარებას. მაგ: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ, სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, როგორ გაუმკლავდა ხელშემშლელ ფაქტორებს. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებმა ნამუშევრის წარდგენის შემდეგ თანატოლების წინაშე ისაუბრეს აღნიშნული დავალების შექმნის პროცესზე, დეტალურად გაანალიზეს თითოეული ნაბიჯი, სწავლის პროცესი, რასაც, შესაბამისად, მოჰყვა უკუკავშირი, როგორც თანაკლასელებისაგან, ისე მასწავლებლისგანაც. სკოლის თვითშეფასების კითხვაში კი ვკითხულობთ: ,,გარდა ამისა სადამრიგებლო საათებში შერჩეულია ისეთი თემატიკა, რაც აქტუალურია მათი ასაკისთვის, მათი ცნობიერებისთვის. მოსწავლის პიროვნული და ფსიქოსოციალური განვითარების ხელშეწყობა ხდება სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით: როლური თამაში, დისკუსია, დებატები, კლასის ორგანიზების სხვადასხვა ფორმა, ფილმების ჩვენება და განხილვა თემის და ფორმის შერჩევით და კლასის საჭიროებების გათვალისწინებით როგორც უშუალოდ საგაკვეთილო პროცესში, ასევე არაფორმალურ პროექტებში აქტიური ჩართულობით. მაგალითად, უცხო ენებში დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები თავისი თემატური კონტექსტით ეხმარება მოსწავლეებს ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში და გააზრებაში. მოსწავლეებისთვის შეთავაზებულია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებშიც მოსწავლეებს უწევთ ნაცნობი კონტექსტის გამოყენებით გადაჭრას პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას პროდუქტი. სასწავლო პროცესში წახალისებულია პროექტების ინიცირება, ღონისძიებები, თანამშრომლობითი აქტივობები, რის საუძველზეც შეგვიძლია დასკვნის გაკეთება რომ სკოლას აქვს გამოცდილება სასწავლო პროცესში გამოიყენოს კონსტრუქტივიზმის პრინციპები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. საგნობრივი კურიკულუმები მოითხოვს სწავლის პროცესზე აქცენტირებას მოსწავლის მხრიდან. შერჩეული დავალებები მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს გაითვალისწინოს წინარე გამოცდილება, გაიაზროს საკუთარი სწავლის პროცესი, დაფიქრდეს, რა გამოუვიდა კარგად, რა გაუძნელდა, რა ხერხები და სტრატეგიები გამოიყენა დავალებების შესასრულებლად; შერჩეული დავალებების ბარათებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ითვალისწინებს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. გარდა ამისა, გასაუბრებაზე პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ იყენებენ გასასვლელ ბილეთებს, თვითშეფასების რუბრიკებს და კითხვარებს იმისათვის, რომ მოსწავლემ შეძლოს საკუთარ სწავლის პროცესზე დაკვირვება და დასკვნების გამოტანა. დაწყებით საფეხურზე სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტი კეთდება მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე, რასაც თვითდაკვირვების შესაბამისი სქემები, კომპლექსური დავალების შემდეგ გაკეთებული თვითრეფლექსიები უწყობს ხელს. სწავლა-სწავლების პროცესში სკოლა უპირატესობას ანიჭებს სტრატეგიებს: სწავლა კეთებით, მოდელირება. სწავლის სტრატეგიების დაუფლების მიზნით მათემატიკის მასწავლებლები სვამენ ისეთ კითხვებს, რომლებიც მოსწავლეებში ხელს უწყობს ნასწავლთან მიმართებაში ჩამოუყალიბდეს რეფლექსიური აზროვნება და ხელი შეეწყოს მოსწავლეთა მიერ სწავლის სწავლაზე დაფიქრებას, მაგალითად როგორ არის უმჯობესი ახალი მასალის ათვისება მაგალითად გეომეტრიული საკითხის შესწავლის დროს გრაფიკული ნახაზების შედგენა,

ასევე მოკლე ტექსტი დაწერა რეფლექსიის სახით, რომელშიც აღწერს იმ მთავარ სათქმელს რაც საკითხის შესწავლის დროს გამოიკვეთა, ასევე ახალი სიტყვის შეხვედრის დროს ასოციაციური რუკის შედგენა. კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები. სკოლაში განხორციელებულია პროექტები, რომელშიც მოსწავლეებს უწევთ მსჯელობა მათ გამოცდილებაზე, ინტერესებზე, პრობლემის იდენტიფიცირებაზე და მათი გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებაზე. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს, სკოლას აქვს მოსწავლეების მიერ რეფლექსიის ვერბალურად განხორციელების გამოცდილება, მოსწავლეები აფასებენ საკუთარ ნამუშევარს, მსჯელობენ რა გამოუვიდათ კარგად დავალების შესრულებისას, რა გაუჭირდათ, რაც მოსწავლეს ეხმარება საკუთარი თავის განვითარებაში, საკითხის უკეთ გააზრებაში, წინსვლასა და წარმატებაში. საგაკვეთილო პროცესში ხდება ასევე თანატოლთა შეფასება, სკოლას აქვს გამოცდილება თვითშეფასების რუბრიკების გამოყენების. სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდება, მოსწავლეს განუვითარდეს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რათა მან შეძლოს საქმიანობის განსაზღვრა, დავალების აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი და ქცევის სოციო-ემოციური მართვა. მაგალითად, ესთეტიკური საგნების კურიკულუმში მოცემული შესასწავლ მასალაში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მოცემული მასალა მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს წამოჭრას პრობლემა, ეძიოს გადაჭრის გზები და წარმოადგინოს ისეთი პროდუქტი, რომელიც მას ცხოვრებისეული გამოცდილების გაზიარების საშუალებას მისცემს. მუსიკის საგანში ეს შეიძლება იყოს მოცემული შესასწავლი სავალდებულო თემები, როგორიცაა „გარესამყაროს ხმები მუსიკაში“; „ყოფითი საგნები მუსიკაში“; „დღესასწაულები და წვეულებები შინ და გარეთ“ და ა.შ. ხელოვნების საგანში შესასწავლი თემებიც წარმოდგენილია მრავალფეროვანი არჩევანით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. კათედრებზე დაგეგმილი კურიკულუმები ითვალისწინებს ცოდნის სამივე კატეგორიას. შეთავაზებული კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოსწავლეებს მოუწევთ როგორც ფაქტობრივი ცოდნის დაუფლება, ასევე პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება, ინფორმაციის მოძიება, ანალიზი, ლიტერატურული მასალის ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირება, მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება. ცოდნის სამი კატეგორიის გათვალისწინების შესანიშნავი მაგალითია კათედრის მიერ წამოწყებული პროექტი, რომლის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა პირობისეული ცოდნას. სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან ვგებულობთ, რომ: მომავალი სასწავლო წლისთვის იგეგმება კომპლექსურის შეფასებისათვის მიღწევების ტაქსონომიის ინსტრუმენტის გამოიყენება. მომდევნო სასწავლო წლისთვის სკოლაში დაინერგება შეფასების დიაგნოსტიკური შეფასების პირველი ინსტრუმენტი. ამ მექანიზმით გამოიკვეთება მოსწავლეთა საჭიროებები და მოხდება ინტერვენცია მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად. **ი**ნტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, თუ როგორ იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში, მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში, როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში. ცოდნათა სამ კატეგორიაზე სასწავლო პროცესის წარმართვას ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს სასწავლო პროცესში, ამისთვის ხშირად ხდება ნასწავლი თეორიული მასალის

განმტკიცებისათვის კითხვა-პასუხით გამოკითხვა რაც თავისთავად ხელს უწყობს, დოკლარატიური ცოდნის მნიშვნელობაზე ყურადღების გამახვილებას, ნასწავლი ახალი მასალის განმტკიცებისათვის ეთმობა სხვადასხვა სირთული მაგალითების ამოხსნა, ცოდნის განმტკიცებაზე მუშაობა და ცხოვრებისეულ გამოცდილების შესწავლილ საკითხთან ჰარმონიული დაკავშირებისათვის სკოლა გეგმავს იმუშაოს კომპლექსური დავალებებით რაც პირობისეული ცოდნის გააქტიურების მნიშვნელობას მიუთითებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. კათედრების მიერ წარმოდგენლი კურიკულუმის ჩარჩოში მკაფიოდ არის განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, რაც ცხადყოფს რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. მითითებული კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა დაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე. კათედრის მიერ დაანონსებულ დაგეგმილ სასწავლო პროექტშიც მოსწავლეებს მოუწევთ ცოდნათა ურთიერთდაკავშირება, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა დასახული მიზნის მისაღწევად. შემუშავებული კურიკულუმები მეტწილად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურუკულუმში გაწერილი თემები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. სკოლის მიერ წარმოდგენილი თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის ასპექტებია, რომელიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშულებას იძლევა. თვითშეფასების კითხვარში ჩანს, რომ ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში ეხმარება ინტეგრირებული გაკვეთილები, არაფორმალურ გარემოში ჩატარებული აქტივობები, მაგალითად, ექსკურსიები, პროექტები. ცოდნათა ურთიერთდაკავშირებისათვის გაკვეთილზე გამოიყენება სხვადასხვა სირთული კომპლექსური შინაარსის დავალება რომლის ამოხსნა მოითხოვს თემის ფარგლებში შესწავლილი მასალის ურთიერთ დაკავშირებას და სწორი გადაწყვეტილების მიღებას, რაც შექმნილ პროდუქტში ოპტიმალურად იქნება წარმოდგენილი, აქვე უნდა აღინიშნოს რომ ამ პროცესებში გამოიყენება წინარე ცოდნაც რომელიც შეიძლება იყოს გავლილი კლასის მასალა. მაგალითად, დაწყებით საფეხურზე უცხო ენაში წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური ბუნების დავალებები განხორციელებული პროექტები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. მოსწავლეებს მასალა მიეწოდება ეტაპობრივად, შინაარსობრივი თანმიმდევრობით, ყოველი მომდევნო ნაწილი მასალის ორგანულ კავშირშია წინასთან, რაც განაპირობებს ცოდნის სწორ ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში იყენებენ ისეთ აქტივობებს და მეთოდებს, რომლებიც უზრუნველყოფს ცოდნის სამივე კატეგორიის ლოგიკურ კავშირს, რადგან სტრუქტურიდან გამომდინარე დავალების ეტაპები დეკლარაციულ ცოდნაზე აფუძნებს პროცედურულს და მასზე პირობისეულ ცოდნას. ხოლო ესთეტიკური აღზრდის თვითშეფასების დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სკოლის პედაგოგები მრავალფეროვან ხერხებს მიმართავენ მოსწავლეებში შესწავლის, დამახსოვრების და სხვა უნარების განვითარებისათვის. იცნობენ რა, სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს, წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, სკაფოლდინგის მეთოდით აშენებენ ახალ ცოდნას. მოსწავლემ

იცის, რომ მისი აზრი მნიშვნელოვანია და შესასწავლი საგნის არსს ხედავს მოცემული კომპლექსური დავალებების შესრულების და წარდგენის პროცესში. მოსწავლეს შეუძლია პარალელის გავლება სხვა საგნებთან, რასაც ხელს უწყობს მუსიკის და ხელოვნების, ასევე სხვა საგნებთან ინტეგრირებული გაკვეთილები. პედაგოგები იყენებენ სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებს, რაც გამოიხატება ვერბალურ და წერით დავალებებში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო;
- სკოლის მიერ განხორციელებული არაფორმალური აქტივობები/პროექტები;
- შეფასების რუბრიკები;
- კომპლექსური დავალებები;
- ინტერვიუ.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. თვითშეფასების კითხვარიდან, პედაგოგებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით ჩანს, რომ კურიკულუმის ნიმუშებში მკაფიოდ არის გამოკვეთილი შესასწავლი საკითხების, სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების იერარქია. სასწავლო პროცესი იმგვარადაა დაგეგმილი, რომ ხელი ეწყობა სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებების გააზრებას სხვადასხვა კონტექსტში. ეს დასტურდება კურიკულუმში ასახული კომპლექსური დავალებებითა და შესაბამისი დანართებით. მიეცათ შენიშვნაც, რომ II-IV კლასების კურიკულუმის ჩარჩოების მსგავსად უნდა აიგოს V-VI კლასების კურიკულუმის ჩარჩოებიც. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ უცხო ენის კურიკულუმებში ასახული სამიზნე ცნებები /ქვეცნებები, თემატური ბლოკები, კომპლექსური დავალებების იდეები, საგნობრივი საკითხები და რესურსები გააზრებულ კავშირშია ერთმანეთთან, რაც წარმოადგენს მთავარ ორიენტირს სწავლა-სწავლების პროცესში. კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელების პროცესში მოსწავლეს უხდება ისეთი დავალებების შესრულება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. მაგალითად, ესთეტიკური კათედრის მიერ ატვირთულ კურიკულუმებში ჩანს მათი ხედვა კომპლექსური დავალებებით სწავლებასთან დაკავშირებით. კურიკულუმის მოცემულ ჩარჩოში ხაზგასმულია შესასწავლი თემა/საკითხების ჭრილში დასამუშავებელი ცნება/ქვეცნებათა დამუშავება. ინტერვიურების პროცესში, კათედრის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სარგებლობენ ქოუჩის მიერ მიწოდებული დაწყებითი საფეხურის მეთოდური გზამკვლევით და დაამუშვებენ კონკრეტულ ქვეცნებებზე მორგებულ მკვიდრ წარმოდგენებს. სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი საფეხურის საბუნებისმეტყველო კათედრის ყველა კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩო (I - IV და V – VI კლასები), რომელშიც გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თუმცა არის რიგი გარემოებები, რომლებიც სასურველია, რომ გასწორდეს, კერძოდ: ბუნებისმეტყველების I კლასის კურიკულუმის ჩარჩო: I თემის (სკოლა და სახლი, როგორც გარემო) მეოთხე ძირითად საკითხთან სამიზნე ცნება არის მითითებული არასწორად, წერია ორგანიზმი და უნდა ეწეროს ორგანიზმი, საარსებო გარემო (სტანდარტის მიხედვით). II თემის (ადამიანი) მეოთხე ძირითად საკითხთან სამიზნე ცნება არის მითითებული არასწორად, წერია ორგანიზმი და უნდა ეწეროს ორგანიზმი, საარსებო გარემო (სტანდარტის მიხედვით). ბუნებისმეტყველების II კლასის კურიკულუმის ჩარჩო: I თემის (ხმელეთი, როგორც გარემო) პირველ ძირითად საკითხთან მითითებული სამიზნე ცნების „სხეული“ შესაბამისი ქვეცნება დასაზუსტებელია; მეოთხე ძირითად საკითხთან სამიზნე ცნება არის მითითებული არასწორად, წერია ორგანიზმი და უნდა ეწეროს ორგანიზმი, საარსებო გარემო (სტანდარტის მიხედვით). ამავდროულად, თემის ფარგლებში არ მუშავდება ხუთივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნება „სივრცეში ორიენტირება“ დამუშავების მიღმა არის დარჩენილი; II თემის (წყალი, როგორც გარემო) მეოთხე ძირითად საკითხთან სამიზნე ცნება არის მითითებული არასწორად, წერია ორგანიზმი და უნდა ეწეროს ორგანიზმი, საარსებო გარემო (სტანდარტის მიხედვით). III თემის (ჰაერი, როგორც გარემო) მეოთხე ძირითად საკითხთან სამიზნე ცნება არის მითითებული არასწორად, წერია ორგანიზმი და უნდა ეწეროს ორგანიზმი, საარსებო გარემო (სტანდარტის მიხედვით). ბუნებისმეტყველების III კლასის კურიკულუმის ჩარჩო: I თემის (ჩემი ქვეყნის ბუნება) პირველ და მეხუთე ძირითად საკითხთან არ არის მითითებული

სასწავლო რესურსი. II თემის (მზის სისტემა) მესამე, მეოთხე და მეხუთე ძირითად საკითხთან არის მითითებული სასწავლო რესურსი გრიფირებული სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - გვერდის გარეშე, ამავდროულად, აღნიშნულ სასწავლო თემაში მოწოდებული კომპლექსური დავალების (კურიკულუმის ჩარჩოში მიხედვით არის მესამე ძირითადი საკითხი) შეფასების კრიტერიუმებში მითითებული სამიზნე ცნებები თანხვედრაში არ მოდის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში მითითებულ სამიზნე ცნებებთან (კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმის მიხედვით მუშავდება ოთხი სამიზნე ცნების - სივრცეში ორიენტირება, მოვლენა, ორგანიზმი, საარსებო გარემო და გარემოს დაცვა გარკვეული მკვიდრი წარმოდგენები, ხოლო კურიკულუმის ჩარჩოში მითითებულია მხოლოდ ერთი სამიზნე ცნება - სივრცეში ორიენტირება). ბუნებისმეტყველების IV კლასის კურიკულუმის ჩარჩო: I თემის (დედამიწა) მეხუთე ძირითად საკითხთან არ არის მითითებული სასწავლო რესურსი. ბუნებისმეტყველების V კლასის კურიკულუმის ჩარჩო: II თემის (ეკოსისტემები) კურიკულუმის ჩარჩოში თემა არის მითითებული არასწორად, წერია ეკოსისტემა და უნდა ეწეროს ეკოსისტემები (სტანდარტის მიხედვით), ბუნებისმეტყველების VI კლასის კურიკულუმის ჩარჩო: II თემის (ნარევები და მათი დაყოფის ხერხები). პირველ ძირითად საკითხთან სამიზნე ცნება მითითებულია არასწორად (წერია მოვლენა და პროცესი და უნდა ეწეროს - მოვლენა, პროცესი). მოწოდებული ბუნებისმეტყველების კურიკულუმების ჩარჩო - ცხრილებში (I – IV კლასები) განსაზღვრული არის, თუ რომელი ძირითადი კონტექსტ - მაგალითებით იმუშავენებ 2023 – 2024 სასწავლო წელს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო - ცხილებში (III და IV კლასები) განსაზღვრული არის ძირითადადი კონტექსტ - მაგალითი, და კომპლექსური დავალების იდეა, ამავდროულად, გადმოგზავნილია ის კომპლექსური დავალებები, რომლის მიხედვითაც იმუშავებენ 2023 – 2024 სასწავლო წელს. მოწოდებული ბუნებისმეტყველების კურიკულუმებიის ჩარჩო - ცხრილებში (V – VI კლასები) განსაზღვრული არის, თუ რომელი ძირითადი კონტექსტ - მაგალითებით იმუშავენებ 2023 – 2024 სასწავლო წელს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო - ცხილებში განსაზღვრული არის ძირითადადი კონტექსტ - მაგალითი და კომპლექსური დავალების იდეა, ამავდროულად, ადგილზე ვიზიტის დროს ვნახე ის კომპლექსური დავალებები, რომლის მიხედვითაც იმუშავებენ 2023 – 2024 სასწავლო წელს. პედაგოგებს ადგილზევე მიეცათ რჩევა, რომ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების ყველა კლასის (I – IV, V – VI კლასები) კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში გათვალისწინებული იყოს გრძელვადიან მიზნებთან მიმართება, კერძოდ, ყველა სავალდებულო თემა გაწერილი იყოს იმგვარად, რომ თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, შესასწავლი სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები გაწერილი იყოს სტანდარტის შესაბამისად, ქვეცნება კორელაციაში იყოს შესაბამის სამიზნე ცნებასთან, ყველა ძირითად საკითხთან განსაზღვრული იყოს სასწავლო რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო ავტორისა და გვერდების მითითებით), კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმში მითითებული სამიზნე ცნებები და კურიკულუმის ჩარჩო - ცხრლებში მითითებული სამიზნე ცნებები (ერთი და იგივე კონტესქსტ - მაგალითის შემხვევაში) იდენტური იყოს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. მოწოდებული დოკუმენტაცია და მასწავლებლებთან გასაუბრება ცხადყოფს, რომ სკოლისთვის მნშვნელოვანია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაც. ამ მიზნით

შერჩეული საგნობრივი კონტექსტები და წარმოდგენილი აუდიო-ვიდეო რესურსები, ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კონტექსტები შერჩეულია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები საჭიროებები და ასაკობრივი თავისებურებები. გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სწავლის პროცესში ზრუნავენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებაზე, წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი, რომ მოსწავლეებისათვის შეთავაზებული დავალებები და აქტივობები ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა, რაც ააქტიურებს სწავლის პროცესს. როგორც გასაუბრებისას მასწავლებლები აღნიშნავენ, მოსწავლეებს ხშირად ეძლევათ არჩევითი დავლებები, რაც საშუალებას აძლევს მათ, ყველა იყოს ჩართული პროცესში თავისი შესაძლებლობებით. სასწავლო გარემო თავისუფალი და არადასჯადია. მასწავლებლები თვალს ადევნებენ და დაკვირვების დღიურებში ინიშნავენ, ვის რა გაუჭირდა, იყო თუ არა შერჩეული აქტივობები მათი შესაძლებლობების შესაბამისი. კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დამუშავებულია საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სარეკომენდაციო თემები, რომელებიც მუშავდება ავთენტური შინაარსის მქონე შუალედურ მიზნებში კომპლექსური ტიპის დავალებებში, რომლებიც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას. სკოლას აქვს პროექტებით მუშაობის კარგი გამოცდილება. პროექტებში ჩართულ მოსწავლეებს უვითარდებათ თანაგანცდის, ემპათიის გრძნობა, რაც მათ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე დადებითად მოქმედებს. გარდა ამისა სადამრიგებლო საათებში შერჩეულია ისეთი თემატიკა, რაც აქტუალურია მათი ასაკისთვის და ცნობიერებისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. მასწავლებლები კარგად იცნობენ და პრაქტიკაში ნერგავენ მრავალფეროვან განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს, ქმნიან და იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად მასალებში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის მიხედვით შედგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარატიული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. გასაუბრებაზე აღნიშნეს მასწავლებლებმა, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეხმარება მასწავლებლებს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებაში და მოსწავლის მიღწევის დონის განსაზღვრაში, რის საფუძველზეც გეგმავენ მოსწავლის პროგრესის გზას. მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავენ მოსწაველთა საჭიროებებსა და კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული, განმავითარებელი რუბრიკების შემუშავებას. სკოლის თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ, რომ: სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების მხარდაჭერაზე განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე. აქედან გამომდინარე საგნობრივად შემუშავებულია შეფასების რუბრიკები. მაგალითად ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე აღნიშნულ საფეხურზე აქტიურად გამოყენებადია გაწაფული კითხვის რუბრიკა, რომელიც ზეპირი ანალიზის საფუძველზე საშუალებას იძლევა მოსწავლის განმავითარებელი მხარეები გამოკვეთოს. მომავალი სასწავლო წლისთვის იგეგმება კომპლექსურის შეფასებისათვის მიღწევების ტაქსონომიის ინსტრუმენტის გამოიყენება. მომდევნო სასწავლო წლისთვის სკოლაში დაინერგება შეფასების დიაგნოსტიკური შეფასების პირველი

ინსტრუმენტი. ამ მექანიზმით გამოიკვეთება მოსწავლეთა საჭიროებები და მოხდება ინტერვენცია მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად. რაც დადასტურდა გასაუბრებით და წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებით. პედაგოგებს თეორიულად გათავისებული აქვთ განმავითარებელი შეფასების მექანიზმი. მასწავლებელი იყენებს თვითშეფასებას და ურთიერთშეფასებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ემსახურება როგორც საგნობრივი საკითხების შემოწმებას, ასევე აფასებს მის უნარებს, პიროვნულ თვისებებს, სოციალურ უნარებს, დამოკიდებულებებს და გამჭოლ კომპეტენციებს. სასწავლო პროცესში გამოყენებულია მრავალფეროვანი აქტივობები, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზი, თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასების რუბრიკები, რაც ეხმარება მათ თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაში. სკოლა გამოხატავს მზაობას ახალი სასწავლო წლისთვის შეიმუშაოს მექანიზმები რომელიც სრულად იქნება ორიენტირებული მოსწავლეთა ჰოლისტურ მხარდაჭერაზე. მაგალითად, ბუნებისმეტყველების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებს გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მათ იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, მათ აქვთ შექმნილი შეფასების (განმავითარებელი შეფასების რუბრიკები I - VI კლასებისთვის) რუბრიკები. ბუნებისმეტყველების პედაგოგები 20203 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსურ დავალებას შეაფასებენ განმავითარებელი შეფასების საშუალებით, შეიმუშავებენ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების სტანდარტით განსაზღვრული ყველა სავალდებულო თემებთან მიმართებით, აწარმოებენ მოსწავლეთა დაკვირვებას, მოახდენენ დიაგნოსტიკური წერის ანალიზს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლის** დოკუმენტებიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა მასწავლებლები შეფასების ვალიდურობისა და სანდოობის გაზრდის მიზნით ირჩევენ შფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს, მაგ: მოსწავლეთა პრეზენტაციებს, ნამუშევრების გამოფენას, დამოუკიდებელ თუ ჯგუფურ სამუშაოს და სხვა. რა თქმა უნდა ეს განპირობებულია იმით, თუ რა უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული მასწავლებელი, რა კონკრეტული სასწავლო მიზნებია დასახული მოცემულ მომენტში. ასევე მოსწავლეებთან ერთად ქმნიან განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, რაც უზრუნველყოფს მის ობიექტურობას, გამჭვირვალობას, ვალიდურობასა და სანდოობას. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, რუბრიკების დახმარებით თავად დააკვირდნენ საკუთარი სწავლის პროგრესს და მათზე დაყრდნობით განახორციელონ თვითშეფასება. შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სამართლიანობასა და სანდოობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. რუბრიკების შემუშავებაში მოსწავლეთა ჩართულობა ზრდის სანდოობის ხარისხს, სამართლიანობის პრინციპის დაცვას ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ ნამუშევრების ურთიერთშეფასება. გამჭვირვალეობა უზრუნველყოფილია შეფასების რუბრიკების

წინასწარ გაცნობით, როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე მშობლებისათვის. მოსწავლეებისათვის სასწავლო პროცესში წინასწარ ცნობილია შეფასების რუბრიკის კრიტერიუმები, იციან რომელ კრიტერიუმში როგორ შეფასდებიან, ამით ხელს ვუწყობთ მოსწავლეებმა რეალურად შეაფასონ საკუთარი ცოდნა. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის დოკუმენტი რომელიც წარმოადგენს, ჩარჩო დოკუმენტს, რის საფუძვლზეც შემუშავებულია ზოგადი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შეფასების (ვერიფიკაციის) მექანიზმი და მოსწავლის შეფასების მიზნით მოსწავლის მიღწევების შეფასების წესი. ვერიფიკაციის მექნიზმი უზრუნველყოფს სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისობის შემოწმებას. ასევე ირკვევა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში შეფასების რუბრიკები ყველა საგნისათვის იქნება თვალსაჩინო სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის. მოსწავლეთათვის კი გამოიკვრება ფლიპჩარტებზე, დიდ ფორმატში გადატანილი შეფასების რუბრიკები, რომელსაც მუდმივად მიადევნებენ თვალს, თემის შესწავლის პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. შეფასების რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზნს, შესაბამისად შეფასება არის ვალიდური, სანდო. შესწავლილი დოკუმენტებიდან ირკვევა და ინტერვიუებიდანაც დასტურდება, რომ სკოლას უკვე აქვს შემუშავებული შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც სრულყოფს შეფასების სისტემას. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ კათედრის სხდომებზე ხშირად მსჯელობენ ხარვეზების გამოსწორებაზე. ვერიფიკაცია მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსწავლის მიღწევის ანალიზს და ხელს შეუწყობს იმის დადგენას, რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენს, რათა უფრო მოქნილი გახდეს იგი და მცირე საგაკვეთილო დროში მასწავლებელმა შეძლოს მოსწავლის განვითარებაზე ზრუნვა. ვერივიკაცია ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით. - შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა); - ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი; - ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები; - ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ). ვერიფიკაცია ხდება შერჩევით, და სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი ამოწმებს შეფასების რუბრიკებთან შესაბამისობის ტექნიკურ მხარეს, კათედრის წარმოამდგენელთან ერთად. სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელია დირექცია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვასთან დაკავშირებით დაწესებულების თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამჟამად მუშაობენ ელექტრონულ ჟურნალში, სადაც ხდება შეფასებების შეტანა კანონმდებლობით

დადგენილი წესით. სასწავლო წლის ბოლოს, კლასის ხელმძღვანელი ელექტრონული ჟურნალის საფუძველზე ავსებს მოსწავლის პირად საქმეებს და ინახავს კანონმდებლობით დადგენილი ვადით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და დაცვას კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის მიხედვით, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და დაცვას კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად. პედაგოგები მუშაობენ ელექტრონულ ჟურნალში, სადაც ხდება შეფასებების შეტანა კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო წლის ბოლის, კლასის ხელმძღვანელი ელექტრონული ჟურნალის საფუძველზე ავსებს მოსწავლის პირად საქმეებს და ინახავს კანონმდებლობით დადგენილი ვადით. მოსწავლეთა პირადი საქმეები, რომელშიც ასახულია მოსწავლეთა წლიური შეფასებები, ინახება სკოლის საქმეთამმართველთან. მოსწავლის მიერ სკოლის დამთავრების შემდეგ - სკოლის არქივში. სკოლის დირექტორის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, „ პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის შესახებ“ გვხვდება ჩანაწერი, რომ სკოლა დაინტერესებულია დაიცვას მოსწავლეთა და ზოგადად, სასკოლო საზოგადოების პერსონალური მონაცემები და დეტალურადაა აღწერილი ინფორმაციის დაცვის პოლიტიკა. სკოლა ასევე უზრუნველყოფს მოსწავლეთა ნამუშევრებისა და პროექტების პორტფოლიოებში შენახვას, როგორც მატერიალურად, ასევე ელექტრონულად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- საგნობრივი შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- ვერიფიკაციის დოკუმენტი.
- ინტერვიუ.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პედაგოგებთან გასაუბრებისა და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. დაწყებითების კათედრა ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე, პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, დანერგილია კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი, რაც ეხმარება კოლეგებს გამოცდილების ურთიერთგაზიარებაში. მოსწავლეთა მხარდაჭერას ემსახურება პოზიტიური გარემოს შექმნა სკოლაში. თითოეული მოსწავლე თავს გრძნობს სასკოლო საზოგადოების სრულფასოვან წევრად. მათი ნამუშევრები ხშირად გამოიფინება კორიდორებში. ესენია დიორამები, მაკეტები, ნახატები, რაც მოსწავლის აღიარებას და წახალისებას ემსახურება. კათედრა ხელმძღვანელობს ეროვნული სასწავლო გეგმით, საათების განაწილებისას ითვალისწინებს საათობრივ ბადეს, შეფასების წესი ორიენტირებულია მოსწავლის მხარდაჭერასა და პიროვნულ განვითარებაზე, შემუშავებულია სპეციალური საჭიროების მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სასკოლო კლიმატი ღია და მიმღებლობითია, შექმნილია თანამშრომლობითი გარემო. წარმოდგენილი კურუკულუმები, სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები, სკოლის სამოქმედო გეგმა და თვითშეფასება ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მიმღებლობითი და მხარდამჭერი გარემო. სკოლაში მასწავლებელი ქმნის ურთიერთმხარდამჭერ გარემოს რის შესახებაც მასწავლებლებმა ისაუბრეს გასაუბრებაზე და აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით იქმნება მასზე მორგებული უნივერსალური დიზაინის პრინციპებზე გათვლილი სასწავლო გარემო სადაც ყურადღება მახვილდება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებზე, რომელიც მოსწავლეთა შესაძლებლობის გამოვლენას იწვევს და ქმნის მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სკოლის მისია, სკოლის პრიორიტეტებისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით კონკრეტული სკოლისათვის შექმნილია საათობრივი ბადე, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა, საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები, რომლის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. ინტერვიუზე პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეები თავიანთი ინტერესების, სურვილების და უნარების შესაბამისად გაერთიანებული არიან არაფორმალური განათლების მიმართულებით სხვადასხვა კლუბურ თუ საწრეო მუშაობაში, რომლებშიც გაწევრიანება ნებაყოფლობითია და მშობელთა განცხადების საფუძველზე ხდება. სასკოლო პროცესი დაწყებით საფეხურზე იძლევა საშუალებას, რომ საგაკვეთილო პროცესში იყოს მიმღებლობითი გარემო. მაგალითად IV კლასში ,,მე და საზოგადოების“ გაკვეთილის შეფასების ხარისხის მართვის დოკუმენტში პოზიტიური, კეთილგანწყობილი, თანასწორობაზე აგებული ურთიერთობა იკვეთებოდა. მოსწავლეები და მასწავლებელი პატივისცემით ესაუბრებოდნენ და აქტიურად უსმენდნენ ერთმანეთს. კლასში განსხვავებული აზრი მიღებული იყო. მოსწავლეები თავიანთი ინტერესების, სურვილების და უნარების შესაბამისად გაერთიანებული არიან არაფორმალური განათლების მიმართულებით სხვადასხვა კლუბურ თუ საწრეო მუშაობაში. სკოლაში ფუნქციონირებს „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი“, რომელიც

საჭიროებს დახვეწას და მეტი ინტენსივობით ამოქმედებას. სკოლა დაწყებით საფეხურზე ახორციელებს ახლომდებარე ტერიტორიაზე ექსკურსიებს, მუზეუმებში ვიზიტებს და ა.შ. ასევე მოწოდებულ დოკუმენტაციაზე და სკოლაში ბუნებისმეტყველების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. კათედრის ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე, მოსწავლის ინტერესებსა და წინარე გამოცდილებაზე. მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ სკოლაში მოსწავლეთათვის შექმნილია უსაფრთხო გარემო, მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესში. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებასა და ჩართულობის გაზრდას. კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინება, დიფერენცირებულ მიდგომები, არჩევითი დავალებებისა და სწავლის სხვადასხვა სტრატეგიების შეთავაზება,უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ როლს სასწავლო პროცესში. მასწავლებელს გათავისებული აქვს, რომ თითოეული მოსწავლე განსხვავებულია თავისი ფიზიკური შესაძლებლობებით, ინტერესებით და ამიტომ ცდილობს სწავლის პროცესი დაგეგმოს ისე, რომ ყველა მოსწავლეს ჰქონდეს თვითგამოხატვის საშუალება. წახალისებულია მოსწავლეთა ინტერესები შიდა სასკოლო აქტივობებთან. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს გამოცდილება როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობების და პროექტების განხორციელების, რაც მოიაზრებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. სამომავლოდ სკოლა გეგმავს არსებული პრაქტიკის გაუმჯობესებას დიაგნოსტიკური შეფასების დანერგვის გზით.

სკოლა ჩართულია შეფასებისა გამოცდების ეროვნული ცენტრის პროექტში „შეფასება განვითარებისათვის“, IV -VI კლასის მოსწავლეები ფასდებიან ქართულსა და მათემატიკაში. შეფასების ეს მეთოდები მასწავლებელს აძლევს საშუალებას გამოავლინოს მოსწავლეების საჭიროებები, იყოს მხარდამჭერი და ხელი შეუწყოს მათ განვითარებას. რომელიც იქნება მოქნილი, ვალიდური. სამომავლოდ სკოლა გეგმავს სადიაგნოსტიკო შეფასების პირველი ინსტრუმენტის დანერგვას, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი მეტად მოქნილი გახდეს. სკოლას წარმოდგენილი აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და მასზე დაყრდნობით თვითშეფასების კითხვარში აღწერს მოსწავლეთა წარმატებისათვის ხელშემწყობ ქმედით ნაბიჯებს. ფორმალური და არაფორმალური ღონისძიებები, ოლიმპიადები, კონკურსები, კონფერენციები, დიაგნოსტიკური წერები და მათზე მიცემული განმავითარებელი უკუკავშირი საშუალებას იძლევა მიეცეთ მოსწავლეებს პროგრესის, წინსვლის საშუალება და მოტივაცია. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და ბუნებისმეტყველების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს ძლიერი მხარეების გამოვლენასა და განვითარებას, ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. პედაგოგები ინტერვიუში საუბრობენ იმის შესახებ, რომ სკოლას აქვს მასწავლებლების ურთიერთანამშრომლობისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარების პრაქტიკა. მასწავლებლები გასაუბრებაზე აღნიშნავენ, რომ კოორდინირებული მუშაობა აქვთ სხვა კათედრებთანაც. მნიშვნელოვანია არსებული პრობლემების სხვადასხვა პერსპექტივიდან დანახვა და პროცესების შეფასება, განსხვავებულია მათი გადაჭრის გზებიც, რაც ეხმარებათ მოსწავლეზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. გასაუბრებებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება სასწავლო პროცესში სხვადასხვა აქტივობები ისე წარმართონ, რომ შეიქმნას პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო. სკოლა იყენებს მშობლებთან კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებს: კრებები, თიმსის პლატფორმა, სოც ქსელი, ელ. ჟურნალი, ტელეფონი, კლასების დახურული ფეისბუქ ჯგუფი, რაც უზრუნველყობს თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებას სასკოლო საზოგადოებაში. თანამშრომლობითი უნარების განვითარებას ემსახურება წყვილებსა და ჯგუფებში შესასრულებელი აქტივობები, ასევე ჯგუფურად ახორციელებენ მოსწავლეები საგანმანათლებლო პროექტებს და აკეთებენ მის პრეზენტაციას. ეს უვითარებთ მათ კოლაბორაციულ უნარებს და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის განცდას. თანამშრობლობის და კომუნიკაციის გამოცდილება არსებობს გაკვეთილების ერთობლივი დაგეგმვის, ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების მიმართულებით. სკოლაში არსებობს ხარისხის ჯგუფი, რომელიც ცხადჰყოფს, რომ სკოლაში ჩამოყალიბებული და განვითარებულია თანამშრომლობითი კულტურა. წარმოდგენილია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია და ცალკე არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი და ადამიანური მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. აქტიურ თანამშრომლობას ავალებს პედაგოგს, რათა ცოდნა/გამოცდილებათა ურთიერგაზიარება არ იყოს ცალკეული პრაქტიკა, არამედ წვლილი შეჰქონდეს, სკოლის თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერებაში. სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას. სკოლაში ტარდება კლასს საათი, ინტელექტულური თამაშები მოსწავლეებისა და მშობლების ჩართულობით. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ხდება მასწავლებელთა შეხვედრები, პრაქტიკის გაზიარება, სიახლეების დანერგვა. ასევე სამუშაო შეხვედრები და ურთიერდასწრება გამოცდილების გაზიარების მიზნით. საზოგადოებრივი- გუნდური და თანამშრომლობითი მუშაობით მიიღება მოსწავლეზე ორიენტირებული გადაწყვეტილებები. თანამშრომლობითი კულტურა სკოლაში მაღალია, რასაც ადასტურებს კათედრების, პედაგოგიური საბჭოსა და სამეურვეო საბჭოს სხდომებზე აქტიური დასწრება. დასწრება სხდომების ოქმებში აისახება. მშობლისა და კლასის, მასწავლებლის თანამშრომლობა დაწყებით საფეხურზე განსაკუთსებით მაღალია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში მიღწეულია პოზიტიური სასკოლო კლიმატი სასკოლო ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში, რასაც განაპირობებს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის პატივისცემა, ნდობა, აღიარება, მიკუთვნებულობის განცდა. მასწავლებლებს კარგად აქვთ გაცნობიერებული კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარების და პრობლემების გადაჭრის გზების ძიების, სხვა საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობის აუცილებლობა, რომ სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია არა ერთი ან ორი პედაგოგის ჩართულობა არამედ მთლიანი სასკოლო საზოგადოების. კურიკულუმებში მოცემული საკითხები, კომპლექსური დავალებები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში,

ხოლო განმავითარებელი შეფასებებისა და კომენტარების საშუალებით მოსწავლეებს ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სუსტი მხარეების გაძლიერებაში. ასევე მასწავლებლებთან გასაუბრება იძლევა იმისი თქმის საშუალებას, რომ სკოლაში უზურნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. ამას ასევე ადასტურებს ის რომ მასწავლბელები აღნიშნავენ თუ როგორ ახდენენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს მოსწავლეთა მხარდაჭერას, საჭიროებისამებრ მის მოდიფიცირებას ახდენენ. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულნი იყვნენ. სკოლა მომავალ სასწავლო წელსაც გეგმავს, რომ სკოლაში შექმნას ისეთი პოზიტიური გარემო, სადაც თითოეული მოსწავლე, მიუხედავად მისი შესაძლებლობებისა, შეძლებს საკუთარი ძალების, ემოციების, უნარების, გამოცდილების რეალიზებას. სკოლაში არის ჯანსაღი, ნდობაზე და პატივისცემაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო, რაზეც სკოლის სამოქმედო გეგმაში გაწერილი საკითხებიც მოწმობს, რომლის მიხედვითაც მთელი სასწავლო წლის განმავლობაში მიმდინარეობს ზრუნვა უსაფრთხო, ორგანიზებული, კარგად დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფისათვის და ასევე დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნისათვის. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პოზიტიურ ატმოსფეროში და მოსწავლეები თავს გრძნობენ უსაფრთხოდ. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს გააზრებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებაზე სკოლისა და კლასის დონეზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- სკოლის სამოქმედო გეგმა;
- კლასგარეშე ღონისძიებები/პროექტები;
- სკოლის თვითშეფასება;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- ადამიანური მართვის დოკუმენტი;
- ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმის და კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტები. აღნიშნული დასტურდება ბრძანებებით და შინაარსში იკითხება დოკუმენტთა შექმნაში მონაწილე პიროვნებათა ვინაობა. ამ ეტაპზე, როგორც მოსწავლეთა მიღწევები, ასევე, მასწავლებელთა მიერ ჩატარებული გაკვეთილების ხარისხი იზომება კოლეგათა ურთიერთდასწრებით. მიეწოდებათ რჩევა-რეკომენდაციები პოზიტიურ ჭრილში. მონიტორინგის ჯგუფი შეადგენს კითხვარებს მოსწავლეებისა და მშობლებისათვის და გაზომავს სკოლის საჭიროებებს. მასწავლებელთა განვითარებისათვის დაგეგმავს მიზანმიმართულ ტრენინგებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებელთა გაკვეთილზე დასწრებას, უკუკავშირს, რეკომენდაციების მიცემას. სკოლის ადმინისტრაცია, კათედრები, კოლეგები მუდმივად ზრუნავენ სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის. გაკვეთილებზე დასწრების რეფლექსიებს უზიარებენ კათედრებს და შემდეგ დირექციას. მომდევნო სასწავლო წლისათვის წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით გააუმჯობესებენ მონიტორინგის მექანიზმს და ხასგასმით აღნიშნავენ, რომ სასკოლო საზოგადოების საჭიროებები სრულფასოვნად იქნება გათვალისწინებული. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. წამოჭრილი პრობლემების მოსაგვარებლად, სკოლაში მიმდინარეობს პრობლემის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, შემდეგ საჭირო დავალებებით პრობლემის აღმოფხვრაზე მუშობა. ინტერვიურების პროცესში, ესთეტიკურმა კათედრამ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის პროცესში შეისწავლეს დიაგნოსტირების ინსტრუმენტები და მომდევნო სასწავლო წელს, კათედრის დონეზე

გაიზომება მოსწავლეთა მიღწევები, პრობლემები და მოხდება შესაბამისი დავალებების, აქტივობების შემუშავება პრობლემების აღმოსაფხვრელად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- ბრძანებები;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესის შესაფასებლად სკოლა იყენებს „ხარისხის მართვისა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერის“ ჯგუფის უკუკავშირებს, დირექციის დაკვირვებას, USAID პროექტ ,,საბაზისო განათლება“ უკუკავშირს „კრიტიკული მეგობრის“ შეფასებებს, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმებს (V_VI კლასები) საგნობრივ ციფრობრივ ანგარიშებს(V-VIკლასები). მასწავლებლები ახდენენ საკუთარი გაკვეთილის რეფლექსიას. მომდევნო სასწავლო წლისთვის სკოლაში დაინერგება დიაგნოსტიკური შეფასების პირველი ინსტრუმენტი კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. სკოლა შეფასებას ახორციელებს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მაგ მოსწავლის სწავლის პროცესის პროგრესის, საჭიროების შეფასება ხდება სახლის, სკოლის, სათამაშო სივრცის, გაკვეთილების და სხვა კონტექსტის გამოყენებით, ანკეტირებით, ინტერვიუთი, კვლევით და ა.შ **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
3. სასწავლო პროცესის შესაფასებლად სკოლა იყენებს შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმებს, საგნობრივ ციფრობრივ ანგარიშებს (V- VI კლასები) მასწავლებლები ახდენენ საკუთარი გაკვეთილის რეფლექსიას, მომდევნო სასწავლო წლისთვის სკოლაში დაინერგება დიაგნოსტიკური შეფასების პირველი ინსტრუმენტი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა შეფასებას ახორციელებს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, როგორიცაა დრო და სივრცე, უშუალოდ გარემომცველი მიკროსისტემა, ეზო, ოჯახი, სამეზობლო, მეგობრები, სკოლა, ტრადიციები, კანონები, ფასეულობები და სხვა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამები;
- კათედრის, პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, მშობელთა კრებების ოქმები;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი.

მასწავლებელთა ინტერვიუირების შედეგები.
შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის დანერგვის პროცესში, კურიკულუმის შემუშავების დოკუმენტის მიხედვით, გათვალისწინებულია დაგროვილი გამოცდილების პროცესზე დაკვირვება და დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. კურიკულუმის რევიზია ითვალისწინებს კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზებას რამდენიმე მიმართულებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრა, დირექცია. როგორც სკოლის თვითშეფასებიდან ირკვევა, ის გეგმავს შეიმუშაოს ერთიანი კურიკულუმის რეკომენდაციების პაკეტი, რომელიც გაზიარდება მასწავლებლებისათვის. ამასთანავე, მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ ახალი სასწავლო სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის განვლილი პროცესების გაანალიზება, საგნობრივი კათედრების იკრიბებიან და განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს, მსჯელობენ მათ ეფექტიანობაზე, მონაცემების შეჯერების საფუძველზე მომზადდება რეკომენდაციები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. ,,კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: - სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; - კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; - სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; - კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. პედაგოგებთან გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ მიმდინარეობს წინა წლის პროცესის შეფასება თუ, რამ იმუშავა კარგად, ცუდად. ახალი კურიკულუმის განვითარებისათვის გასათვალისწინებელია ზემოთაღნიშნულთან ერთად სწავლა-სწავლების მიზნები, სასწავლო რესურსები, სწავლების მეთოდები,შეფასება და მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები. დაწყებით საფეხურზე აღნიშნავენ, რომ მონიტორინგის შედეგებს პერიოდულად გაუზიარებენ სასკოლო საზოგადოებას სწავლა-სწავლებაში მიღწეული შედეგების გაუმჯობესების მიზნით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშვებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;
- შეფასების ინსტრუმენტები;

- საგნობრივი კათედრის, პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს და მშობელთა კრებების ოქმებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი- საბაზო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში განსაზღვრულია საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგიის საკითხები. ინტერვიუს მსვლელობისას პედაგოგებმა აღნიშნეს რომ სკოლის და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ და კათედრაზე კოლეგიალურად შეიმუშავებენ კურიკულუმებს. ხდება მშობლების ინფორმირება და მათი უკუკავშირის გათვალისწინება კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის ჩარჩო დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია თუ როგორ ხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულების, და პრიორიტეტების გათვალისწინება კურიკულუმის შემუშავების პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში, შერჩეული სასწავლო თემები და რესურსები გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან და გათვალისწინებულია მოსწავლეების ინტერესები. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ფორმის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმს, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილს ითანხმებს სამეურვეო საბჭო, რომელშიც წარმომადგენელი ჰყავს როგორც მშობლებს, ასევე მოსწავლეთა თვითმმართველობას, რომლებსაც ეძლევათ საშუალება აზრი გამოთქვან და გამოკვეთონ როგორც მოსწავლეების ასევე მშობლების ინტერესები. დოკუმენტს ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო, რაც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. ინტერვიუს მსვლელობისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა და ერთობლივად გეგმავს სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებს, კომპლექსურ დავალებებს და აქტივობებს. სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც აღწერილია თუ რა ფორმით მონაწილეობენ საზოგადოების წევრები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლაში კურიკულუმის გაზიარება ხდება კათედრაზე, მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრებზე, სასკოლო საზოგადოებაში. სკოლის მიერ განხორციელებელი აქტივობები განთავსებულია სკოლის ფეისბუქ გვერდზე. ინტერვიუს შედეგად

გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ფლობენ კურიკულუმსა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილ მასალას. რადგანაც სკოლას არ აქვს კომპლექსური დავალებების განხორციელების დიდი გამოცდილება, ამ მიმართულებით არსებული პრაქტიკის გასაუმჯობესებლად, ახალი სასწავლო წლიდან გამოხატავს მზაობას და გეგმავს კომპლექსური დავალებების ბარათების შემუშავებას მშობლებისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- სკოლის სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის ჩარჩო დოკუმენტი;
- პედსაბჭოს ოქმი;
- თვითშეფასების ფორმა;
- ინტერვიუ;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
2. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
3. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
4. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა საბაზო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილები, რომლებიც წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვისა და განვითარების გზას. არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში ძირითადად სწორად არის განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე

ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო - ცხრილები ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები, ხოლო მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია კომპლექსური დავალებების სახით. სწავლის შედეგები თითოეულ საგანში მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. კომპლექსურ დავალებებში გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების გრძელვადიან მიზნებზე. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას გაითვალისწინეს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი გრძელვადიანი მიზნები. სკოლამ ასევე წარმოადგინა მათ მიერ შემუშავებული შეფასების დოკუმენტები (განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები), რომლებიც კორელაციაშია კურიკულუმში მოწოდებულ საკითხებთან და გაწერილია სამიზნე ცნებებთან მიმართებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში სწორად არის განსაზღვრული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საბაზო საფეხურის საგნების სტანარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები. წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. შეთავაზებული კომპლექსური და კომპლექსური ტიპის დავალებები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის დავალებებს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უკუკავშირს. ასევე აღსანიშნავია პედაგოგების მიერ კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში დაგეგმილია აქტივობები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეებისთვის ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა) განვითარებაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. სასწავლო გარემო და დაგეგმილი კურიკულუმები მოსწავლეთა საჭიროებებზე არის ორიენტირებული. პედაგოგები სასწავლო პროცესში იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები და შესაძლებლობები, მრავალფეროვანია და მოსწავლეზე მორგებულია რესურსები და სასწავლო მასალა. შერჩეულია ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოები, რაც მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს. დავალებები აძლევს მოსწავლეს შესაძლებლობას, გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. სსსმ მოსწავლეებისათვის შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური გეგმები, რომლებიც ეფუძნება თითოეული მოსწავლის აქტუალურ დონეს და მათში გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებები, ინტერესები და ინდივიდუალური შესაძლებლობები. ამჟამად სსსმ მოსწავლეებისათვის სკოლაში შექმნილია შესაბამისი პირობები, კერძოდ, გამოყოფილია ოთახი, რომელიც აღჭურვილია მატერიალურ - ტექნიკური რესურსებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სკოლაში შეფასება იწარმოება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ შეფასების რუბრიკებზე დაფუძნებით. მოსწავლეთა შედეგები ფასდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით. წარმოდგენელია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იმ კომპლექსური დავალებებისთვის, რომლებიც გაწერილია კურიკულუმის ჩარჩოში და დაგეგემილია 2023 - 2024 სასწავლო წლისთვის. გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ ამჟამად ახორციელებენ ზეპირ განმავითარებელ შეფასებას, თუმცა პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული კომპლექსური დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკის აგების პრინციპი. სკოლის მიერ წარმოდგენელია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იმ კომპლექსური დავალებებისთვის (თუმცა ყველა კონტექსტ - მაგალითისთვის არ იყო წარმოდგენილი), რომლებიც გაწერილია კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში და დაგეგემილია 2023 - 2024 სასწავლო წლისთვის. სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს და მომდევნო სასწავლო წლისთვის შერჩეულია განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. იგეგმება განმავითარებელი რუბრიკების შექმნა ყოველი კონტექსტ - მაგალითის მიმართ და განმასღვრელი რუბრიკის შექმნა საბაზო საფეხურის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად ყველა შესასწავლი თემებისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. საბაზო საფეხურზე, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კათედრაები ახდენენ წინა წლის გამოცდილების ანალიზს, კერძოდ, კოლეგები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარი პრაქტიკას და მათი გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს. თითოეული მასწავლებელი ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. არჩევს მისი საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების აქტივობებს. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ მასწავლებლები კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეების, კოლეგების, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგებს, წინარე გამოცდილებას, რის საფუძველზეც გეგმავენ ახალ კომპლექსურ დავალებებს და აგრძელებენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმზე მუშაობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;;
- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო - ცხრილები;
- შეფასების რუბრიკები;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- ინტერვიუ პედაგოგებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

სკოლაში არ არის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, შესაბამისად, საფრთხე ექმნება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების კურიკულუმის განხორციელებას საბაზო საფეხურზე. (საფუძველი: ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი) სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2 კომპონენტთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 16.10.2023-28.02.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს მეორე შენობაში, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა.

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შექმნილი სასწავლო გარემო ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. კათედრის მხრიდან წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოები (VII-IX კლასების) იძლევა მოსწავლის შინაგანი მოტივაციის აღძვრის შესაძლებლობას. კომპლექსური დავალებები, რომლებიც ჩაშენებულია კურიკულუმის ჩარჩოში ისეთი აქტივობების დანერგვას ითხოვს, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიქტი, იგი გამოკვეთს, განიხილავს და წყვეტს პრობლემას, ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ დისკუსიების სახით. საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში გვხვდება კომპლექსური ბუნების დავალებები, (მაგ: ანალიტიკური ესე, სცენარი, საჯარო სიტყვა, მოთხრობის შექმნა, დღიურის ჩანაწერი, პრეზენტაციის მომზადება, შედარებითი დახასიათება, პრეზენტაციის მომზადება) ეს დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. თვითშეფასების კითხვარში გვხვდება ჩანაწერი, რომ სკოლაში განხორციელებული სასწავლო ფორმალური და არაფორმალური აქტივობები მოსწავლეებს აძლევს თვითგამოხატვის შესაძლებლობას. სკოლის მიზანია, მოსწავლე ჩამოაყალიბოს თავისუფალ, მოაზროვნე, შემოქმედებით ინდივიდად, შესძინოს ცხოვრებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. ინტერვიურების პროცესში, ესთეტიკური კათედრის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ გარდა კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტების და შეფასების რუბრიკების შექმნისა, აქტიურად თანამშრომლობენ და გეგმავენ საგნობრივ საჭიროებებზე მორგებულ პროექტებს, არაფორმალურ აქტივობებს, რაც მოსწავლეებს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას მისცემს. სკოლაში ვიზიტზე მყოფ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ადგილზევე ენახათ ესთეტიკური კათედრის მიერ შესრულებული პროექტები, რომელიც მოცემული იყო გამოფენის სახით. მაგალითად, საბუნებისმეტყველო საგნებში მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პედაგოგები უფრო კომპლექსურად მიუდგებიან სასწავლო პროცესს, შესაბამისად, 2023 – 2024 წლის ბუნებისმეტყველების კურიკულუმები მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას შეუწყობს ხელს. მოსწავლეებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ ხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება/რეალიზება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები (VII-IX კლასები) აგებულია თემატური ბლოკების, სავალდებულო თემების გათვალისწინებით, რაც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის, დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. ამასთანავე, თემა წარმოადგენს მოსწავლისათვის აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლის შემეცნების სუბიექტად გადაქცევისა და მისი შინაგანი ძალების გააქტიურებისათვის. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული

დავალების პირობათა უმრავლესობა შემუშავების პროცესშია, მაგრამ წარმოდგენილ ნიმუშებში ჩანს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, მაგ., კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით. ეს არგუმენტი ცხადყოფს, რომ მომდევნო სასწავლო წელს პროცესი წარიმართება აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით. კონკრეტულ დავალებამდე განსახორციელებელი აქტივობები წარმოდგენილი იქნება უახლოეს მომავალში. სკოლის თვითშეფასების და ინტერვიუს მიხედვით მასწავლებლები გაკვეთილების დაგეგმვისას ითვალიისწინებენ მოსწავლის წინარე ცოდნას, ახალ ინფორმაციას უკავშირებენ მათთვის ნაცნობ მასალას და სიტუაციას. უკავშირებენ ცხოვრებისეულ გამოცდილებებს, ეძებენ საგანთაშორის კავშირებს. ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები თავისი თემატური კონტექსტით ეხმარება მოსწავლეებს ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში და გააზრებაში. მოსწავლეებისთვის შეთავაზებულია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებშიც მოსწავლეებს უწევთ ნაცნობი კონტექსტის გამოყენებით გადაჭრას პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას პროდუქტი. სასწავლო პროცესში წახალისებულია პროექტების ინიცირება, ღონისძიებები, თანამშრომლობითი აქტივობები, რის საუძველზეც შეგვიძლია დასკვნის გაკეთება რომ სკოლას აქვს გამოცდილება სასწავლო პროცესში გამოიყენოს კონსტრუქტივიზმის პრინციპები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. კათედრების მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში პროცესები იმგვარადაა დაგეგმილი, მოითხოვს სწავლის პროცესზე აქცენტირებას მოსწავლის მხრიდან. შერჩეული კომპლექსური დავალებები მოსწავლის მხრიდან მოითხოვს მსჯელობას საკუთარ გამოცდილებასა და ინტერესზე, გადაწყვეტილების პროცესში საკუთარ პოზიციასა და დასკვნების ვალიდურობაზე, მასწავლებელთა მიერ განხორციელებული და სამომავლოდ დაგეგმილი აქტივობები, დავალებები მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს გაითვალისწინოს ინდივიდუალური გამოცდილება. კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნული კომპლექსური დავალებების დანერგვის პროცესი შესძლებლობას იძლევა მხარდაჭერილ იქნას მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. მოსწავლეს ეძლევა საშუალება ახსნას რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელიშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში და სხვა, ეხმარება მოსწვალეს საკუთარი აკადემიური (და არა მხოლოდ აკადემიური) თვითცნობიერების განვითარებაში. კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ მათი მხრიდან დიდი ყურადღება ექცევა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას, რაც აისახება სამომავლოდ მეთოდოლოგიურ დანართში. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ კათედრის მიერ წარმოდგენილ თემატურ მატრიცაში გეზისმიმცემი კითხვებით, კონკრეტული აქტივობებით, მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკებითა და გასიტყვების პროცესში დასმული კითხვებით ყურადღება მახვილდება მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე, ცხადია კათედრის წევრება ამ გამოცდილებას გაითვალისწინებენ მეთოდოლოგიური დანართის სრულყოფისას. ესთეტიკური საგნების კურიკულუმში მოცემულ შესასწავლ მასალაში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მოცემული მასალა მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს წამოჭრას პრობლემა, ეძიოს გადაჭრის გზები და წარმოადგინოს ისეთი პროდუქტი, რომელიც მას ცხოვრებისეული გამოცდილების გაზიარების

საშუალებას მისცემს. მუსიკის საგანში ეს შეიძლება იყოს მოცემული შესასწავლი სავალდებულო თემები, როგორიცაა „სიყვარული და სიძულვილი მუსიკაში“; „გმირი და ანტიგმირი მუსიკაში“; „მარტოობა და ერთობა მუსიკაში“ და ა.შ. ხელოვნების საგანში შესასწავლი თემებიც წარმოდგენილია მრავალფეროვანი არჩევანით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლებას, კერძოდ, მათ მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები გაწერილია ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. კათედრების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები იმგვარადაა აგებული, რომ ყურადღება მახვილდება ცოდნის სამ კატეგორიაზე. მომავალი წლის სასწავლო კურიკულუმი მოსწავლეებს სთავაზობს იმგვარ ამოცანას, სადაც პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება მოუწევთ, რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/გადაწყვეტის მოძებნა. მასწავლებელები აღნიშნავენ, რომ ეს პროცესი მიზნად ისახავს კონკრეტული საკითხის სიღრმისეულ გააზრებას. კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნულ შუალედურ მიზნებზე დაყრდნობით ვასკვნით, რომ ინდიკატორი შესაბამისობაშია, კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნული კომპლექსური დავალების იდეები საკუთარ თავში მოიაზრებს ცოდნის სამ კატეგორიას, მაგრამ ყურადღება უნდა მიექცეს საკითხების ფორმულირებას, რომ მართებულად განისაზღვროს. ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება განსაკუთრებით კარგად ჩანს სასკოლო ფესტივალებზე, სადაც მოსწავლეები ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილზე შეძენილ ცოდნასა და უნარებს პრაქტიკულად იყენებენ. მუსიკის და ხელოვნების პედაგოგები ასე პასუხობენ, რაც დაზუსტდა ინტერვიურების პროცესში, რომ მათ საგნებში მოცემული დავალებები პირველ რიგში უგროვებს მოსწავლეს დეკლარატიულ ცოდნას გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით. მოსწავლეები სწავლობენ ცნება/ქვეცნებათა განმარტებას, მნიშვნელობას, თვისებებს (დეკლარატიული ცოდნა); შემდეგ ცდილობენ მოცემული მახასიათებლების შინაარსთან შესაბამისობის დადგენას (პროცედურული) და საბოლოო პროდუქტის წარმოდგენისას ავლებენ პარალელს ცხოვრებისეულ, მათთვის მისაწვდომ მაგალითებთან. წარმოადგენენ ნაშრომს, ახდენენ საკუთარი დავალების პრეზენტირებას წერილობითი და ზეპირი დავალებებით და ცდილობენ შეაჯამონ თემის შესწავლის ხანგრძლივი პროცესი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. საბაზო საფეხურზე კათედრების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური ბუნების დავალებები განხორციელებული პროექტები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ის ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. მოსწავლეებს მასალა მიეწოდება ეტაპობრივად, შინაარსობრივი თანმიმდევრობით, ყოველი მომდევნო ნაწილი მასალის ორგანულ კავშირშია წინასთან, რაც განაპირობებს ცოდნის სწორ ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო

პროცესში იყენებენ ისეთ აქტივობებს და მეთოდებს, რომლებიც უზრუნველყოფს ცოდნის სამივე კატეგორიის ლოგიკურ კავშირს, რადგან სტრუქტურიდან გამომდინარე დავალების ეტაპები დეკლარაციულ ცოდნაზე აფუძნებს პროცედურულს და მასზე პირობისეულ ცოდნას. საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც სკოლამ წარმოადგინა, საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. ეს ფაქტორები გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რადგან მითითებული კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა დაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე. თვითშეფასების დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სკოლის პედაგოგები მრავალფეროვან ხერხებს მიმართავენ მოსწავლეებში შესწავლის, დამახსოვრების და სხვა უნარების განვითარებისათვის. იცნობენ რა, სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს, წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, სკაფოლდინგის მეთოდით აშენებენ ახალ ცოდნას. მოსწავლემ იცის, რომ მისი აზრი მნიშვნელოვანია და შესასწავლი საგნის არსს ხედავს მოცემული კომპლექსური დავალებების შესრულების და წარდგენის პროცესში. მოსწავლეს შეუძლია პარალელის გავლება სხვა საგნებთან, რაც ხელს უწყობს მუსიკის და ხელოვნების, ასევე სხვა საგნებთან ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებას. პედაგოგები იყენებენ სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებს, რაც გამოიხატება ვერბალურ და წერით დავალებებში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები;
- განხორციელებული არაფორმალური აქტივობები/პროექტები;
- შეფასების რუბრიკები;
- სკოლის თვითშეფასების რუბრიკები;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართლების საბაზო საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილები (ქიმია ფიზიკა, ბიოლოგია);
- ინტერვიუ პედაგოგებთან.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურზე კათედრების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები უნდა ეფუძნებოდეს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხი და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. კურიკულუმის ჩარჩოებში (VII_IX) განსაზღვრულია შუალედური მიზნები, მაგრამ ზოგიერთი მათგანი არამართებულადაა დაკავშირებული სამიზნე ცნებასთან. კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნულ რამდენიმე მაგალითზე დაყრდნობით ინდიკატორი შესაბამისობაშია, თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კომპლექსური დავალების პირობაში ჩაშენებული კრიტერიუმები კორელაციაში უნდა იყოს ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან, წინააღმდეგ შემთხვევაში არამიზანმიმართული გახდება სწავლების პროცესი, ვერ იქნება გათვალისწინებული სტანდარტით დადგენილი მოთხოვნები. კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ ამ პრინციპის გათვალისწინებით აიგება ყველა კომპლექსური დავალების პირობა. რეკომენდაციით ყურადღება უნდა მიექცეს კომპლექსური დავალებით რომელი ცნებები მუშავდება. ცნების მკვიდრი წარმოდგენების ფორმულირება უცვლელია, არ ნაწევრდება. კომპლექსური დავალებით მუშავდება ცნების ყველა მკვიდრი წარმოდგენა და არა რომელიმე ერთი, ამ ფაქტორების გათვალისწინებით უნდა გასწორდეს კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები სტანდარტის შესაბამისად. სკოლამ წარმოადგინა საბაზო საფეურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) ყველა კლასის (VII, VIII, IX) კურიკულუმის ჩარჩო, რომელშიც მეტწილად გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თუმცა არის რიგი გარემოებები, რომლებიც სასურველია, რომ გასწორდეს, კერძოდ: ფიზიკის VII კლასის კურიკულუმის ჩარჩო: I თემის (ნივთიერების აგებულება და მისი ფიზიკური თვისებები) პირველ ძირითად საკითხთან სამიზნე ცნება არის მითითებული არასწორად, წერია მოძრაობა და უნდა ეწეროს ფიზიკური პროცესი (სტანდარტის მიხედვით), ამავე საკითხთან სასწავლო რესურსებში მითითებულია სასწავლო რესურსები - „სილკნეტის საშინაო სკოლა“, ტელეგაკვეთილი „ნივთიერების აგებულება“, „ატომები და მოლეკულები“ ელექტრონული მისამართების გარეშე, მეორე ძირითად საკითხთან სასწავლო რესურსებში მითითებულია სასწავლო რესურსი - „ტელესკოლა- მასა და სიმკვრივე“ ელექტრონული მისამართების გარეშე. II თემის (თანაბარი და არათანაბარი მოძრაობა) პირველ ძირითად საკითხთან სამიზნე ცნება არის მითითებული არასწორად, წერია მოძრაობა (სტანდარტის მიხედვით ასეთი სამიზნე ცნება არ არსებობს). თემის ფარგლებში არ მუშავდება ოთხივე სამიზნე ცნება, კერძოდ,

სამიზნე ცნებები - მატერია, ენერგია და ძალა დამუშავების მიღმა არის დარჩენილი; III თემის (ძალა და წნევა) თემის ფარგლებში არ მუშავდება ოთხივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნება ენერგია დამუშავების მიღმა არის დარჩენილი; ფიზიკის VIII კლასის კურიკულუმის ჩარჩო: I თემის (მექანიკური მოვლენები) პირველ ძირითად საკითხთან სამიზნე ცნების „ძალა“ შესაბამისი ზოგადი ქვეცნება არის მითითებული არასწორად, წერია ძალის მოქმედების შედეგი და უნდა ეწეროს ნიუტონის კანონები - ძალის მოქმედების შედეგები, თემის ფარგლებში არ მუშავდება ოთხივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნება - მატერია დამუშავების მიღმა არის დარჩენილი; ფიზიკის IX კლასის კურიკულუმის ჩარჩო: I თემის (თანაბარი და აჩქარებული მოძრაობა) პირველ ძირითად საკითხთან სამიზნე ცნება არის მითითებული არასწორად, წერია მოძრაობა (სტანდარტის მიხედვით ასეთი სამიზნე ცნება არ არსებობს). II თემის (სტატიკა და დინამიკა) მეორე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია ძირითადი კონტექსტ - მაგალითი „ვიდეორგოლი ჩაფხუტის შესახებ“ ელექტრონული მისამართის გარეშე. ბიოლოგიის VII კლასის კურიკულუმის ჩარჩო: VII კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხილრბში ყველა სავალდებულო თემასთან სამიზნე ცნებები მითითებული არის არასწორად, წერია სტრუქტურა და ფუნქცია და უნდა ეწეროს სტრუქტურა, ფუნქცია (სტანდარტის მიხედვით), წერია სასიცოცხლო თვისებები და უნდა ეწეროს სასიცოცხლო თვისება (სტანდარტის მიხედვით). ბიოლოგიის VIII კლასის კურიკულუმის ჩარჩო: VIII კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში ყველა სავალდებულო თემასთან სამიზნე ცნებები მითითებული არის არასწორად, წერია სტრუქტურა და ფუნქცია და უნდა ეწეროს სტრუქტურა, ფუნქცია (სტანდარტის მიხედვით), წერია სასიცოცხლო თვისებები და უნდა ეწეროს სასიცოცხლო თვისება (სტანდარტის მიხედვით). ბიოლოგიის IX კლასის კურიკულუმის ჩარჩო: IX კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხილებში ყველა სავალდებულო თემასთან სამიზნე ცნებები მითითებული არის არასწორად, წერია სტრუქტურა და ფუნქცია და უნდა ეწეროს სტრუქტურა, ფუნქცია (სტანდარტის მიხედვით), წერია სასიცოცხლო თვისებები და უნდა ეწეროს სასიცოცხლო თვისება (სტანდარტის მიხედვით). ქიმიის VIII კლასის კურიკულუმის ჩარჩო: VIII კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხილებში ყველა სავალდებულო თემასთან სასწავლო რესურსებში მითითებულია „მულტიმედია რესურსები“ და „ტელესკოლის გაკვეთილები“ ელექტრონული მისამართების გარეშე. ქიმიის IX კლასის კურიკულუმის ჩარჩო: IX კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში ყველა სავალდებულო თემასთან სასწავლო რესურსებში მითითებულია „მულტიმედია რესურსები“ ელექტრონული მისამართების გარეშე მოწოდებული საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) კურიკულუმებიის ჩარჩო - ცხრილებში განსაზღვრული არის, თუ რომელი ძირითადი კონტექსტ - მაგალითებით იმუშავენებ 2023 – 2024 სასწავლო წელს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო - ცხილებში განსაზღვრული არის ძირითადადი კონტექსტ - მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა და მაგალითები შედარებისთვის, ამავდროულად, ადგილზე ვიზიტის დროს კათედრამ წარმოადგინა კომპლექსური დავალებები, რომლის მიხედვითაც იმუშავებენ 2023 – 2024 სასწავლო წელს. სკოლას ასევე მიეცა რჩევა საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) ყველა კლასის (VII, VIII, IX) კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში გათვალისწინებული იყოს გრძელვადიან მიზნებთან მიმართება, კერძოდ, ყველა სავალდებულო თემა გაწერილი იყოს იმგვარად, რომ თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, სამიზნე ცნებები გაწერილი იყოს სტანდარტის შესაბამისად, ყველა ძირითად საკითხთან მითითებულ ელექტრონულ რესურსს - შესაბამისი

ელექტრონული მისამართი, ძირითად კონტექსტ - მაგალითთან მითითებულ ვიდეორგოლს - შესაბამისი ელექტრონული მისამართი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. საბაზო საფეხურზე კათედრების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. სწავლა არის მოსწავალის პიროვნული ზრდის და განვითარების პროცესი. შესაბამისად ის მიმართულია არა მხოლოდ მოსწვალეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. მოსწავლე ყალიბდება პიროვნებად, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობა, კოგნიტური და სოციო-ემოციური სფეროს კეთილდღეობა, აკადემიური მიღწევა და იდენტობა. დავალებებზე მუშაობის, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს; გააკეთოს ეთიკური, კონსტრუქციული არჩევანი პერსონალურსა თუ სოციალურ ქცევებს შორის. ესთეტიკური კათედრის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საბაზო საფეხურზე მოცემული სავალდებულო თემები, თემებში ჩაშლილი საკითები და კონტექსტ მაგალითები ითვალისწინებს მრავალფეროვანი ვიდეო-აუდიო მასალის, ცხრილების, სქემების და სხვა ტიპის დავალებების მოსმენას, შესრულებას და პრეზენტირებას, რაც მოსწავლეებს უვითარებს შემოქმედებით, კრიტიკული აზროვნების, სხვადასხვა საჭირო პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ უნარებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მაგ. პრეზენტაციის, დისკუსიის, ანალიტიკური ესეს, სინთეზური ესეს შეფასების რუბრიკა. გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კიდევ უფრო ეფექტურად შეირჩევა კონკრეტული ინსტრუმენტი კონკრეტული მიზნის გათვალისწინებით. მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარებისათვის, მასწავლებლები აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. მასწავლებელს გაცნობიერებული აქვს, რომ განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან სასწავლო მიზნებს და ახდენს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებას. შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებაში მოსწავლეებიც არიან ჩართული და მათ წინასწარ იციან როგორ შეფასდებიან სხვადსხვა დავალების შესრულებისას. მასწავლებლები იყენებენ თვითშეფასებას და ურთიერთშეფასებას. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ახალი სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს შეიმუშაოს მექანიზმები რომელიც სრულად იქნება ორიენტირებული მოსწავლეთა ჰოლისტურ მხარდაჭერაზე. ესთეტიკური კათედრის მუშაობა ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და ამაში დიდი როლი აქვს განმავითარებელ შეფასებებს, მოტივაციის ზრდისათვის. თვითშეფასების კითხვარში ვნახულობთ ჩანაწერს, სადაც სკოლა ყურადღებას ამახვილებს განმავითრებელი შეფასებით მშობელთა ინფორმირებულობაზე. ესთეტიკის კათედრამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რამდენიმე რუბრიკა და ჩანს შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების გამოყენების მზაობა, რომელიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზანზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების რუბრიკები სხვადასხვა აქტივობისთვის, რომლებიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო მიზნებს, სტანდარტის შედეგებს, სამიზნე ცნებებს. რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ასახავს მოსწავლეთა შესაძლებლობებს, მიღწევებს, უნარებს. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული შეფასების პროცესში, მონაწილეობას იღებენ შეფასების კრიტერიუმების შედგენაში, შეფასების რუბრიკები ცნობილია მოსწავლეთათვის, ისე, რომ ისინი წინასწარ ინფორმირებულნი არიან თუ რა ფასდება და რა კრიტერიუმების საფუძველზე. შესაბამისად სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. სკოლის თვითშეფასების კითხვარის დოკუმენტიდან ირკვევა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში შეფასების რუბრიკები ყველა საგნისათვის იქნება თვალსაჩინო სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის. მოსწავლეთათვის კი გამოიკვრება ფლიპჩარტებზე, დიდ ფორმატში გადატანილი შეფასების რუბრიკები, რომელსაც მუდმივად მიადევნებენ თვალს, თემის შესწავლის პროცესში. კათედრა აცხადებს, რომ შეფასების რუბრიკები მორგებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე და დასაძლევად შესაბამისია ასაკობრივ კატეგორიასთან, რაც მათ მიერ შექმნილი შეფასების რუბრიკებით დასტურდება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასების რუბრიკების შემუშავება ხდება კათედრაზე ერთობლივად, ასევე ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. საჯარო სკოლას ასევე შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს ჩარჩო დოკუმენტს სადაც წარმოდგენილია ყველა განმახორციელებელი რგოლის ვალდებულება და უზრუნველყოფს სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისობის შემოწმებას. დოკუმენტში გაწერილი აქვთ შეფასების ინსტრუმენტების შერჩევის მექანიზმი, ასევე ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირი და ვერიფიკაციის პროცედურა. სკოლის თვითშეფასების კითხვარში ვხვდებით ჩანაწერს, რომ კათედრებს დაევალებათ მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკების შექმნა და შესრულებული სამუშაოს მონიტორინგს მოახდენს სკოლის დირექცია და საჭიროების შემთხვევაში გასცემს რეკომენდაციებს პროცესის უკეთ წარმართვისათვის. ამ ეტაპზე, შემაჯამებელი დავალებებით ფასდებიან მოსწავლეები და შედეგები ელექტრონული ჟურნალის საშუალებით და დამრიგებლის ჩართულობით ეცნობებათ მშობლებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის მიხედვით, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და დაცვას კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად. პედაგოგები მუშაობენ ელექტრონულ ჟურნალში, სადაც ხდება შეფასებების შეტანა კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო წლის ბოლის, კლასის ხელმღვანელი ელექტრონული ჟურნალის საფუძველზე ავსებს მოსწავლის პირად საქმეებს და ინახავს კანონმდებლობით დადგენილი ვადით. საზოგადოებრივი- მოსწავლეთა პირადი საქმეები, რომელშიც ასახულია მოსწავლეთა წლიური შეფასებები, ინახება სკოლის საქმეთამმართველთან. მოსწავლის მიერ სკოლის დამთავრების შემდეგ - სკოლის არქივში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;
- შეფასების რუბრიკები;
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პედაგოგებთან;
- შეფასების რუბრიკები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმა მიზნად ისახავს სასწავლო პროცესისთვის ღია/მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს შექმნას. სკოლის მისია და ხედვა მოსწავლეზე ორიენტირებულია, საათობრივი ბადე შექმნილია სკოლის პრიორიტეტებისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, რომელიც ორიენტირებულია, მოსწავლის განვითარებასა და სასწავლო პროცესის მხარდაჭერაზე, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საჭიროების მოსწავლისთვის. სასკოლო ცხოვრების პროცესები მიმდინარეობს თანამშორმლობით, პრობლემაზე ორიენტირებით, სასკოლო საზოგადოების წევრების გაზიარებული პასუხისმგებლობით, რასაც ცხადყოფს კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო სკოლისა და კლასის დონეზე, რასაც ცხადყოფს მასწავლებლების ერთმანეთთან აქტიური კომუნიკაცია და მათი ერთობლივად დაგეგმილი აქტივობები. სკოლაში არის თანამშრომლობითი და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული სასწავლო პროცესი, სამუშაო შეხვედრების დროს ერთმანეთს აძლევენ რჩევებს და რეკომენდაციებს, უზიარებენ წარმატებულ გამოცდილებას. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნა მასწავლებელმა, გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის უნარები, ინტერესები, საჭიროებები და სწავლა სწავლების პროცესში ქმნის კეთილგანწყობილ გარემოს. სკოლის ყველა რგოლი ჩართულია სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვაში. მშობლებს შეუძლიათ სხვადასხვა აქტივობებში ჩართვა და შემდეგ სკოლის ხელმძღვანელობასთან პრობლემების გადაჭრის გზებზე მსჯელობა. მასწავლებლები კათედრებზე ესწრებიან გაკვეთილებს და პოზიტიურ უკუკავშირს უბრუნებენ

კოლეგებს. სკოლაში ფუნქციონირებს „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი“. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. კათედრაზე ერთობლივი თანამშრომლობით შემუშავებული კურიკულუმი შეესაბამება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ზრუნვას თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, უზურნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, ხელს უწყობს მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და თვითგამოხატვას. წარმოდგენილი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებების იდეებით და რესურსებით ითვალისწინებს მოსწავლეების ინტერესებს და საჭიროებებს. სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებში როგორც საგნობრივი საკითხის შესწავლას ასევე სოციალური უნარების განვითარებას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ სკოლას აქვს გამოცდილება როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობების და პროექტების განხორციელების, რაც მოიაზრებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. სამომავლოდ სკოლა გეგმავს არსებული პრაქტიკის გაუმჯობესებას დიაგნოსტიკური შეფასების დანერგვის გზით. მაგალითად, ფიზიკური აღზრდა და სპორტის მასწავლებელს გათავისებული აქვს, რომ თითოეული მოსწავლე განსხვავებულია თავისი ფიზიკური შესაძლებლობებით და ინტერესებით და ამიტომ ცდილობს, რომ სწავლის პროცესი დაგეგმოს ისე, რომ ყველა მოსწავლეს ჰქონდეს თვითგამოხატვის საშუალება. წახალისებულია მოსწავლეთა ინტერესები შიდა სასკოლო სპორტულ აქტივობებთან დაკავშირებით. სასწავლო პროცესში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელი ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, რისთვისაც ქმნის თანამშრომლობაზე დაფუძნებულ პოზიტიურ გარემოს და შემდეგ ახორციელებს პროგრესის მონიტორინგს. საზოგადოებრივი მეცნიერებებში მოსწავლეებისთვის შექმნილია კომფორტული გარემო, რაშიც აქტიურად არიან ჩართულნი თავად მოსწავლეები. ყველა მოსწავლეს აქვს მასწავლებელთან პირადი კონტაქტის შესაძლებლობა. ხელშემწყობი გარემოს შესაქმნელად გამოყენებულია ტექნოლოგიურ საშუალებები: პრეზენტაციები, თვალსაჩინოებები, საგანმანათლებლო თამაშები, ინტერნეტის საძიებო სისტემები, რითიც ხდება მოსწავლეთა პოტენციალის რეალიზება. მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოში აქცენტი კეთდება პროგრესზე, რომელიც იზომება არა მხოლოდ დაგროვილი ფაქტობრივი ცოდნით, არამედ ფუნქციური უნარების განვითარებით (განმავითარებელი კომენტარები, შეფასება, თვითშეფასება). ფასდება მოსწავლის წინსვლა, გამოიყენება დიფერენცირებული მიდგომები და უნივერსალური სწავლების მეთოდები. ასევე ესთეტიკური აღზრდის კათედრას წარმოდგენილი აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და მასზე დაყრდნობით თვითშეფასების კითხვარში აღწერს მოსწავლეთა წარმატებისათვის ხელშემწყობ ქმედით ნაბიჯებს. ფორმალური და არაფორმალური ღონისძიებები, ოლიმპიადები, კონკურსები, კონფერენციები, დიაგნოსტიკური წერები და მათზე მიცემული განმავითარებელი უკუკავშირი საშუალებას იძლევა მიეცეთ მოსწავლეებს პროგრესის, წინსვლის საშუალება და მოტივაცია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, მათი მუშაობის პრინციპები აგებულია თანამშრომლობასა და გუნდურობაზე, რასაც ადასტურებს ერთობლივად შემუშავებული კურიკულუმები. აქვთ მზაობა, განავითარონ მასწავლებლების, მოსწავლეების, დირექციისა და მშობლების ჩართულობა სასწავლო პროცესებში და მათ შორის ეფექტური კომუნიკაცია. მასწავლებლები წინასწარ გეგმავენ გაკვეთილზე დასწრების გრაფიკს, ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილზე და აძლევენ უკუკავშირს, რის შემდეგაც სამუშაო შეხვედრების დროს, დასწრების შედეგად შეგროვებული მონაცემების საფუძველზე გამოკვეთენ პრობლემებს, სახავენ პრობლემების მოგვარების გზებს და აძლევენ საჭირო რეკომენდაციებს. სხვადსხვა სპორტული აქტივობის დაგეგმვისას ითვალისწინებენ როგორც მოსწავლეების, ასევე მშობლის აზრს. თანამშრომლობითი კულტურის ჩამოსაყალიბებლად და განსავითარებლად სკოლაში აქტიურად იკრიბებიან კათედრები და განიხილავენ იმ პრობლემატურ საკითხებს, რომელიც სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვას უწყობს ხელს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატი გულისხმობს ძლიერ თანამშრომლობით კავშირებს სასკოლო საზოგადოებას შორის, გაზიარებულ ღირებებულებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას, აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, აკადემიური და პიროვნული ზრდა, მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა მათი ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტებია. სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ფორმის მიხედვით, სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანი ფაქტორია ღიაობა და მიმღებლობა, ნებისმიერი პრობლემა და გამოწვევა განიხილება როგორც გაზიარებული პასუხისმგებლობა მისაღებ გადაწყვეტილებაზე. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა რომ სკოლაში სკოლაში ტარდება სადმრიგებლო საათები, სადც მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა ისაუბრონ მათთვის სასურველ თემაზე და ღიად დააფისირონ თავიანთი მოსაზრება. სკოლაში არსებობს შემეცნებითი სახის კლუბები, წრეები, ხორცილედება პროექტები, რის საფუძველზეც შეგვიძია დასკვნის გაკეთება, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი. სკოლა ცდილობს შექმნას ისეთი საგანმანათლებლო სისტემა სადაც მოსწავლეებს შორის, მასწავლებლებს შორის და მოსწავლესა და მასწავლებელს შორის შეიქმნას ისეთი გარემო რომელიც აგებული იქნება თანამშრომლობასა და ურთიერთმხარდაჭერაზე ამისათვის შექმნილია და ინერგება ისეთი სასწავლო აქტივობები და კომპლექური დავალებები რომელიც სასკოლო საზოგადოების კერძოდ კათედრის და მშობლების (მშობელთა ბარათების აქვთ გადმოგზავნილი) ჩართულობით მიიღწევა. რაც თავის მხრივ ქმნის პოზიტიურ სასწავლო გარემოს. თვითშეფასების ფორმის მიხედვით სკოლაში, სასკოლო კლიმატი შექმნილია ხუთგანზომილებიანი მოდელით: უსაფრთხოება, სწავლა სწავლების პროცესი და მისი მხარდაჭერა, ინტერპერსონალური და პროფესიული ურთიერთობები, მართვის სტილი, ინსტიტუციური გარემოს ავთენტური სივრცე სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლას მრავალი აქტივობა აქვს განხორციელებული სამოქალაქო აქტივობისა და ცნობიერების ამაღლების კუთხით. მიმდინარე სასწავლო წელს განხორციელდა პროექტები: ,,არა ძალადობას“, მედიაწიგნიერების კვირეულის, ,,არა კიბერბულინგს“. სკოლა ორიენტირებულია მდგრადი განვითარების მიზნებზე, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა პროექტი - ,,თანამედროვე სოფელი და ბიოინტენსიური მეურნობა“, ,,ნარჩენების ახალი სიცოცხლე“, მოეწყო გამოფენაც. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- სკოლის სამოქმედო გეგმა;
- სკოლის ღონისძიებები/პროექტები;
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პედაგოგებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება
2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმის და კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტები. აღნიშნული დასტურდება ბრძანებებით და შინაარსში იკითხება დოკუმენტთა შექმნაში მონაწილე პიროვნებათა ვინაობა. ამ ეტაპზე, როგორც მოსწავლეთა მიღწევები, ასევე, მასწავლებელთა მიერ ჩატარებული გაკვეთილების ხარისხი იზომება კოლეგათა ურთიერთდასწრებით. მიეწოდებათ რჩევა-რეკომენდაციები პოზიტიურ ჭრილში. მონიტორინგის ჯგუფი შეადგენს

კითხვარებს მოსწავლეებისა და მშობლებისათვის და გაზომავს სკოლის საჭიროებებს. მასწავლებელთა განვითარებისათვის დაგეგმავს მიზანმიმართულ ტრენინგებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებელთა გაკვეთილზე დასწრებას, უკუკავშირს, რეკომენდაციების მიცემას. სკოლის ადმინისტრაცია, კათედრები, კოლეგები მუდმივად ზრუნავენ სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის. გაკვეთილებზე დასწრების რეფლექსიებს უზიარებენ კათედრებს და შემდეგ დირექციას. მომდევნო სასწავლო წლისათვის წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით გააუმჯობესებენ მონიტორინგის მექანიზმს და ხასგასმით აღნიშნავენ, რომ სასკოლო საზოგადოების საჭიროებები სრულფასოვნად იქნება გათვალისწინებული. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. წამოჭრილი პრობლემების მოსაგვარებლად, სკოლაში მიმდინარეობს პრობლემის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, შემდეგ საჭირო დავალებებით პრობლემის აღმოფხვრაზე მუშობა. ინტერვიურების პროცესში, ესთეტიკურმა კათედრამ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის პროცესში შეისწავლეს დიაგნოსტირების ინსტრუმენტები და მომდევნო სასწავლო წელს, კათედრის დონეზე გაიზომება მოსწავლეთა მიღწევები, პრობლემები და მოხდება შესაბამისი დავალებების, აქტივობების შემუშავება პრობლემების აღმოსაფხვრელად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- ბრძანებები;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესის შესაფასებლად სკოლა იყენებს „ხარისხის მართვისა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერის“ ჯგუფის უკუკავშირებს, დირექციის დაკვირვებას, U USAID პროექტ ,,საბაზისო განათლება“ უკუკავშირს „კრიტიკული მეგობრის“

შეფასებებს, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმებს(V_VI კლასები) საგნობრივ ციფრობრივ ანგარიშებს. მასწავლებლები ახდენენ საკუთარი გაკვეთილის რეფლექსიას. მომდევნო სასწავლო წლისთვის სკოლაში დაინერგება დიაგნოსტიკური შეფასების პირველი ინსტრუმენტი კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგისთვის.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლა შეფასებას ახორციელებს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მაგ მოსწავლის სწავლის პროცესის პროგრესის, საჭიროების შეფასება ხდება სახლის, სკოლის, სათამაშო სივრცის, გაკვეთილების და სხვა კონტექსტის გამოყენებით. ანკეტირებით, ინტერვიუთი, კვლევით და ა.შ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სასწავლო პროცესის შესაფასებლად სკოლა იყენებს შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმებს, საგნობრივ ციფრობრივ ანგარიშებს მასწავლებლები ახდენენ საკუთარი გაკვეთილის რეფლექსიას, მომდევნო სასწავლო წლისთვის სკოლაში დაინერგება დიაგნოსტიკური შეფასების პირველი ინსტრუმენტი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა შეფასებას ახორციელებს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, როგორიცაა დრო და სივრცე, უშუალოდ გარემომცველი მიკროსისტემა, ეზო, ოჯახი, სამეზობლო, მეგობრები, სკოლა, ტრადიციები, კანონები, ფასეულობები და სხვა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- საგნობრივი კათედრების, პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, მშობელთა კრებების ოქმები;
- შემაჯამებელი დავაებების ანალიზი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგნობრივი კათედრის წევრები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის განვითარება, როგორც ციკლური ბუნების მქონე პროცესი, გულისხმობს პროცესების მუდმივ შესწავლას და რეფლექსიას მათზე დაყრდნობით, მიღწეულია დასახული მიზნები, პროცესები- გაუმჯობესებული თუ არა. მნიშვნელოვანია, რომ დაგეგმვის პროცესში აღმოჩენილი მიგნებები და რეფლექსიები გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ, გათვალისწინებული იყოს გადაწყვეტილების მიღებისა და სამომავლო პერსპექტივის შეფასებისას. კათედრის წევრები შეხვედრებზე ცდილობენ გასცენ ისეთ კითხვებს პასუხები როგორებიცაა: რა გამოცდილება დამიგროვდა სასწავლო წლის მანძლზე? როგორ შეიძლება ეს გამოცდილება გამოვიყენო სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის? რა უნდა გავითვალისწინო ახალი წლის დაგეგმვისას: ადმინისტრაციის, მასწავლებელის, მოსწავლის და მშობლის დონეზე? როგორ გავაზიარო პასუხისმგებლობა ამ გამოცდილების გათვალისწინებაზე სასკოლო საზოგაოდებაში და ა.შ. აღნიშნავენ, რომ წინარე გამოცდილება გამოიყენეს ახალი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, იგეგმება ამ მიმართულებით კონკრეტული ინსტრუმენტებისა და კურიკულუმის ეფექტიანობის განმსაზღვრელი მექანიზმის შემუშავება, რომელიც სრულყოფილად აისახება მეთოდოლოგიურ დანართში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. საგნობრივი კათედრის წევრები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები სრულყოფილად აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში, ნაწილობრივ ასახულია კიდევაც. ეს გამოცდილება გათვალისწინებული იქნება, როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც. ახალი კურიკულუმის შედგენისას მეტნაკლებად გათვალისწინებულია ის პრობლემები, რომელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა. შესაბამისად კურიკულუმის რევიზირებული ვერსიის შესაქმნელად მნიშვნელოვანია კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღოს არა მხოლოდ ერთმა მასწავლებელმა, არამედ კათედრისა და სასკოლო საზოგადოების ყველა წევრმა, ვინც მონაწილეობა მიიღო კურიკულუმის განვითარებაში. კათედრის წევრები 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში გეგმავენ პარალელურ კლასებში ერთიდაიმავე კომპლექსური დავალებების დანერგვას, დანერგვის პროცესის შესაფასებლად შემუშავებული ინსტრუმენტები სრულყოფილად წარმოდგენილი იქნება მეთოდოლოგიურ დანართში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;;
- შეფასების ინსტრუმენტები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*
  - ☒ შეესაბამება
  - ☐ მეტწილად შეესაბამება
  - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
  - ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში განსაზღვრულია საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგიის საკითხები. ინტერვიუს მსვლელობისას პედაგოგებმა აღნიშნეს რომ სკოლის და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ და კათედრაზე კოლეგიალურად შეიმუშავებენ კურიკულუმებს. ხდება მშობლების ინფორმირება და მათი უკუკავშირის გათვალისწინება კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის ჩარჩო დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია თუ როგორ ხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულების, და პრიორიტეტების გათვალისწინება კურიკულუმის შემუშავების პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში, შერჩეული სასწავლო თემები და რესურსები გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან და გათვალისწინებულია მოსწავლეების ინტერესები. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ფორმის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმს, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილს ითანხმებს სამეურვეო საბჭო, რომელშიც წარმომადგენელი ჰყავს როგორც მშობლებს, ასევე მოსწავლეთა თვითმმართველობას, რომლებსაც ეძლევათ საშუალება აზრი გამოთქვან და გამოკვეთონ როგორც მოსწავლეების ასევე მშობლების ინტერესები. დოკუმენტს ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. ინტერვიუს მსვლელობისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა და ერთობლივად გეგმავს სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებს, კომპლექსურ დავალებებს და

აქტივობებს. სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც აღწერილია თუ რა ფორმით მონაწილეობენ საზოგადოების წევრები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლაში კურიკულუმის გაზიარება ხდება კათედრაზე, მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრებზე, სასკოლო საზოგადოებაში. სკოლის მიერ განხორციელებელი აქტივობები განთავსებულია სკოლის ფეისბუქ გვერდზე. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ფლობენ კურიკულუმსა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილ მასალას. რადგანაც სკოლას არ აქვს კომპლექსური დავალებების განხორციელების დიდი გამოცდილება, ამ მიმართულებით არსებული პრაქტიკის გასაუმჯობესებლად, ახალი სასწავლო წლიდან ამოხატავს მზაობას და გეგმავს კომპლექსური დავალებების ბარათების შემუშავებას მშობლებისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურუკულუმის ჩარჩო;
- სკოლის სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების ჩარჩო დოკუმენტი;
- პედსაბჭოს ოქმი;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- ინტერვიუ.

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა საშუალო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილები, რომლებიც წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვისა და განვითარების გზას. არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში ძირითადად სწორად არის განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო - ცხრილები ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები, ხოლო მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია კომპლექსური დავალებების სახით. სწავლის შედეგები თითოეულ საგანში მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. კომპლექსურ დავალებებში გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების გრძელვადიან მიზნებზე. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას გაითვალისწინეს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი გრძელვადიანი მიზნები. სკოლამ ასევე წარმოდგენა მოსწავლეთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც კორელაციაშია კურიკულუმში მოწოდებულ საკითხებთან და გაწერილია სამიზნე ცნებებთან მიმართებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში სწორად არის განსაზღვრული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის საგნების სტანარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები. წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის

მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. შეთავაზებული კომპლექსური და კომპლექსური ტიპის დავალებები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის დავალებებს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უკუკავშირს. ასევე აღსანიშნავია პედაგოგების მიერ კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში დაგეგმილია აქტივობები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეებისთვის ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა) განვითარებაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. სასწავლო გარემო და დაგეგმილი კურიკულუმები მოსწავლეთა საჭიროებებზე არის ორიენტირებული. პედაგოგები სასწავლო პროცესში იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები და შესაძლებლობები, მრავალფეროვანია და მოსწავლეზე მორგებულია რესურსები და სასწავლო მასალა. შერჩეულია ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოები, რაც მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს. დავალებები აძლევს მოსწავლეს შესაძლებლობას, გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. სსსმ მოსწავლეებისათვის შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური გეგმები, რომლებიც ეფუძნება თითოეული მოსწავლის აქტუალურ დონეს და მათში გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებები, ინტერესები და ინდივიდუალური შესაძლებლობები. ამჟამად სსსმ მოსწავლეებისათვის სკოლაში შექმნილია შესაბამისი პირობები, კერძოდ, გამოყოფილია ოთახი, რომელიც აღჭურვილია მატერიალურ - ტექნიკური რესურსებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სკოლაში შეფასება იწარმოება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ შეფასების რუბრიკებზე დაფუძნებით. მოსწავლეთა შედეგები ფასდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით. წარმოდგენელია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იმ კომპლექსური დავალებებისთვის, რომლებიც გაწერილია კურიკულუმის ჩარჩოში და დაგეგემილია 2023 - 2024 სასწავლო წლისთვის. გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ ამჟამად ახორციელებენ ზეპირ განმავითარებელ შეფასებას, თუმცა პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული კომპლექსური დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკის აგების პრინციპი. სკოლის მიერ წარმოდგენელია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იმ კომპლექსური დავალებებისთვის (თუმცა ყველა კონტექსტ - მაგალითისთვის არ იყო წარმოდგენილი), რომლებიც გაწერილია კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში და დაგეგემილია 2023 - 2024 სასწავლო წლისთვის. სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს და მომდევნო სასწავლო წლისთვის

შერჩეულია განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. იგეგმება განმავითარებელი რუბრიკების შექმნა ყოველი კონტექსტ - მაგალითის მიმართ და განმასღვრელი რუბრიკის შექმნა საშუალო საფეხურის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად ყველა შესასწავლი თემებისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. საშუალო საფეხურზე, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კათედრაები ახდენენ წინა წლის გამოცდილების ანალიზს, კერძოდ, კოლეგები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარი პრაქტიკას და მათი გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს. თითოეული მასწავლებელი ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. არჩევს მისი საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების აქტივობებს. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ მასწავლებლები კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეების, კოლეგების, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგებს, წინარე გამოცდილებას, რის საფუძველზეც გეგმავენ ახალ კომპლექსურ დავალებებს და აგრძელებენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმზე მუშაობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო-ცხრილები;
- შეფასების რუბრიკები;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- ინტერვიუ პედაგოგებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

სკოლაში არ არის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, შესაბამისად, საფრთხე ექმნება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების კურიკულუმის განხორციელებას საშუალო საფეხურზე. (საფუძველი: ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი) სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2 კომპონენტთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 16.10.2023-28.02.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს მეორე შენობაში, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა.

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრის მხრიდან წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის ჩარჩო (მე-10-11-12 კლასები) იძლევა მოსწავლის შინაგანი მოტივაციის აღძვრის შესაძლებლობას. კომპლექსური დავალებები, რომლებიც ჩაშენებულია კურიკულუმის ჩარჩოში ისეთი აქტივობების დანერგვას ითხოვს, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიქტი, იგი გამოკვეთს, განიხილავს და წყვეტს პრობლემას, ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ დისკუსიების სახით. საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში გვხვდება კომპლექსური ბუნების დავალებები, (მაგ: ანალიტიკური ესე) ეს დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მე-10 კლასის კურიკულუმის ჩარჩოზე დაყრდნობით ვასკვნით, რომ ინდიკატორი შესაბამისობაშია, მაგრამ შუალედური მიზნები უნდა

განისაზღვროს XI-XII კლასებისთვისაც. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილი მრავალფეროვანი და პრაქტიკული შინაარსის თემატური ბლოკები, კომპლექსური ბუნების დავალებები ხელს უწყობს მსჯელობის, ანალიზის, პრობლემის გადაჭრის, შემოქმედებით უნარების. ასევე სკოლში ხორციელდება არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას ჩაერთონ სხვადასხვა სახის პროექტებში, ღონისძიებებში, სასკოლო წრეებში. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ გაკვეთილზე ძირიტადი აქცენტი კეთდება კრეატიულ, სახალისო აქტივობებზე, კეთებით სწავლაზე, როლურ თამაშზე. ეს პროცესები ხელს უწყობს მათი შინაგანი მოტიცაციის გაღვივებას და მაღალი თვითეფექტიანობის ჩამოყალიბებას. მაგ. მათემატიკაში მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩასართავად სკოლას აქვს შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩო, რომელიც აჩვენებს მოსწავლის განვითარების გზას, სადაც ჩანს ის შემოქმედებითი პროცესები რომელიც უნდა განახორციელოს სკოლამ რათა მოსწავლეებში განავითაროს სწავლის ინტერესი და მოტივაცია, კონტექსტ მაგალითი არის იმ ფორმით ჩაწერილი, რომ იძლევა მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართვას და პროდუქტის შექმნას რომელიც ასახავს იმ პროცესების ერთობლიობას რაც სკოლამ უნდა განახორციელოს რათა მიაღწიოს კონსტრუქტივისტულ პრინციპს. ასევე საზოგადოებრივი მეცნოერებების სწავლებისას სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასკოლო გარემო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. წახალისებულია მათი ინიციატივები, მაღალია მიმღებლობა. თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია მათი ნამუშევრები: ნახატები, ნამუშევრები, ესეები, პროექტები, რესურსები. მოსწავლეები ტრადიციისამებრ აქტიურად ერთვებიან სკოლაში განხორციელებულ სხვადასხვა ღონისძიებაში. ესთეტიკური კათედრის საგნობრივ პორტფოლიოებში არ ატვირთულა პროექტის გეგმა, თუმცა ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ ქმნიან და ახორციელებენ სასწავლო პროექტებს. შეისწავლიან პროექტების სამოქმედო გეგმის გაწერას. პროექტული სწავლებისას მოსწავლეებს ეძლევათ პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები. სკოლაში ტარდება გასვლითი ხასიათის ექსკურსია-გაკვეთილები, (მუზეუმებში, გალერეებში, საკულტო ძეგლების მონახულება.) რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას, ასევე მოსწავლეების შინაგანი მოტივაციის ზრდას, უყალიბდებათ პოზიტიური დამოკიდებულებები და იზრდება მათი აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩო (მე-10 კლასი) აგებული უნდა იყოს თემატური ბლოკების, დაწყებითი საფეხურის შემთხვევაში თემების გათვალისწინებით, რაც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის, დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. ამასთანავე, თემა უნდა წარმოადგენდეს მოსწავლისათვის აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლის შემეცნების სუბიექტად გადაქცევისა და მისი შინაგანი ძალების გააქტიურებისათვის. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული დავალების პირობათა უმრავლესობა შემუშავების პროცესშია, მაგრამ წარმოდგენილ ნიმუშებში ჩანს მოსწავლისთვის ნაცნობი

კონტექსტი, მაგ., კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით. ეს არგუმენტი ცხადყოფს, რომ მომდევნო სასწავლო წელს პროცესი წარიმართება აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით. კონკრეტულ დავალებამდე განსახორციელებელი აქტივობები წარმოდგენილი იქნება უახლოეს მომავალში. კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულ შვალედურ მიზნებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინდიკატორი შესაბამისობაშია, აღნიშნული დავალებების შესრულება მოითხოვს კონსტრუირების პროცესს, მაგრამ მართებულად უნდა განისაზღვროს თემატური ბლოკები და თემები. სავალდებულო თემები და თემატური ბლოკები განსაზღვროლია საშუალო -საბაზო საფეხურზე სტანდარტით (მაგ: მე-20 საუკუნის 50-იანი წლების ლიტერატურაა არაა სტანდარტით გათვალისწინებული თემატური ბლოკი, სავალდებულო თემა. რეკომენდაცია: იხელმძღვანელენონ შესაბამისი დოკუმენტით, ეროვნული სასწავლო გეგმით. სკოლის თვითშეფასების და ინტერვიუს მიხედვით, მასწავლებლები გაკვეთილების დაგეგმვისას ითვალიისწინებენ მოსწავლის წინარე ცოდნას, ახალ ინფორმაციას უკავშირებენ მათთვის ნაცნობ მასალას და სიტუაციას. უკავშირებენ ცხოვრებისეულ გამოცდილებებს, ეძებენ საგანთაშორის კავშირებს. ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები თავისი თემატური კონტექსტით ეხმარება მოსწავლეებს ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში და გააზრებაში. მოსწავლეებისთვის შეთავაზებულია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებშიც მოსწავლეებს უწევთ ნაცნობი კონტექსტის გამოყენებით გადაჭრას პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას პროდუქტი. სასწავლო პროცესში წახალისებულია პროექტების ინიცირება, ღონისძიებები, თანამშრომლობითი აქტივობები, რის საუძველზეც, შეგვიძლია დასკვნის გაკეთება რომ სკოლას აქვს გამოცდილება სასწავლო პროცესში გამოიყენოს კონსტრუქტივიზმის მიდგომები. მე-10 კლასში, პროექტული სწავლებისას, საშუალო საფეხურის მოსწავლეებს არ გაუჭირდებათ სასწავლო პროექტში ძირითადი მახასიათებლების გამოკვეთა და გრძელვადიან მიზანზე გასვლისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განმტკიცება, რადგანაც აქვთ კომპლექსური დავალებებით მუშაობის გამოცდილება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. კათედრების მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში პოცესები იმგვარადაა დაგეგმილი, მოითხოვს სწავლის პროცესზე აქცენტირებას მოსწავლის მხრიდან. შერჩეული კომპლექსური დავალებები მოსწავლის მხრიდან მოითხოვს მსჯელობას საკუთარ გამოცდილებასა და ინტერესზე, გადაწყვეტილების პროცესში საკუთარ პოზიციასა და დასკვნების ვალიდურობაზე, მასწავლებელთა მიერ განხორცილებული და სამომავლოდ დაგეგმილი აქტივობები, დავალებები მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს გაითვალისწინოს ინდივიდუალური გამოცდილება. კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნული კომპლექსური დავალებების დანერგვის პროცესი შესძლებლობას იძლევა მხარდაჭერილ იქნას მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. მოსწავლეს ეძლევა საშუალება ახსნას რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელიშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი

პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში და სხვა, ეხმარება მოსწავლეს საკუთარი აკადემიური (და არა მხოლოდ აკადემიური) თვითცნობიერების განვითარებაში. კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ მათი მხრიდან დიდი ყურადღება ექცევა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას, რაც აისახება სამომავლოდ მეთოდოლოგიურ დანართში. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ კათედრის მიერ წარმოდგენილ თემატურ მატრიცაში გეზისმიმცემი კითხვებით, კონკრეტული აქტივობებით, მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკებითა და გასიტყვების პროცესში დასმული კითხვებით ყურადღება მახვილდება მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე, ცხადია კათედრის წევრები ამ გამოცდილებას გაითვალისწინებენ მეთოდოლოგიური დანართის სრულყოფისას. სწავლის სწავლაზე განსაკუთრებით ყურადღება მახვილდება, რადგან იგი წარმოადგენს მეტაკოგნიტური უნარების განვითარების საშუალებას. როგორც გასაუბრებიდან გამოიკვეთა მოსწავლეთა შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განსავითარებლად მასწავლებლები იყენებენ ისეთ აქტივობებს, სადაც მოსწავლე თავად შეძლებს დაინახოს ის ძირითადი არსი საკითხის სიღრმისეულად გასააზრებლად, ამისათვის მოყვანილ იქნა მოსაზრება რომ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სხვადასხვა გრაფიკული მაორგანიზებლები. სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდება, მოსწავლეს განუვითარდეს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რათა მან შეძლოს საქმიანობის განსაზღვრა, დავალების აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი და ქცევის სოციო-ემოციური მართვა. პროექტული სწავლების სტრუქტურა ისეა აგებული, რომ მოსწავლეს დამოუკიდებლად შეუძლია დავალების პირობის განსაზღვრა, გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის გამოვლენა-მობილიზება; დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის დადგენა; სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების გათავისება; განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა; იმის განჭვრეტა, თუ რა გაუადვილდება, რა გაუძნელდება, რაში დასჭირდება დახმარება; სტრატეგიების მიზანშეწონილად შერჩევა. სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, წახალისებულია მოსწავლის ინიციატივები. კურიკულუმის ჩარჩოში პროექტული სწავლებისათვის უნდა ჩანდეს პროექტის ისეთი იდეები, სადაც პედაგოგს და მოსწავლეებს დასჭირდებათ მრავალფეროვანი სტრატეგიების და აქტივობების შემუშავება, დაგეგმილი დავალებების განსახორციელებლად, რაც მოსწავლეებს შესძენს ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის გამოცდილების გაუმჯობესების საშუალებას. მოსწავლე თავად მოახდენს შესრულებული დავალების ანალიზს, მიიღებს სათანადო ზომებს საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად; განსაზღვრავს დროის მენეჯმენტს, რაც სჭირდება დავალების შესრულებას და პრეზენტირებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. კათედრების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები იმგვარადაა აგებული, რომ ყურადღება მახვილდება ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული, პირობისეული). მომავალი წლის სასწავლო კურიკულუმი მოსწავლეებს სთავაზობს იმგვარ ამოცანას, სადაც პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება მოუწევთ, სადაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. მასწავლებელები აღნიშნავენ, რომ ეს პროცესი მიზნად ისახავს კონკრეტული საკითხის სიღრმისეულ გააზრებას. კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნულ შუალედურ მიზნებზე დაყრდნობით ვასკვნით, რომ ინდიკატორი შესაბამისობაშია, მაგრამ რეკომენდაციის სახით მიეცათ რჩევა ყურადღება მიექცეს

საკითხების ფორმულირებას და მართებულად ჩამოყალიბდეს. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები და წარმოდგენილი რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეებში საგნობრივი საკითხების გააზრებას. სკოლას აქვს ინტეგრირებული გაკვეთილების, პროექტული სწავლების გამოცდილება, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებების და აქტივობების განხორციელების გამოცდილება, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითად განიხილება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. კათედრების მიერ წარმოდგენი კურიკულუმის ჩარჩოში ასახული ინფორმაცია, აღნიშნული კომპლექსური დავალებები, წინა წელს დანერგილი კომპლექსურები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. საგნობრივი კურიკულუმი (მე-10-11-12 კლასი) რომლიც სკოლამ წარმოადგინა, საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. ეს ფაქტორები გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რადგან მითითებული კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა დაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე. საშუალო საფეხურზე უცხო ენაში წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური ბუნების დავალებები განხორციელებული პროექტები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ის ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. მოსწავლეებს მასალა მიეწოდება ეტაპობრივად, შინაარსობრივი თანმიმდევრობით, ყოველი მომდევნო ნაწილი მასალის ორგანულ კავშირშია წინასთან, რაც განაპირობებს ცოდნის სწორ ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში იყენებენ ისეთ აქტივობებს და მეთოდებს, რომლებიც უზრუნველყოფს ცოდნის სამივე კატეგორიის ლოგიკურ კავშირს, რადგან სტრუქტურიდან გამომდინარე დავალების ეტაპები დეკლარაციულ ცოდნაზე აფუძნებს პროცედურულს და მასზე პირობისეულ ცოდნას. პორთფოლიოებში წარმოდგენილი დოკუმენტების და გასაუბრების შედეგად, გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. სასკოლო პროექტები ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რაც მას გამოადგება პრობლემის გადაჭრისას, გამოწვევებთან გამკლავებისა და პროდუქტის შექმნისას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;;
- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო-ცხრილები;

- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- ინტერვიუ პედაგოგებთან.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი; სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები უნდა ეფუძნებოდეს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხი და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. კურიკულუმის ჩარჩოში (მე-10-11-12 კლასი) განსაზღვრულია შუალედური მიზნები, მაგრამ ზოგიერთი მათგანი არამართებულადაა დაკავშირებული სამიზნე ცნებასთან. კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნულ რამდენიმე მაგალითზე დაყრდნობით ინდიკატორი შესაბამისობაშია, თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კომპლექსური დავალების პირობაში ჩაშენებული კრიტერიუმები კორელაციაში უნდა იყოს ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან, წინააღმდეგ შემთხვევაში არამიზანმიმართული გახდება სწავლების პროცესი, ვერ იქნება გათვალისწინებული სტანდარტით დადგენილი მოთხოვნები. კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ ამ პრინციპის გათვალისწინებით აიგება ყველა კომპლექსური დავალების პირობა. მიეცათ რეკომენდაცია მართებულად განსაზღვრონ კონკრეტული კომპლექსური დავალებით რომელი ცნებები მუშავდება. ცნების მკვიდრი წარმოდგენების ფორმულირება უცვლელია, არ ნაწევრდება. კომპლექსური დავალებით მუშავდება ცნების ყველა მკვიდრი წარმოდგენა და არა რომელიმე ერთი, ამ ფაქტორების გათვალისწინებით უნდა გასწორდეს კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩასართავად სკოლას აქვს

კომპლექსური დავალებებით სწავლება დაგეგმილი, რისთვისაც ის გაწერილია, 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმში და წარმოადგენს იმ პროცესების ერთობლიობას, რომელიც უნდა წარიმართოს იმისთვი რათა მოხდეს მოსწავლეების ჩართვა კვლევა-ძიების ახალი იდსეების გენერირების პროცესებში, რისთვისაც სკოლას აქვს პოტენციალი განავითაროს წინა წელთან შედარებით. სკოლამ წარმოადგინა საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) X და XI კლასის კურიკულუმის ჩარჩო, რომელშიც მეტწილად გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თუმცა არის რიგი გარემოებები, რომლებიც სასურველია, რომ გასწორდეს, კერძოდ, ფიზიკის XI კლასის კურიკულუმის ჩარჩო: I თემის (ელექტრომაგნიტური მოვლენები) პირველ ძირითად საკითხთან სამიზნე ცნების მიმართ არ არის განსაზღვრული შესაბამისი ქვეცნებები. II თემის (რხევები და ტალღები) მეორე ძირითად საკითხთან არ არის განსაზღვრული სასწავლო რესურსები, მეორე და მესამე ძირითად საკითხთან, შუაში, არის გაწერილი სამიზნე ცნებები შესაბამისი ქვეცნებების გარეშე და დაზასუსტებელია, ორივე ძირითად საკითხთან მოიაზრება გაწერილი სამიზნე ცნებები თუ რომელიმე მათგანთან. III თემის (გეომეტრიული ოპტიკა) პირველ ძირითად საკითხთან სამიზნე ცნების მიმართ არ არის განსაზღვრული შესაბამისი ქვეცნებები. ბიოლოგიის X კლასის კურიკულუმის ჩარჩო: X კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხილრბში ყველა სავალდებულო თემასთან სამიზნე ცნებები მითითებული არის არასწორად, წერია სტრუქტურა და ფუნქცია და უნდა ეწეროს სტრუქტურა, ფუნქცია (სტანდარტის მიხედვით), წერია სასიცოცხლო თვისებები და უნდა ეწეროს სასიცოცხლო თვისება (სტანდარტის მიხედვით). I თემა (უჯრედის ბიოლოგია) თემის ფარგლებში არ მუშავდება ოთხივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნება - ჯანმრთელობა და დაავადება დამუშავების მიღმა არის დარჩენილი; ბიოლოგიის XI კლასის კურიკულუმის ჩარჩო: XI კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხილრბში ყველა სავალდებულო თემასთან სამიზნე ცნებები მითითებული არის არასწორად, წერია სტრუქტურა და ფუნქცია და უნდა ეწეროს სტრუქტურა, ფუნქცია (სტანდარტის მიხედვით), წერია სასიცოცხლო თვისებები და უნდა ეწეროს სასიცოცხლო თვისება (სტანდარტის მიხედვით). II თემა (ევოლუცია) თემის ფარგლებში არ მუშავდება ოთხივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნება - ჯანმრთელობა და დაავადება დამუშავების მიღმა არის დარჩენილი; ქიმიის X კლასის კურიკულუმის ჩარჩო: II თემის (ქიმიური კინეტიკა) მეორე ძირითად საკითხთან გაწერილია სამიზნე ცნებები შესაბამისი ქვეცნებებით, რომელიც არ მოდის თანხვედრაში არც ძირითად საკითხთან, არც კომპლექსური დავალების იდეასთან და არც კონტექსტ - მაგალითთან, თავის მხრივ, კომპლექსური დავალების იდეა დასაკორექტირებელია. აღნიშნული თემის ფარგლებში მეორე ძირითადი საკითხი - ქიმიური წონასწორობა არ არის გაწერილი კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად. ქიმიის XI კლასის კურიკულუმის ჩარჩო: II თემის (ელექტროქიმია (ჟანგვა - აღდგენა)) მეორე ძირითად საკითხთან გაწერილია კომპლექსური დავალების იდეა, რომელიც დასაკორექტირებელია. მოწოდებული საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) კურიკულუმებიის ჩარჩო - ცხრილებში განსაზღვრული არის, თუ რომელი ძირითადი კონტექსტ - მაგალითებით იმუშავენებ 2023 – 2024 სასწავლო წელს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო - ცხილებში განსაზღვრული არის ძირითადადი კონტექსტ - მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა და მაგალითები შედარებისთვის, ამავდროულად, ადგილზე ვიზიტის დროს ვნახე ის კომპლექსური დავალებები, რომლის მიხედვითაც იმუშავებენ 2023 – 2024 სასწავლო წელს. სკოლას მიეცა რჩევა, რომ საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების (ფიზიკა, ბიოლოგია, ქიმია) ყველა კლასის (X და XI

კლასები) კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში გათვალისწინებული იყოს გრძელვადიან მიზნებთან მიმართება, კერძოდ, ყველა სავალდებულო თემა გაწერილი იყოს იმგვარად, რომ თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, სამიზნე ცნებები გაწერილი იყოს სტანდარტის შესაბამისად, სამიზნე ცნებების მიმართ განსაზღვრული იყოს შესაბამისი ქვეცნება/ქვეცნებები, ყველა ძირითად საკითხთან მითითებული იყოს შესაბამისი სასწავლო რესურსი, ყველა ძირითადი საკიხის მიმართ განსაზღვრული სამიზნე ცნება/ქვეცნება, კომპლექსური დავალების იდეა და კონტექსტ-მაგალითი კორელაციაში იყოს ერთმანეთთან, კომპლექსური დავალების იდეა ჩამოყალიბებული იყოს მკაფიოდ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. კათედრის მიერ წარმოდგენილ მე-10-11-12 კლასის კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. სწავლა არის მოსწვალის პიროვნული ზრდის და განვითარების პროცესი. შესაბამისად ის მიმართულია არა მხოლოდ მოსწვალეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. მოსწავლე ყალიბდება პიროვნებად, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობა, კოგნიტური და სოციო-ემოციური სფეროს კეთილდღეობა, აკადემიური მიღწევა და იდენტობა. დავალებებზე მუშაობის, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს; გააკეთოს ეთიკური, კონსტრუქციული არჩევანი პერსონალურსა თუ სოციალურ ქცევებს შორის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. საშუალო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ემსახურება როგორც საგნობრივი საკითხების შემოწმებას, ასევე აფასებს მის უნარებს, პიროვნულ თვისებებს, სოციალურ უნარებს, დამოკიდებულებებს და გამჭოლ კომპეტენციებს. სასწავლო პროცესში გამოყენებულია მრავალფეროვანი აქტივობები, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზი, თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასების რუბრიკები, რაც ეხმარება მათ თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაში. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა რომ ახალი სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს შეიმუშაოს მექანიზმები რომელიც სრულად იქნება ორიენტირებული მოსწავლეთა ჰოლისტურ მხარდაჭერაზე. პროექტული სწავლებისას, კათედრა ხელმძღვანელობს სასწავლო წიგნებში მოცემული შეფასების რუბრიკებით, თითოეულ პროექტის იდეასთან მიმართებით. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ განმავითარებელი შეფასების შექმნისას ხელმძღვანელობენ სამიზნე ცნებების დამუშავებაზე მორგებული შაბლონით. სამიზნე ცნებების დამუშავება საკითხების მიხედვით ნაწილდება. საკითხებში ყველა ცნება შეიძლება არ დამუშავდეს, თუმცა, თემის ფარგლებში, მოცემული აქტივობებით სრულად არის ცნებების დაფარვა შესაძლებელი. შეფასების რუბრიკები მოცემულია სასკოლო სახელმძღვანელოში, რომელზე წვდომაც მხოლოდ მასწავლებელს აქვს, თუმცა, ფლიპჩარტის საშუალებით, მოსწავლეები

ეცნობიან შეფასების რუბრიკებს. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საკითხიდან გამომდინარე, შესაძლებელია შექმნან დამატებითი შეფასების რუბრიკები. შეფასება გამჭვირვალე, ვალიდური და სანდოა და მოსწავლეებმა იციან, რა კომპონენტში ფასდება მათი აქტივობა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ ხშირ შემთხვევაში შეფასების რუბრიკებს შეიმუშავებენ მოსწავლეებთან ერთად. შესაბამისად, მოსწავლეებმა წინასწარ იციან, თუ როგორ, რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით შეფასდება მათი ნაშრომი, გარდა ამისა, შემდგომ ეტაპზე თითოეული კომპლექსური დავალებისთვის კათედრაზე შეიმუშავებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, რომლის დანიშნულებაც კარგად აქვთ გააზრებული. რუბრიკები შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან, რაც უზრუნველყოფს მის სანდოობას და ობიექტურობას. მაგალითად, უცხო ენებში სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების რუბრიკები სხვადასხვა აქტივობისთვის, რომლებიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო მიზნებს, სტანდარტის შედეგებს, სამიზნე ცნებებს. რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ასახავს მოსწავლეთა შესაძლებლობებს, მიღწევებს, უნარებს. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული შეფასების პროცესში, მონაწილეობას იღებენ შეფასების კრიტერიუმების შედგენაში, შეფასების რუბრიკები ცნობილია მოსწავლეთათვის, ისე, რომ ისინი წინასწარ ინფორმირებულნი არიან თუ რა ფასდება და რა კრიტერიუმების საფუძველზე. შესაბამისად სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. კათედრებზე შემუშავებული შიდა ვერიფიკაციის სისტემა გულისხმობს რეალურად მოსწავლის მიღწევის ანალიზს, რომელიც სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ილუსტრაცია იმისა, რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწვლა-სწვალების პროცესის საყრდენს. კათედრაზე წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე განიხილება მოსწავლეთა ნამუშევრები. სკოლას აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, სადაც წარმოდგენილია ყველა განმახორციელებელი რგოლის ვალდებულება და უზრუნველყოფს სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისობის შემოწმებას. დოკუმენტში გაწერილი აქვთ შეფასების ინსტრუმენტების შერჩევის მექანიზმი, ასევე ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირი, და ვერიფიკაციის პროცედურა. სკოლა მოსწავლის მიღწევების შეფასებას ახორციელებს წარმოდგენილი დოკუმენტით. სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელია დირექცია, რომელიც ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური და კათედრის წარმომადგენელი შინაარსობრივი მხარის შემოწმებას. მათემატიკა-სკოლას აქვს ვერიფიკაციის დოკუმენტი მოწოდებული სადაც ვკითხულობთ, რომ ,,ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი," რაც იმას მოწმობს, რომ სკოლაში შექმნილი შეფასებათა სისტემა ემსახურება სკოლის ერთიანი ხედვიდან შეფასების სისტემის ფორმირებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის მიხედვით, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და დაცვას კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად. პედაგოგები მუშაობენ ელექტრონულ ჟურნალში, სადაც ხდება შეფასებების შეტანა კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო წლის ბოლის, კლასის ხელმძღვანელი ელექტრონული ჟურნალის საფუძველზე ავსებს მოსწავლის პირად საქმეებს და ინახავს კანონმდებლობით დადგენილი ვადით. პროექტული სწავლების განხორციელებული პროდუქტები, როგორც მტკიცებულება, ინახება მოსწავლის სამართლებრივი აქტის საფუძველზე მომდევნო კლასში გადასვლამდე. მიმდინარე სასწავლო წლის პროექტული სწავლების განმავითარებელი შეფასებები ინახება ელექტრონულ ჟურნალში. სასურველია, შესრულებული პროექტის პროდუქტი (მაგ: ბუკლეტი, საკონფერენციო მოხსენებები, სტატიები და ა.შ.), პროექტის გეგმა და სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაცია შეინახოს სკოლამ ყველა სამართლებრივი წესის დაცვით. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნილ სტანდარტებს.**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- შეფასების რუბრიკები;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- ინტერვიუ პედაგოგებთან.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმა მიზნად ისახავს სასწავლო პროცესისთვის ღია/მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს შექმნას. სკოლის მისია და ხედვა მოსწავლეზე ორიენტირებულია, საათობრივი ბადე შექმნილია სკოლის

პრიორიტეტებისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, რომელიც ორიენტირებულია, მოსწავლის განვითარებასა და სასწავლო პროცესის მხარდაჭერაზე, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საჭიროების მოსწავლისთვის.სასკოლო ცხოვრების პროცესები მიმდინარეობს თანამშორმლობით, პრობლემაზე ორიენტირებით, სასკოლო საზოგადოების წევრების გაზიარებული პასუხისმგებლობით, რასაც ცხადყოფს კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო სკოლისა და კლასის დონეზე, რასაც ცხადყოფს მასწავლებლების ერთმანეთთან აქტიური კომუნიკაცია და მათი ერთობლივად დაგეგმილი სპორტული აქტივობები. სკოლაში არის თანამშრომლობითი და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ატმოსფერო, სამუშაო შეხვედრების დროს ერთმანეთს აძლევენ რჩევებს და რეკომენდაციებს, უზიარებენ წარმატებულ გამოცდილებას. როგორც ინტერვიუს დროს მასწავლებელმა აღნიშნა გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის უნარები, ინტერესები, საჭიროებები და სწავლა სწავლების დროს ქმნის კეთილგანწყობილ გარემოს. სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერი და მიღებლობითი გარემო უზრუნველყოფილია სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეული პუნქტით და მასში გაწერილი საკითხებით. სკოლის მისია და ხედვა, საათობრივი ბადე, საგნობრივი პროგრამები ,,მოსწავლის მიღწევების შეფასების წესები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები), დამატებითი საგნმანათლებლო მომსახურება (კლუბური მუშაობა: ,,ეკო-ქვანი“, FFG-,,საქართველოს მომავალი ფერმერები“, ,,მე-ლიდერი“, ,,წიგნიერების კლუბი“, მუსიკალური კლუბი ,,ლირა“). **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებების იდეებით და რესურსებით ითვალისწინებს მოსწავლეების ინტერესებს და საჭიროებებს. სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებში როგორც საგნობრივი საკითხის შესწავლას ასევე სოციალური უნარების განვითარებას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ სკოლას აქვს გამოცდილება როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობების და პროექტების განხორციელების, რაც მოიაზრებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. სამომავლოდ სკოლა გეგმავს არსებული პრაქტიკის გაუმჯობესებას დიაგნოსტიკური შეფასების დანერგვის გზით. კათედრებზე ერთობლივი თანამშრომლობით შემუშავებული კურიკულუმი შეესაბამება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ზრუნვას თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, უზურნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, ხელს უწყობს მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და თვითგამოხატვას. მასწავლებელს გათავისებული აქვს, რომ თითოეული მოსწავლე განსხვავებულია თავისი ფიზიკური შესაძლებლობებით, ინტერესებით და ამიტომ ცდილობს სწავლის პროცესი დაგეგმოს ისე, რომ ყველა მოსწავლეს ჰქონდეს თვითგამოხატვის საშუალება. წახალისებულია მოსწავლეთა ინტერესები შიდა სასკოლო სპორტულ აქტივობებთან დაკავშირებით. სასწავლო პროცესში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელი ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, რისთვისაც ქმნის თანამშრომლობაზე დაფუძნებულ პოზიტიურ გარემოს და შემდეგ ახორციელებს პროგრესის მონიტორინგს. ასევე მოსწავლეებისთვის შექმნილია კომფორტული გარემო, რაშიც აქტიურად არიან ჩართულნინ თავად მოსწავლეები. ყველა

მოსწავლეს აქვს მასწავლებელთან პირადი კონტაქტის შესაძლებლობა. ხელშემწყობი გარემოს შესაქმნელად გამოყენებულია ტექნოლოგიურ საშუალებები: პრეზენტაციები, თვალსაჩინოებები, საგანმანათლებლო თამაშები, ინტერნეტის საძიებო სისტემები, რითიც ხდება მოსწავლეთა პოტენციალის რეალიზება. მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოში აქცენტი კეტდება პროგრესზე, რომელიც იზომება არა მხოლოდ დაგროვილი ფაქტობრივი ცოდნით, არამედ ფუნქციური უნარების განვითარებით (განმავითარებელი კომენტარები, შეფასება, თვითშეფასება). ფასდება მოსწავლის წინსვლა, გამოიყენება დიფერენცირებული მიდგომები და უნივერსალური სწავლების მეთოდები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას. სკოლაში ტარდება კლასის საათი, ინტელექტულური თამაშები მოსწავლეებისა და მშობლების ჩართულობით. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ხდება მასწავლებელთა შეხვედრები, პრაქტიკის გაზიარება, სიახლეების დანერგვა. სკოლაში ხორციელდება სამუშაო შეხვედრები და ურთიერდასწრება გამოცდილების გაზიარების მიზნით. გასაუბრებითაც გახდა ცხადი, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. მასწავლებლები წინასწარ გეგმავენ გაკვეთილზე დასწრების გრაფიკს, ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილზე და აძლევენ უკუკავშირს, რის შემდეგაც სამუშაო შეხვედრების დროს, დასწრების შედეგად შეგროვებული მონაცემების საფუძველზე გამოკვეთენ პრობლემებს, სახავენ პრობლემების მოგვარების გზებს და აძლევენ საჭირო რეკომენდაციებს. სხვადსხვა სპორტული აქტივობის დაგეგმვისას ითვალისწინებენ როგორც მოსწავლეების, ასევე მშობლის აზრს. თანამშრომლობითი კულტურის მაგალითია „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტის არსებობა სკოლაში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ფორმის მიხედვით, სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანი ფაქტორია ღიაობა და მიმღებლობა, ნებისმიერი პრობლემა და გამოწვევა განიხილება როგორც გაზიარებული პასუხისმგებლობა მისაღებ გადაწყვეტილებაზე. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა რომ სკოლაში სკოლაში ტარდება სადმრიგებლო საათები, სადც მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა ისაუბრონ მათთვის სასურველ თემაზე და ღიად დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრება. სკოლაში არსებობს შემეცნებითი სახის კლუბები, წრეები, ხორციელდება პროექტები, რის საფუძველზეც შეგვიძლია დასკვნის გაკეთება, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი. სკოლაში არის ჯანსაღი, ნდობაზე და პატივისცემაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო, რასაც სკოლის სამოქმედო გეგმაში გაწერილი საკითხებიც მოწმობს, რომლის მიხედვითც მთელი სასწავლო წლის განმავლობაში მიმდინარეობს ზრუნვა უსაფრთხო, ორგანიზებული, კარგად დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფისათვის და ასევე დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნისათვის. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პოზიტიურ ატმოსფეროში და მოსწავლეები თავს გრძნობენ უსაფრთხოდ. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს გააზრებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებაზე სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლა ცდილობს შექმნას ისეთი საგანმანათლებლო

სისტემა სადაც მოსწავლეებს შორის, მასწავლებლებს შორის და მოსწავლესა და მასწავლებელს შორის შეიქმნას ისეთი გარემო რომელიც აგებული იქნება თანამშრომლობასა და ურთიერთმხარდაჭერაზე ამისათვის შექმნილია და ინერგება ისეთი სასწავლო აქტივობები და კომპლექსური დავალებები რომელიც სასკოლო საზოგადოების კერძოდ კათედრის და მშობლების (მშობელთა ბარათების აქვთ გადმოგზავნილი) ჩართულობით მიიღწევა. რაც თავის მხრივ ქმნის პოზიტიურ სასწავლო გარემოს. საზოგადოებრივი მეცნიერებები-თვითშეფასების ფორმის მიხედვით სკოლაში, სასკოლო კლიმატი შექმნილია ხუთგანზომილებიანი მოდელით: უსაფრთხოება, სწავლა სწავლების პროცესი და მისი მხარდაჭერა, ინტერპერსონალური და პროფესიული ურთიერთობები, მართვის სტილი, ინსტიტუციური გარემოს ავთენტური სივრცე სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლას მრავალი აქტივობა აქვს განხორციელებული სამოქალაქო აქტივობისა და ცნობიერების ამაღლების კუთხით. მიმდინარე სასწავლო წელს განხორციელდა პროექტები ,,არა ძალადობას“, მედიაწიგნიერების კვირეულის, ,,არა კიბერბულინგს“... სკოლა ორიენტირებულია მდგრადი განვითარების მიზნებზე, რომლისფარგლებშიც განხორციელდა პროექტი ,,თანამედროვე სოფელი და ბიოინტენსიური მეურნობა“, ,,ნარჩენების ახალი სიცოცხლე“, მოეწყო გამოფენაც. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- სკოლის სამოქმედო გეგმა;
- კლასგარეშე ღონისძიებები/პროექტები;;
- ინტერვიუ პედაგოგებთან საბუნებისმეტყველო საგნებში;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი და კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. აღნიშნული დასტურდება ბრძანებებით და შინაარსში იკითხება დოკუმენტთა შექმნაში მონაწილე პიროვნებათა ვინაობა. ამ ეტაპზე, როგორც მოსწავლეთა მიღწევები, ასევე, მასწავლებელთა მიერ ჩატარებული გაკვეთილების ხარისხი იზომება კოლეგათა ურთიერთდასწრებით. მიეწოდებათ რჩევა-რეკომენდაციები პოზიტიურ ჭრილში. მონიტორინგის ჯგუფი შეადგენს კითხვარებს მოსწავლეებისა და მშობლებისათვის და გაზომავს სკოლის საჭიროებებს. მასწავლებელთა განვითარებისათვის დაგეგმავს მიზანმიმართულ ტრენინგებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებელთა გაკვეთილზე დასწრებას, უკუკავშირს, რეკომენდაციების მიცემას. სკოლის ადმინისტრაცია, კათედრები, კოლეგები მუდმივად ზრუნავენ სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის. გაკვეთილებზე დასწრების რეფლექსიებს უზიარებენ კათედრებს და შემდეგ დირექციას. მომდევნო სასწავლო წლისათვის წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით გააუმჯობესებენ მონიტორინგის მექანიზმს და ხასგასმით აღნიშნავენ, რომ სასკოლო საზოგადოების საჭიროებები სრულფასოვნად იქნება გათვალისწინებული. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
3. წამოჭრილი პრობლემების მოსაგვარებლად, სკოლაში მიმდინარეობს პრობლემის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, შემდეგ საჭირო დავალებებით პრობლემის აღმოფხვრაზე მუშობა. ინტერვიურების პროცესში, ესთეტიკურმა კათედრამ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის პროცესში შეისწავლეს დიაგნოსტირების ინსტრუმენტები და მომდევნო სასწავლო წელს, კათედრის დონეზე გაიზომება მოსწავლეთა მიღწევები, პრობლემები და მოხდება შესაბამისი დავალებების, აქტივობების შემუშავება პრობლემების აღმოსაფხვრელად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;

- ბრძანებები;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესის შესაფასებლად სკოლა იყენებს „ხარისხის მართვისა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერის“ ჯგუფის უკუკავშირებს, დირექციის დაკვირვებას, USAID პროექტ ,,საბაზისო განათლება“ უკუკავშირს, „კრიტიკული მეგობრის“ შეფასებებს, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმებს , საგნობრივ ციფრობრივ ანგარიშებს . მასწავლებლები ახდენენ საკუთარი გაკვეთილის რეფლექსიას. მომდევნო სასწავლო წლისთვის სკოლაში დაინერგება დიაგნოსტიკური შეფასების პირველი ინსტრუმენტი კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. სკოლა შეფასებას ახორციელებს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მაგ მოსწავლის სწავლის პროცესის პროგრესის, საჭიროების შეფასება ხდება სახლის, სკოლის, სათამაშო სივრცის, გაკვეთილების და სხვა კონტექსტის გამოყენებით. ანკეტირებით, ინტერვიუთი, კვლევით და ა.შ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
3. სასწავლო პროცესის შესაფასებლად სკოლა იყენებს შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმებს, საგნობრივ ციფრობრივ ანგარიშებს მასწავლებლები ახდენენ საკუთარი გაკვეთილის რეფლექსიას, მომდევნო სასწავლო წლისთვის სკოლაში დაინერგება დიაგნოსტიკური შეფასების პირველი ინსტრუმენტი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
4. სკოლა შეფასებას ახორციელებს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, როგორიცაა დრო და სივრცე, უშუალოდ გარემომცველი მიკროსისტემა, ეზო, ოჯახი, სამეზობლო, მეგობრები, სკოლა, ტრადიციები, კანონები, ფასეულობები და სხვა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;

- საგნობრივი კურიკულუმები;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- საგნობრივი კათედრების, პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს და მშობელთა კრებების ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგნობრივი კათედრის წევრები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის განვითარება, როგორც ციკლური ბუნების მქონე პროცესი, გულისხმობს პროცესების მუდმივ შესწავლას და რეფლექსიას მათზე დაყრდნობით, მიღწეულია დასახული მიზნები, პროცესები- გაუმჯობესებული თუ არა. მნიშვნელოვანია, რომ დაგეგმვის პროცესში აღმოჩენილი მიგნებები და რეფლექსიები გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ, გათვალისწინებული იყოს გადაწყვეტილების მიღებისა და სამომავლო პერსპექტივის შეფასებისას. კათედრის წევრები შეხვედრებზე ცდილობენ გასცენ ისეთ კითხვებს პასუხები როგორებიცაა: რა გამოცდილება დამიგროვდა სასწავლო წლის მანძლზე? როგორ

შეიძლება ეს გამოცდილება გამოვიყენო სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის? რა უნდა გავითვალისწინო ახალი წლის დაგეგმვისას: ადმინისტრაციის, მასწავლებელის, მოსწავლის და მშობლის დონეზე? როგორ გავაზიარო პასუხისმგებლობა ამ გამოცდილების გათვალისწინებაზე სასკოლო საზოგაოდებაში და ა.შ. აღნიშნავენ, რომ წინარე გამოცდილება გამოიყენეს ახალი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, იგეგმება ამ მიმართულებით კონკრეტული ინსტრუმენტებისა და კურიკულუმის ეფექტიანობის განმსაზღვრელი მექანიზმის შემუშავება, რომელიც სრულყოფილად აისახება მეთოდოლოგიურ დანართში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. საგნობრივი კათედრის წევრები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები სრულყოფილად აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში, ნაწილობრივ ასახულია კიდევაც. ეს გამოცდილება გათვალისწინებული იქნება, როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც. ახალი კურიკულუმის შედგენისას მეტნაკლებად გათვალისწინებულია ის პრობლემები, რომელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა. შესაბამისად კურიკულუმის რევიზირებული ვერსიის შესაქმნელად მნიშვნელოვანია კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღოს არა მხოლოდ ერთმა მასწავლებელმა, არამედ კათედრისა და სასკოლო საზოგადოების ყველა წევრმა, ვინც მონაწილეობა მიიღო კურიკულუმის განვითარებაში. კათედრის წევრები 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში გეგმავენ პარალელურ კლასებში ერთიდაიმავე კომპლექსური დავალებების დანერგვას, დანერგვის პროცესის შესაფასებლად შემუშავებული ინსტრუმენტები სრულყოფილად წარმოდგენილი იქნება მეთოდოლოგიურ დანართში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების ინსტრუმენტები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი წევრი.....

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი---

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი---

უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი-- _____

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი---

ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი-

სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი--

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი--

სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი--

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი--

30.10.2023
თარიღი